პროექტი "თქვენი აფხაზეთი" A4 | ტერაქტი ინდონეზიაში A5 | TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 6 აგვისტო, 2003 წელი. №212 (424) | ფასი 30 თეთრი

"გარჩევები" სახელმწიფო მინისტრის კაბინეტში

თამარ ხორბალაძე

გუშინ სახელმწიფო მინისტრის კაბინეტში გამართულმა კამათმა, ბევრის მნახველ სახელისუფლებო კადრებს, 10-12 წლის წინანდელი გარჩევები გაახსენა, როცა ყველა ერთმანეთს აწმენდდა ხელს და ფულის ანუ შემოსავლების მაგიდაზე დადებას ერთმანეთს სთხოვდნენ.

გუშინდელ სხდომაზე, რომელიც კონტრაბანდის თემას ეძღვნებოდა, საქართველოს ხელისუფლება ერთმანეთს რამდენიმე მიმართულებით დაუპირისპირდა:

ავთანდილ ჯორბენაძე და მისი მოადგილე ანზორ ბალუაშვილი ღიად დაუპირისპირდნენ საბაჟოს უფროსს დავით თარხან-მოურავს. შეუძლია თუ არა საბაჟოს გაზრდილი გეგმის შესრულება? **"შეგიძლია!"** - უყვიროდა ანზორ ბალუაშვილი თარხან-მოურავს. **"შემოსავლები დადე მაგიდაზე, ჟურნალისტებს რომ ხვდები და გეგმებს რომ აცნობ, რამე გააკეთე..."** - საქმეს ურჩევდა ჯორბენაძე. **"ვერ შევძლებთ!"** - არანაკლებ ხმამაღლა შეეპასუხა თარხან-მოურავი.

დაიტუქსა ლეგიონის ხელმძღვანელიც. "გამროზგავი" აქაც ანზორ ბალუაშვილი იყო. კახნიაურმა შეპასუხება მხოლოდ სცადა.

აქვე შედგა უშიშროების მინისტრსა და ფინანსთა მინისტრს შორის "ინფორმაციის ხმამაღლა გაცვლა". უშიშროების მინისტრმა, რომელსაც ნავთობპროდუქტების კონტრაბანდის "მეთვალყურეობა" დაავალეს, გოგიაშვილს ჯერ დისტრიბუციის სისტემაში სიტუაციის გაკონტროლება მოსთხოვა და მხოლოდ შემდეგ მისცა მისკენ ხელის გაშვერის უფლება.

ეს ყველაფერი ძალიან ჰგავდა ჩასაძირად განწირულ გემზე შექმნილ სიტუაციას. ამასთან, განხილვა, ტრადიციის საწინააღმდეგოდ, ამჯერადაც, ორშაბათის მსგავსად, ჟურნალისტებისთვის ღია და განსაკუთრებულად სანახაობრივი იყო.

ვინ ხარ შენ, მგზავრო?!

ახალი წესის მიხედვით, ბილეთის ყიდვა მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემდეგ იქნება შესაძლებელი. "საქართველოს რკინიგზის" ეს გადაწყვეტილება საზოგადოებისთვის მოულოდნელი იყო. ცვლილებების თაობაზე მოსახლეობა არავის გაუფრთხილებია. მისი ავტორები აცხადებენ, რომ, მიუხედავად ახალი წესის ძალაში შესვლისა, სექტემბრამდე მის შესრულებას მკაცრად არ მოითხოვენ.

A2

ამინდი

თბილისი	29
ქუთაისი	29
ბათუმი	26
სოხუმი	24
ფოთი	26
თელავი	28
ზუგდიდი	28
გორი	25
ახმეტა	28
ჭიათურა	28

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1375
ევრო	2.3951
გირვანქა სტერლ	3.4322
რუბლი	0.0705

ჯეიმს ბეიკერი ჯემალ გამახარიასთან დამარცხდა

თამარ მჭედლიშვილი

ეუთო-ს წარდგენით, პრეზიდენტის მიერ დანიშნული თავმჯდომარე, ასევე, პრეზიდენტის მიერ წარგზავნილი ხუთი წევრი, სამი – "აღორძინების" წარმომადგენელი, ორი – "მრეწველების", თითო-თითო – "ნაციონალების", "ლეიბორისტების", "ახალი მემარჯვენეებისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" – ასე გამოიყურება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი მოდელი, რომელსაც ამიერიდან ჯემალ გამახარიას სქემა დაერქმევა და რომელიც გუშინ პარლამენტმა მიიღო. 200 დამსწრე, 129 მომხრე, 30 წინააღმდეგი – შედეგი, რომელიც კენჭისყრის დასრულების შემდეგ საპარლამენტო ტაბლოზე დაფიქსირდა.

გუშინ მრავალკვირიან პოლიტეპოპეას წერტილი დაესვა - პარლამენტის სახელისუფლებო ფრთამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ისეთი მოდელი მიიღო, როგორიც მას ხელს აძლევდა. სრული გავლენა საარჩევნო ადმინისტრაციებზე მოპოვებულია – საარჩევნო

გაგრძელება A3 გვერდზე



ბაკურ ბესელიას ფოტო

მინდელი, გოგიტიძე, ხაზარაძე - გარიგება შედგა, გარიგება იწყება.

არჩევნებზე პასუხისმგებელი საქართველო იქნება

ვერიკო თევზაძე

ეუთო-ს საქართველოს მისია ჩვენს მთავრობას და ქვეყანაში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს თანხმობისკენ მოუწოდებს, რათა მათ დაუყოვნებლივ მიიღონ ახალი საარჩევნო კოდექსი. კოდექსში ცვლილებები მაქსიმალურად უნდა უახლოვდებოდეს "ბეიკერის პრინციპებს". ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში როი რივმა სპეციალური პრესკონფერენცია გამართა. **"თუ ის ცვლილებები არ გატარდება, რომლებიც გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმის არსებობას ითვალისწინებს, ეუთო-ს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გაუჭირდება,"** - განაცხადა რივმა.

ეუთო-ს მისია საქართველოში კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის სურვილს, დაეხმაროს ჩვენს ქვეყანას დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაში, კონკრეტულად, ცესკო-ს თავმჯდომარის შერჩევაში, რათა კომისიის სადმი ნდობის ხარისხი მაღალი იყოს. რივის განმარტებით, თავმჯდომარის დანიშვნის წესი ქართულ მხარესთან, ჯერჯერობით, არ შეთანხმებულა, არც ცესკო-ს თავმჯდომარის სავარაუდო კანდიდატურაზე ყოფილა საუბარი.

გაგრძელება A3 გვერდზე

ჯოჯოლუნგმა-2

ბიძინა გუჯაბიძის დღიურები

ბიძინა გუჯაბიძის ფოტო

"მწვერვალი. წვალებით ვაბამ ნეპალური დროშის ტარზე "რუსთავი 2"-ის, Georgian Online-ს და "24 საათის" დროშებს. კინაღამ თითები შევატოვე ზედ."

რაკეტილი ენერგოწრე და არარსებული გამოსავალი

"რაო ეეს როსსიისა" და "ეი-ი-ესს" შორის შემდგარი გარიგების დეტალების გამორკვევა მთავრობამ მხოლოდ გუშინ დაიწყო. პირველი, რაც ხელისუფლებამ "გამოარკვიეს", ის არის, რომ თურმე ხუთი წელია, პრეზიდენტი შევარდნაძე ამერიკულ კორპორაციას კი არა, მისი შვილობილის შვილობილ კომპანიას – "ეი-ი-ეს სილკ როუდ ჰოლდინგს ბი ვის" ელოლიავებოდა; იმ კომპანიას, რომელიც "დიდმა ბებია" - "ეი-ი-ესმა" თავის დროზე ერთადერთი მიზნით – სტრატეგიული ინვესტორის პასუხისმგებლობისათვის თავის ასარიდებლად შექმნა. თუ ხელისუფლების მიერ მოპოვებული ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ შესაძლოა, მთავრობამ აქცენტი 1998 წელს "ეი-ი-ეს სილკ როუდ ბი ვისთან" გაფორმებული ხელშეკრულების ავტორებზე გადაიტანოს და ყველა შანსი, რომელიც ქვეყანას ვითარების გამოსწორების საშუალებას მისცემს, ხელიდან გაუშვას. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი გადასახედიდან სწორედ ასე მოჩანს.

მაია ურუშაძე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ორი დღეა, უშედეგოდ ცდილობს "ეი-ი-ეს კორპორაციიდან" "რაოსთან" შემდგარი გარიგების თაობაზე რაიმე ინფორმაციის მიღებას. ჯერჯერობით, მთავრობაში არავინ იცის, თუ რა ქონება გაყიდა "ეი-ი-ესმა" და ჰქონდა თუ არა მას ამის უფლება.

კვალიფიციური იურისტების ინფორმაციით, რომლებიც ამ წუთებშიც "ეი-ი-ესთან" 1998 წელს გაფორმებული ხელშეკრულების დეტალებს სწავლობენ, "ეი-ი-ეს კორპორაციას" "თელასის" გაყიდვის უფლება 5 წლის განმავლობაში არ ჰქონდა, შემდეგ კი ამისათვის ხელისუფლების ნებართვა უნდა მიეღო.

მსგავსი ნებართვის გაცემას ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს. პიროვნება, რომელსაც იურიდიულად ამგვარი ნებართვის გაცემა შეეძლო, საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენელი, მერიის ენერგეტიკული სამსახურის უფროსი, "ეი-ი-ეს თელასის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი თემურ ჭინჭარაული აცხადებს, რომ მას ეს ნებართვა არ გაუცია.

მისი ან სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მხრიდან ამ ნებართვის გაცემის ფაქტს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მამუკა ნიკოლაიშვილიც უარყოფს.

მოკლედ, მთავრობა ცდილობს, ყველაფერი ძველ ხელშეკრულებას დააბრალოს.

ერთადერთი, რის იმედსაც ხელისუფლება იძლევა, ის არის, რომ "რაოს" შემოსვლისთანავე თბილსრესის ენერგობლოკებისა და "ხრამჰესების" კასკადის სახელმწიფოს საკუთრებაში დაბრუნების საკითხს დასვამს, იმ მოტივით, რომ "ეი-ი-ესმა" ხელშეკრულების პირობები არ შეასრულა და იმის მიუხედავად, "ეი-ი-ესის" განკარგულებაში იქნება

გაგრძელება A3 გვერდზე

ჩუბაისი კრემლის მითითებებს ასრულებს

"საქართველოს ენერგოსისტემების მენეჯმენტის განხორციელებაში ანატოლი ჩუბაისი რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ალესაქნდრ ვოლოშინის მითითებებს ასრულებს", - აცხადებს "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ალექსეი მიტროფანოვი. რუსი პოლიტიკოსი ეთანხმება მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში მეტად პოპულარულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქართველო-რუსეთის ამ ხელსაყრელი გარიგებიდან გამომდინარე, ენგურჰესის მოდერნიზაციაც პოლიტიკური დარეგულირების გავლენის სფეროში რჩება და, ამდენად, ჩუბაისის მიზნები საქართველოს ენერგორესურსების ხელში ჩაგდებაზე მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტურით არის ნაკარნახევი.

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

- რა კონკრეტული მიზნები აქვს თავად პრეზიდენტ პუტინს?

- პუტინი, ძველებურად, კრემლის ოჯახის ხელშია, მათ დაკრულზე ცეკვავს. ამიტომ რუსეთის ინვესტიციურ კლიმატსაც ბორის ელცინის უახლოესი გარემოცვა ქმნის. ანატოლი ჩუბაისი კი, მოგეხსენებათ, ამ ოჯახის ყველაზე აქტიური და სასურველი წევრია, ისევე, როგორც მეორე ოლიგარქი და ელცინის ოჯახის ფულის ქისა რომან აბრამოვიჩი.

- სომხეთში აშშ-ს ელჩის ჯონ ორდუის განცხადების თანახმად, აშშ წინააღმდეგი არ არის, აფხაზეთის მიმართულებით გაიხსნას სარკინიგზო მიმოსვლა. განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ პროექტს დიდი ფინანსები სჭირდება. რა ძალებია დღეს რუსეთში დაინტერესებული ამ პროექტის დაფინანსებით?

გაგრძელება A3 გვერდზე

აფხაზები ქართველ პარტიზანებთან ბრძოლის გააქტიურებით იმუქრებიან

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ოფიციალური წყაროები, კერძოდ, მათი უშიშროების უწყების თავკაცი გივი აგრბა დაჟინებით იმეორებს, რომ ოჩამჩირის რაიონიდან 30 ივლისს გატაცებული სამი მეთევზიდან ერთი – 76 წლის ანდრონიკ არაქელიანი ქართველმა პარტიზანებმა მოკლეს. მისი თქმით, ეს განცხადება ეყრდნობა ანდრონიკ არაქელიანის ნათესავების მონაყოლს, რომლებიც ამბობენ, რომ დაღუპულ მოხუცს ტყვია თავში აქვს მოხვედრილი. აგრბას ინფორმაციას უარყოფენ ქართული წყაროები. თავად პარტიზანების მტკიცებით, პიროვნება, გვარად არაქელიანი მართლაც იმყოფებოდა ტყვეობაში, ოღონდ ის ახალგაზრდა კაცია და უკვე გაათავისუფლეს კიდეც. თუმცა, ტყვედ აყვანილთაგან ერთ-ერთის დაღუპვას არც ისინი უარყოფენ, ოღონდ, მათი თქმით, გზაზე გადაყრილ აფხაზებთან მომხდარი ორმხრივი სროლისას მძევალი, გვარად მამიშევი, ბრმა ტყვიას ემსხვერპლა. ხოლო დანარჩენი ორი ტყვე კი, როგორც ცნობილია, მათ უპირობოდ, ერევნიდან სოხუმელი ექიმის დარეკვის შემდეგ გაათავისუფლეს.

ქართული მხარე ამ ამბებში მონაწილე პარტიზანების ვინაობას დღესაც არ ასახელებს. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურორის მოადგილის მებრძოლი ჭკადუას თქმით, აფხაზი მეთევზეები დაუდგენელმა პირებმა გაიტაცეს. **"თუმცა, როგორც ჩემთვის ცნობილია, ისინი ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე გაათავისუფლეს"**, - ამბობს იგი.

სხვათა შორის, ამ გატაცების საკითხი გასულ ხუთშაბათს, ჭუბურხინჯში ჩატარებულ ოთხმხრივ შეხვედრაზეც დაისვა და მომხდარი ინციდენტის გამოძიება ოთხმხრივ საგამოძიებო კომისიას დაევალა.

გაგრძელება A2 გვერდზე

ანტიკორუფციული საბჭოს შეფი შს მინისტრს აფრთხილებს

გუშინ საქართველოს ანტიკორუფციული საბჭოს ახალ და ძველ შემადგენლობას დიდი ბრიტანეთის ელჩმა დებორა ჯონსმა უმასპინძლა. მიღებაზე, რომელიც ელჩის რეზიდენციაში გაიმართა, მოწვეულნი გახლდნენ საქართველოში მოქმედი უცხოური დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო სექტორის, პროკურატურის, ადამიანის უფლებათა დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

"ჩვენ დავაკვირდებით ანტიკორუფციულის მოღვაწეობას უახლოეს პერიოდში და მივიღებთ გადაწყვეტილებას მომავალი დახმარების შესახებ," - განაცხადა დიდი ბრიტანეთის ელჩმა დებორა ჯონსმა და ხაზი გაუსვა იმას, რომ ანტკორუფციულ საბჭოსა და საერთაშორისო თანამეგობრობას აქვს საერთო მიზანი; აქედან მთავარია სტრუქტურული რეფორმის განხორციელება.

გუშინდელ შეხვედრას "გაცნობითი" ხასიათი ჰქონდა, თუმცა, როგორც ამბობენ, ბრიტანეთის საელჩო განსაკუთრებით გახლავთ დაინტერესებული ანტიკორუფციული საბჭოს მიერ შესასწავლი ერთ-ერთი საკითხითაც, კერძოდ, საქართველოს ავიაბაზარზე შექმნილი სიტუაციით. როგორც ცნობილია, ამ საკითხის შესწავლა ანტიკორუფციულ საბჭოს ერთი თვის წინ, მთავრობის გახმაურებულ სხდომაზე დაევალა. "24 საათის" ინფორმაციით, ანტიკორუფციულ ბიუროში აღნიშნულ საკითხზე მასალები უკვე მოძიებულია და უახლოეს პერიოდში იგი საბჭოს წევრების სამუშაო მაგიდაზე დაიდება.

საინტერესოა, რომ გუშინ საღამოს ანტიკორუფციული საბჭოს მდივანი საქართველო პრეზიდენტსაც შეხვდა და უახლოესი პერიოდის გეგმებზე ესაუბრა.

"24 საათის" ინფორმაციით, მსჯელობა შეეხო სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას, მათ შორის - ძალოვანი სტრუქტურების რეფორმას.

გუშინვე ანტიკორუფციული ბიურის შეფმა კახა უგულავამ "24 საათს" განუცხადა, რომ აპირებს ბოლომდე მიიყვანოს ყველა დაწყებული საქმე. საგზაო პოლიციის შეფის დავით კობახიძის თანამდებობიდან დათხოვნის რეკომენდაციით, საბჭომ შინაგან საქმეთა მინისტრს გასულ კვირას მიმართა. კახა უგულავას განცხადებით, შს მინისტრმა გადაწყვეტილება "გონივრულ ვადებში" უნდა მიიღოს. **"წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭო ჩათვლის, რომ შს მინისტრი უშუალოდ აფარებს ხელს საგზაო სისტემაში შექმნილ ვითარებას, იგი უშუალოდ არის დაინტერესებული შექმნილი სიტუაციის შენარჩუნებით და მის პასუხისმგებლობაზე იმსჯელებს,"** – განაცხადა უგულავამ.

24 საათი

მოკლედ

ხელისუფლება საპარლამენტო უმრავლესობას აქებს

გუშინ, პარლამენტის პლენარული სხდომის დასრულების შემდგომ, სახელისუფლებო ბლოკმა მორიგი შეხვედრა გამართა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ბლოკის ხელმძღვანელობამ ქების სიტყვები არ დაიშურა საკუთარი საპარლამენტო წარმომადგენლობისადმი. შეხვედრის საზეიმო ნაწილის დასრულების შემდეგ, ბლოკის წევრებმა საორგანიზაციო საკითხებზე იმსჯელეს. მოვგიანებით კი საპენსიო დავალიანებების თემასაც შეეხნენ.

გუშინდელ შეხვედრაზე არ უსაუბრიათ საარჩევნო სიებზე. ჩვენი ინფორმაციით, ამ საკითხის განხილვა მომავალ კვირას იგეგმება. მანამდე კი, სახელისუფლებო ბლოკი მაჟორიტარ კანდიდატთა სიებს ადგენს. რამდენიმე დღეში ეს მონაცემები უკვე მზად იქნება. რაც მთავარია, ამ ფუნქციის შესრულება პრეზიდენტმა "მოქკავშირს" დააკისრა, რასაც "სოციალისტები" და ედპ-ს სერიოზული გაღიზიანება მოჰყვა.

24 საათი

საკადრო ცვლილებებზე ჯერ კიდევ იმსჯელებენ

ბოლო ხანებში სამეგრელოზემო სვანეთის რეგიონში გართულებული კრიმინოგენული სიტუაციის გამო, გუშინ დილით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი, ვითარებაში ადგილზე გასარკვევად, ზუგდიდში გაემგზავრა.

წინასწარი ინფორმაციით, ადგილობრივი სამართალდამცველებისგან შვიდი თვის მუშაობის შედეგების მოსმენის შემდეგ საკადრო ცვლილებების განხორციელებასაც ელოდნენ. თუმცა, გუშინ სამეგრელოში თანამდებობიდან არავინ გაუთავისუფლებიათ. ოფიციალური ინფორმაციით, კადრების გადახალისების საკითხი, შესაძლოა, შედეგების გაანალიზების შემდეგ, რამდენიმე დღეში დადგეს.

რაც შეეხება წინასაარჩევნოდ გაკეთებულ პროგნოზს, სამეგრელოში სიტუაციის დაძაბვის თაობაზე და ამის გამო ადგილზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების სავარაუდო გაძლიერებას, მსგავსი ზომების მიღება, ჯერჯერობით, დაგეგმილი არ არის. თავად მინისტრის თქმით, საჭიროების შემთხვევაში არც ეს იქნება პრობლემა – სამეგრელოშიც ისევე შეიძლება გაძლიერდეს პოლიცია, როგორც ეს, აუცილებლობის გაჩენის პირობებში, საქართველოს სხვა რეგიონებში ხდება.

24 საათი

ვანკისში ძებნილი ნარკობარონი დააკავეს

ანტიკრიმინალური ოპერაციის ფარგლებში შინაგან საქმეთა ახმეტის რაიონული განყოფილება ლოკალური ღონისძიებების განხორციელებას აგრძელებს. სამართალდამცველებმა პანკისის ხეობის სოფელ წინუბანში მსვილი ნარკობარონი დააკავეს.

სოფელ დუისში მცხოვრები, 1982 წელს დაბადებული ქისტი ზაზა მარგოშვილი პოლიციის მიერ 2000 წლის აპრილიდან იძებნებოდა.

მარგოშვილი ნარკოტიკების რეალიზაციას ქალაქ თელავში ეწეოდა. ძებნის ინიციატორი თელავის რაიონის პროკურატურა იყო.

დაკავების დროს მარგოშვილმა სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწია და გაქცევა სცადა, თუმცა ოპერაცია წარმატებულად და უსისხლოდ დასრულდა.

ზეზვა მარგოშვილი ამჟამად შს კახეთის მთავარ სამმართველოშია გადაყვანილი და მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

ინტერ-პრესი

ორ ნაწილად გადაჭრილი გვამი სხვადასხვა ადგილზე იპოვეს

ადამიანის გვამის სხვადასხვა ნაწილები ორი დღის განმავლობაში თბილისის ორ სხვადასხვა რაიონში იპოვეს. გუშინწინ დიდუბეში გვეტაძის ქუჩა №1, მშენებარე სახლის სარდაფში მშენებლებმა ტომარაში ჩადებული მამაკაცის სხეულის ნაწილები – კიდურები და ზედა ტანი იპოვეს. გუშინ დილით კი მენაგვეებმა საბურთალოს ქუჩის მე-7 და მე-8 კორპუსებიდან ნაგვის გატანისას, სანაგვეზე ტომარაში ჩადებული ქვედა ნაწილი აღმოაჩინეს. ჯერჯერობით არ არის ნაპოვნი მოკლულის თავი. თუმცა, გამოძიებას დაზუსტებით იმის თქმაც არ შეუძლია, ქალაქის სხვადასხვა რაიონში ნაპოვნი გვამის ნაწილები ერთი და იგივე პიროვნებას ეკუთვნის თუ არა. ამჟამად დანიშნულია ექსპერტიზა და გვამის იდენტიფიკაცია, სავარაუდოდ, სამ დღეში მოხდება. ვიზუალური დათვალიერების შემდეგ, ექსპერტების თქმით, გარდაცვლილი შუახნის მამაკაცი უნდა იყოს.

განზრახ მკვლელობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძრულია, როგორც ვაკე-საბურთალოს, ასევე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონების პროკურატურებში. ორივე რაიონის პროკურორების თქმით, გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ, ჯერჯერობით, თითქმის არაფერია ცნობილი. სამართალდამცველები დაზუსტებით მხოლოდ იმას ამბობენ, რომ მკვლელობა მოხდა სხვა ადგილას და სხეულის ნაწილები საბურთალოზე და დიდუბეში მოგვიანებით გადაიტანეს.

24 საათი

ვინ ხარ შენ, მგზავრო?!

მაკა ჯაიანი

ახალი წესის მიხედვით, ბილეთის ყიდვა მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემდეგ იქნება შესაძლებელი. "საქართველოს რკინიგზის" ეს გადაწყვეტილება საზოგადოებისთვის მოულოდნელი იყო. ცვლილებების თაობაზე მოსახლეობა არავის გაუფრთხილებია. მისი ავტორები აცხადებენ, რომ, მიუხედავად ახალი წესის ძალაში შესვლისა, სექტემბრამდე მის შესრულებას მკაცრად არ მოითხოვენ.

ვახო ბასალია ფოტოები

ახლა რკინიგზის სალაროსთან პასპორტიც უნდა მოიმარჯვოთ.

"საქართველოს რკინიგზაში" აზუსტებენ, რომ აუცილებელი არ არის, ეს პასპორტი იყოს. დასაშვებია ნებისმიერი ფოტოსურათიანი მოწმობა. ფოტოსურათიანი იმიტომ, რომ მგზავრს საკუთარი პირონების დადასტურება ვაგონის გამცილებლისა და რევიზორისთვისაც მოუწევს. **"ხომ უნდა ვიცოდეთ, ვინ არის ის ადამიანი, რომელიც ჩვენი ვაგონებით მგზავრობს?** - განუმარტა "24 საათს" "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელმა აკაკი ჩხაიძემ. - **ასეა რუსეთში და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებშიც."**

კიდევ ერთი მიზეზი, რომელსაც "საქართველოს რკინიგზაში" ამ გადაწყვეტილების მოტივად ასახელებენ, სადგურის სალაროებთან გადამყიდველების მომრავლებაა. **"300-მდე ლტოლვილი ცხოვრობს სადგურის შენობაში,** - ამბობს აკაკი ჩხაიძე, - **ამას ემატება ქვეყანაში არსებული უმუშევრობა. შემოდიან გადამყიდველები, ყიდულობენ 10-15 ბილეთს და მერე გადამყიდველებს ის ბილეთები აღარ ეყიდებოდათ და უკან აბრუნებდნენ, მატარებლები კი ნახევრად ცარიელი მიდიოდა."**

ასეა თუ ისე, ამიერიდან საკუთარი ოჯახის წევრისთვისაც კი ვერ აიღებ მატარებლის ბილეთს, თუკი სალაროში მის პირადობის მოწმობას არ წარადგენ. რადგან ქვეყნის შიგნით მგზავრობისას ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები პასპორტების ტარებას დიდად არ ეშურებიან და, შესაძლებელია, ბევრს "საქართველოს რკინიგზის" ამ მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ გადაადგილების პრობლემა შეუქმნას, თვის ბოლომდე ახალი წესის მთელი სიზუსტით დაცვას არავინ მოითხოვს. მომავალში კი ყველასთვის სავალდებულო იქნება მატარებლით მგზავრობისას პასპორტის თან ქონა, კონტროლიორისა და რევიზორისთვის წარსადგენად.

"ეს იმისთვისაა საჭირო, რომ მყიდველმა ბილეთი სხვას არ მისცეს, - აცხადებს აკაკი ჩხაიძე. - **ამ ცვლილებით ჩვენ არა მარტო წესრიგს დავიცავთ, შემოსავლებსაც გავზრდით. აღარც მგზავრი იწვალებს გადამყიდველებთან სირბილით."** მოკლედ, ამ სიახლეს "საქართველოს რკინიგზაში" დიდი იმედით ელიან. ვნახოთ, რა გამოვა. თუ ამით მართლა ბიუჯეტმა იხეირა, ხომ კარგი, თუ არადა, შემოსავლის ახალი წყაროს გაჩენას ხელმძღვანელებს მოლარეები, გამცილებლები და რევიზორები მაინც დაუფასებენ - ბილეთის შეძენა, ვაგონში ასვლა და დანიშნულების ადგილამდე მიღწევა უპასპორტო მგზავრისთვის ახლა, სულ ცოტა, ამ სამი ხელის "მოოქროებას" ნიშნავს.

აფხაზები ქართველ პარტიზანებთან ბრძოლის გააქტიურებით იმუქრებიან

პირველი გვერდიდან

აფხაზური წყაროების ცნობით, გატაცებული მეთევზეებიდან ერთი ქართველი იყო, ერთი - სომეხი და ერთიც - გააფხაზებული რუსი. მოგვიანებით დადგინდა მათი ვინაობაც: არაქელიანი, სიჭინავა და მამაშევი. რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მეთევზეების გატაცების მიზეზი თვით პარტიზანებმა დაასახელეს. მათი თქმით, სიჭინავაში მათ გუდაუთის დაჯგუფების ერთ-ერთი აქტიური წევრის ნათესავი ამოიცნეს. როგორც ცნობილია, გუდაუთის დაჯგუფება ერთ-ერთ სერიოზულ კლანად ითვლება აფხაზეთში და მასთან დაკავშირებული ადამიანის ხელთ ყოლა აფხაზების მძევლობაში მყოფი ქართველების გამოსახსნელად კარგად შეეძლოთ გამოეყენებინათ. დღეს კი უკვე გივი აგრბა აცხადებს, რომ მეთევზეების გატაცების მიზანი აფხაზთა ტყვეობაში მყოფი 80 წლის მოხუცში გრიგოლ ნანავაში მათი გაცვლა იყო.

მეთევზეების გატაცების შემდეგ რამდენიმე დღეში გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯთან ოთხი აფხაზი მებაჟის ჩაცხრილვა აფხაზ ჩინოვნიკებს ქართველი პარტიზანების გააქტიურებასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე საუბრის საშუალებას აძლევს. როგორც ცნობილია, 4 აგვისტოს ჭუბურხინჯთან ამტყდარი სროლისას თაგილონის აფხაზური საბაჟოს ოთხი თანამშრომელი დაიღუპა და ორი კი მძიმედ დაიჭრა. გივი აგრბა მომხდარში ცალსახად პარტიზანების დანაშაულს ხედავს. დაღუპულები არიან - მურმან ხარჩილავა, მიზან კაცია, იური ეფლემიდი და ალიკ ადლეიბა. აგრბა აცხადებს, რომ მებაჟეები, რომელთაც თავიანთი ცვლა დაასრულეს, მიკროავტობუსით სოხუმისაკენ მიემართებოდნენ და სწორედ ამ დროს მოექცნენ ალყაში.

მომხდარის გამო აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამართალდამცველმა სტრუქტურებმა სისხლის სამართლის საქმე დიევერსიის მუხლით აღძრეს. მისივე თქმით, დღეს ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფის შემთხვევის ადგილზე გასვლა იგეგმება. სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის მებრძოლი ჭკადუას თქმით, მებაჟეების მკვლელობის შესახებ ქართულ მხარეს ჯერ დეტალური ინფორმაცია არ მოეპოვება. თუმცა, როგორც სარწმუნო წყაროები იტყობინებიან, აფხაზები ცდილობენ, მებაჟეებთან დაკავშირებული ინციდენტი ქართველ პარტიზანებს მიაწერონ, სინამდვილეში კი მათი ჩაცხრილვის მიზეზები შიდა ბიზნეს-გარჩევებში უნდა ეძიონ.

უუნარო მთავრობა და უგარანტიო მოსახლეობა

მთავრობას მოსახლეობისათვის თანაბარი სოციალური პირობების შექმნა არ ძალუძს

სოციალური ფონდის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსებაში სერიოზული გარღვევაა.

3 აგვისტოსათვის ჯანდაცვის პროგრამები 6 თვის გეგმასთან (?!) შედარებით დაფინანსებულია 82,5 პროცენტით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა - 58,7 პროცენტით, უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები - 30,6 პროცენტით.

3 აგვისტოსათვის სოციალური ფონდის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების 6 თვის (?!) ხარჯების გეგმაში გარღვევა 9 მილიონ 662 ათას ლარს შეადგენს.

კატასტროფული მდგომარეობაა პენსიების დაფინანსებაში. 3 აგვისტოსათვის ჯერ კიდევ არ დასრულებულა აპრილის თვის პენსიების დაფინანსება, გარღვევა 3,3 მილიონი ლარია. მაისში - 10,3 მილიონი ლარი, ივნისში - 10,6 მილიონი ლარი. ივლისის პენსიების დაფინანსება საერთოდ არ დაწყებულა.

მთავრობა თითქოს ცდილობს რაიონების მიხედვით პენსიების გამოთანაბრებას. კერძოდ, წინა კვირას დასრულდა მარტის პენსიების დაფინანსება; აგრეთვე 5,4 მილიონი ლარით დაფინანსდა აპრილის პენსიები. თუმცა, ამ საკითხში, ბოლომდე თანმიმდევრულობას ვერ ინარჩუნებს, რადგან 1,5 მილიონი ლარით დაფინანსდა ივნისის თვის პენსიები მაშინ, როცა აპრილ-მასის პენსიებში13,6 მილიონი ლარის დავალიანებაა.

რა დააშავა იმ რაიონის პენსიონრებმა, რომელთაც აპრილის პენსია არ აქვთ მიღებული?

ფაქტია, რომ მთავრობას არ ძალუძს საქართველოს მოსახლეობისათვის თანაბარი სოციალური პირობების შექმნა. რაიმე სოციალურ გარანტიაზე საუბარიც კი ზედმეტია.

ძალოვანი სტრუქტურების პენსიები დაფინანსებულია ივნისის ჩათვლით.

უმწეოთა სოციალური დახმარება დაფინანსებულია მხოლოდ აპრილის ჩათვლით, ხოლო მაისივლისის ხარჯებში გარღვევაა 3,6 მილიონი ლარია.

3 აგვისტოსათვის პენსიებში გარღვევა, დაახლოებით, 45 მილიონი ლარია. პენსიებში არსებული მხოლოდ მიმდინარე დავალიანების აღმოსაფხვრელად აგვისტოში საჭიროა დაახლოებით 63,5 მილიონი ლარის ფინანსური რესურსი. გაგვცეს პასუხი მთავრობამ, რამდენი ლარის გამეტებას აპირებს პენსიონრებისათვის.

ასეთ პირობებში წინა პერიოდის დავალიანების დაფარვაზე საუბარიც კი შეუძლებელია. ხელისუფლებამ ის მაინც უნდა შეძლოს, რომ პენსიებში ახალი დავალიანების წარმოშობა დიდი ოდენობით არ მოხდეს.

საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"

სოციალური ფონდის ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების ხარჯები 3 აგვისტოსათვის

ათას ლარებში

დახახელება	6თვის გეგმა	ფაქტი	% 6თვის გეგმაზე
ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები	38,011	31,355	82.5%
მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების პროგრამა	6,775	3,522	52.0%
მოსახლეობის სტაციონარული დახმარების პროგრამა	24,620	21,913	89.0%
მოსახლეობის ბენეფიციარი მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა	5,700	5,019	88.1%
წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა	916	901	98.3%
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა	2,055	1,207	58.7%
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კომპონენტი	755	84	11.1%
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინსტიტუციონალური პატრონაჟის ხარჯები	900	779	86.5%
დეფინილ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა	100	45	44.6%
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში გადასახდელი მიწის და ქონების გადასახადის სუბსიდირება	300	300	100.0%
უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები	3,110	952	30.6%
უმუშევრის შეწყობის პროგრამა	200	150	75.0%
უმუშევრის დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა	1,100	20	1.8%
უმუშევრის პროფესიული მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა	200	15	7.5%
გასული წლის დავალიანების დაფარვა	650	473	72.7%

პენსიების დაფინანსება 3 აგვისტოსათვის

დახახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი
პენსიები	დაფინანსებულია	დაფინანსებულია	დაფინანსებულია	გარღვევა 3,3 მლნ ლარი	გარღვევა 10,3 მლნ ლარი	გარღვევა 10,6 მლნ ლარი	არ დაწყებული დაფინანსება
ძალოვანი სტრუქტურების პენსიები	დაფინანსებულია	დაფინანსებულია	დაფინანსებულია	დაფინანსებულია	დაფინანსებულია	დაფინანსებულია	არ დაწყებული დაფინანსება
რეგრესული პენსიები	დაფინანსებულია	დაფინანსებულია	დაფინანსებულია	დაფინანსებულია	გარღვევა 0,6 მლნ ლარი	გარღვევა 1,7 მლნ ლარი	არ დაწყებული დაფინანსება
უმწეოთა სოციალური დახმარება	დაფინანსებულია	დაფინანსებულია	დაფინანსებულია	დაფინანსებულია	გარღვევა 1,2 მლნ ლარი	გარღვევა 1,2 მლნ ლარი	არ დაწყებული დაფინანსება

ორი სიტყვით

თბილისი. ნოემბერში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბში ნატო-სთან დაახლოებისა და შეიარაღებული ძალების პროფესიონალურ რელსებზე გადაყვანის დასაჩქარებლად, მუშაობას ამერიკელი სპეციალისტებისა და მრჩევლების ჯგუფი დაიწყებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქსნის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან ორმა პატიმარმა სცადა გაქცევა. გაქცევის მცდელობა 3 აგვისტოს დაფიქსირდა, თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ გუშინ გავრცელდა. 29 წლის გოჩა ციხისელმა და 27 წლის ლევან ჩაგელიშვილმა აკრძალულ ზონაში მოახერხეს გადასვლა. მსჯავრდებულები გუშაგმა დაინახა და გამაფრთხილებელი გასროლა მოახდინა, რის შედეგადაც ისინი ადგილზე შეჩერდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საზღვრის უკანონო გადმოკვეთაში ეჭვმიტანილი ჩეჩენი პატიმრების ისაევის, გელოგაევის, ელიპაჯიევის და ალხანოვის სასამართლო პროცესები სექტემბრისთვის გადაიდო. ჩეჩენი პატიმრების საქმეების განხილვა საოლქო სასამართლოში მოსამართლეების შვებულებაში გასვლის მიზეზით დროებით არის შეჩერებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ეროვნული გვარდიის საჩხერის მე-16 სამთო ბატალიონის კაპრალის ნიკა ჭკადუას სიკვდილის მიზეზის დადგენა სამედიცინო ექსპერტიზისთვის თითქმის შეუძლებელია. როგორც ცნობილია, ორი თვის წინ დაკარგული ჭკადუას გვამი გუშინწინ იპოვეს. საჩხერის რაიონის სამედიცინო ექსპერტის ზაზა მაჭარაშვილის განცხადებით, გვამს ყველა რბილი ქსოვილი დაშლილი ჰქონდა, რის გამოც ექსპერტიზა სიკვდილის მიზეზს ვეღარ დაადგენს. მისივე თქმით, ერთადერთი, რაც გარეგნული დათვალიერებით შეინიშნებოდა, მარცხენა ბარძაყის ძვლის მოტეხილობა იყო.

ამის მიუხედავად, ჭკადუას მშობლებმა მაინც გადაწყვიტეს, რომ ექსპერტიზა თბილისში ჩატარებულიყო და ამ მიზნით, გვამი ანალიზის შედეგების გადასამოწმებლად საჩხერიდან თბილისში ჩამოიტანეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 34 წლის გოჩა საღინაძე თბილისში, საქანელას ქუჩაზე მდებარე საკუთარ სახლში ჩამომხრჩვალი იპოვეს. გამოძიება ამჟამად თვითმკვლელობის ვერსიაზე მუშაობს. საქმეს თბილისის მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურა იძიებს. დანიშნულია გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დაბა სურამში მცხოვრები, 25 წლის კობა ხაჩიძის გვამი თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე აღმოაჩინეს. მას სასიკვდილო დაზიანება თავის არეში ბლაგვი საგნის ჩარტყმით ჰქონდა მიყენებული. პოლიციელებმა უკვე დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი თერჯოლელი, 27 წლის გოდერძი ჩხიკვაძე. წინასწარი ინფორმაციით, ჩხიკვაძე ხაჩიძის გაძარცვას ცდილობდა, მსხვერპლის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ კი მას თავის არეში ბლაგვი საგანი ჩაარტყა. დაკავებულისაგან კობა ხაჩიძის კუთვნილი მობილური ტელეფონი ამოიღეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანზე წუხელ მომხდარ ავტოავარიას 31 წლის დავით კირთაძის სიცოცხლე ემსხვერპლა. ავტომანქანა „ფორდ ორიონი“, რომელსაც კირთაძე მართავდა, შეეჯახა გაჩერებულ „მერსედესის“ მარკის მიკროავტობუსს, რომელსაც 47 წლის ელიზბარ შენგელია მართავდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. წარსულში ნასამართლევი, ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთის მკვიდრი, 17 წლის ლაშა ღონღაძე 29 ივლისს თავის მშობლიურ სოფელში ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით პოლიციელებმა გუშინ თბილისში, კოსტავას ქუჩაზე დააკავეს. ღონღაძემ დანის მუქარით, 12 წლის მარიამ დოლიძეს ოქროს სამკაულები, ხოლო 15 წლის სოფიო გიკაშვილს - მობილური ტელეფონი გასტაცა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. დედაქალაქის ტერიტორიაზე შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ჯგუფი დაუფინანსებლობას უჩივის. ჯანდაცვის საქალაქო სამსახურს კუთვნილი თანხა მათთვის დღემდე არ გადაურიცხავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ადგილობრივი სამსახურისა და საქართველოს პედიატრთა სამეცნიერო ასოციაციის ინიციატივით, ქუთაისში რეგიონალური სამედიცინო ასოციაცია დაარსდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 64 წლის ქალბატონი მენინგოკოკური ინფექციით გარდაიცვალა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ინფექცია ბორჯომელ ქალბატონს სახლში განუვითარდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. არასამთავრობოთა კოალიციის განცხადებით, ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე 32 პროგრამიდან არც ერთი არ შესრულებულა, ამ სფეროების დაფინანსებაზე კი მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 1,1 პროცენტი მოდის. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარებედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ორი სიტყვით

თბილისი. სოხუმის დაცემის დღეს - 27 სექტემბერს, აფხაზეთში აფხაზურ-აბაზინური საერთაშორისო ორგანიზაციისა და კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ერთობლივი ყრილობა გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთის აღდგენის საკითხებზე მომუშავე, საქართველოს სამთავრობო კომისიის ხელმძღვანელი, ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე გია ნიჟარაძე აპროტესტებს გავრცელებულ ინფორმაციას ქართული მხარის გარეშე რუსეთისა და აფხაზეთის რკინიგზელების შეხვედრისა და ფსოუ-ინგურის მონაკვეთზე აღდგენითი სამუშაოების დაწყების თაობაზე და მოლაპარაკებების მონაწილე რუსული მხარისგან ოფიციალურ განმარტებას მოითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს რეკომენდაციების 90 პროცენტი შეუსრულებელია და ეს რეკომენდაციები, პირადად, ქვეყნის პირველი პირისგან, პრეზიდენტისგან იბლოკებოდა, – განაცხადა „ეროვნულ ძალთა გაერთიანების“ ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. ძიძიგურის თქმით, თავდაცვის სამინისტროში კორუფცია მძვინვარებს. გაყიდულია ოთხი დიდი ობიექტი: ე. წ. ელიავას სამხედრო ბაზა, ისნის სამხედრო ბაზა, თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე სამხედრო აკადემიის შენობა და ბორჯომის სამხედრო ბაზა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. „ლეიბორისტების“ ოფისთან მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, შს საგამოძიებო სამსახურის თბილისის სამმართველომ მონარქისტული პარტიის სამი წევრი — მიქაია, ჭილაძე და მიქაუტაძე დააკავა, რომელთაც ხულიგნობაში ედებათ ბრალი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტარი დემურ გიორხელიძე არ უარყოფს ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის შოთა სანდუხაძის ბრალდებას, თითქოს ის საქართველოს უშიშროების სამსახურის აგენტია და ამ სამინისტროს დირექტივებს ასრულებს. გიორხელიძე აცხადებს, რომ იგი მზად არის, მოიხსნას სადეპუტატო იმუნიტეტი, რათა შესაბამის ორგანოებს მისი დაკითხვის საშუალება მიეცეს. "ანტისახელმწიფოებრივი არაფერი ჩამიდენია. მიმაჩნია, რომ საკუთარი ქვეყნის უშიშროების სამსახურთან თანამშრომლობა ნებისმიერი მოქალაქის ღირსების საქმეა," – აცხადებს გიორხელიძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საკონსტიტუციო სასამართლოს (ე.წ. იმელის) შენობასთან მოშიმშილე აფხაზეთის ომის მონაწილეები, რომლებმაც ეს აქცია ორი კვირის წინათ შეწყვიტეს, სექტემბრიდან რადიკალური ნაბიჯებით იმუქრებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სოხუმში ახლახან დაბრუნებული აფხაზთა პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას ბრძანებით, 30 სექტემბრისთვის „გამარჯვების“ 10 წლისთავის აღნიშვნის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარედ ე. წ. პრემიერი რაულ ხაჯიმბა დაინიშნა. ქალაქში იუბილესთან დაკავშირებით სარესტავრაციო სამუშაოები ტარდება, რომელსაც თურქული სამშენებლო ფირმები ასრულებენ. ამ დღისთვის სეპარატისტული ხელისუფლება სოხუმის ცენტრში რამდენიმე ფეშენებელური სასტუმროს გახსნას გეგმავს. არძინბას განკარგულებით, 30 სექტემბრისთვის რამდენიმე დღით სოხუმში ჩამოსული სტუმრები ამ სასტუმროებში უფასოდ განთავსდებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარტიზანული გაერთიანების “ტყის ძმების” ლიდერი დავით შენგელია აცხადებს, რომ პარტიზანები აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას არ დაუშვებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეც-წარმომადგენელი, ჰაიდი ტალიავინი 7 აგვისტოს სოხუმს იმ მიზნით ეწვევა, რათა გაარკვიოს 2001 წელს კოდორის ხეობიდან აფხაზეთში გელაევის რაზმების შესვლის შედეგად შეწყვეტილი მოლაპარაკების განახლების ვადა, რომელიც გაერო-ს საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში მიმდინარეობდა. **პრაიმ-ნიუსი**

ჯეიმს ბეიკერი ჯემალ გამახარიასთან დამარცხდა

ბაჩო ბაკურაძის ფოტო

ოპოზიცია: ჩვენ ჩვენი გითხარით და თქვენ რა სოფელსაც ააშენებთ, იმასაც ვნახავთ!

ᲖᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

კომისიებში ვითარებას ის პოლიტიკური პარტიები აკონტროლებენ, რომლებიც ხელისუფლებისათვის ყველაზე მისაღებია. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ "მოქკავშირის", "აღორძინებისა" და "მრეწველების", ანუ სამთა ერთობა ყველა დონის საარჩევნო კომისიებში ხმების ორ მესამედს დაეპატრონა. ეს კი ნიშნავს, რომ არჩევნების პერიოდში ვერც ერთი საუბნო, საოლქო და ვერც ცენტრალური საარჩევნო კომისია ვერ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ხელისუფლებისათვის მიუღებელი იქნება.

ადგილობრივი არჩევნების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, სამივე პარტია ყველაზე დაბალრეიტინგულია. ყოველ შემთხვევაში, თბილისში გამართულ პროპორციულ არჩევნებში მათ ყველაზე მოკრძალებული შედეგი აჩვენეს. თბილისი კი ამომრჩეველთა ხმების თითქმის ნახევარს უდრის.

წაუცდებათ თუ არა მათ ხელი გაყალბებებისაკენ, მით უფრო, რომ კომისიაში ხმათა ორ მესამედს ფლობენ? – ამიერიდან ამ კითხვას მხოლოდ რიტორიკის მოყვარულნი თუ დასვამენ, რადგან პასუხი სრულიად ცხადია.

უნდა ითქვას, რომ მთელი ამ ხნის განძილზე ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც მოქმედება იმ ჩარჩოების ფარგლებში უწევდა, რასაც "ბეიკერის მოდელი" ეწოდებოდა. ასე რომ, ცესკო-ს დაკომპლექტების ვარიანტების რაოდენობა აშკარად შეზღუდული იყო. ღიად ბეიკერის მოდელზე უარის თქმა ქვეყანას და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ხელისუფლებას საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააგდებდა. მით უფრო ახლა, როდესაც ქვეყანაში საკმაოდ გახშირდა საუბრები პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის საფრთხეზე. აქედან გამომდინარე, სამთავრობო ბლოკი ძველ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ღიად ვერ შეინარჩუნებდა. **"ამ ცესკო-ს არ დავტოვებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი სკანდალი გარანტირებული გვაქვს. რაში გვაწყობს, არჩევნებამდე ჟვანია და სააკაშვილი ფეხი-ფეხზე გადადებული ისხდნენ და რა შედეგებითაც არ უნდა დასრულდეს არჩევნები, მერე ყვირილი დაიწყონ – შედეგები ამ ცესკო-მ გაგვიყალბაო,"** – განუცხადა ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ "24 საათს" სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა.

სწორედ ამის გამო გამოჩნდა ბეიკერის მოდელის გამახარიასეული ინტერპრეტაცია, რომელიც, ერთი შეხედვით, სულაც არ არღვევდა პროპორციებს. მით უფრო, რომ ცალკე "მრეწველები" და ცალკე "აღორძინება" ერთსულოვნად ამტკიცებენ, რომ სწორედ ისინი არიან ყველაზე დიდი ოპოზიციონერები.

მთლიანობაში კი უნდა ითქვას, რომ ის, რაც ბოლო დღეების მანძილზე საქართველოს პარლამენტში ხდებოდა, ღია პოლიტიკური ბრძოლის აშკარა მაგალითი იყო. ფართომასშტაბიანი საპროცედურო ომი ოპოზიციური ფრაქციების მარცხით დასრულდა. მართალია, დასაწყისში პოზიციურ ბრძოლებს ეს ფრაქციები იგებდნენ, მაგრამ სახელისუფლებო ფრთის სრული მობილიზაციის წყალობით, საბოლოო გამარჯვება ხელისუფლებას დარჩა.

თუკი ამ ომში ოპოზიცია მთავარ იარაღად რეგლამენტს იყენებდა, გუშინ სახელისუფლებო ფრაქციებმა და, მათთან ერთად "აღორძინებამ" და "მრეწველებმა", ასევე აფხაზეთის დეპუტაციამ, მიზნის მისაღწევად, რეგლამენტის დაცვაზე უარი განაცხადა. ყოველ შემთხვევაში, ასე აფასებენ ოპოზიციური ფრაქციები იმას, რაც პარლამენტის სხდომათა დარბაზში მოხდა.

საქმე ის არის, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ე. წ. გამახარიასეული მოდელი პარლამენტში მაშინ გამოჩნდა, როცა დეპუტატები საარჩევნო კოდექსს მეორე მოსმენით იხილავდნენ. პარლამენტის რეგლამენტი მეორე მოსმენის პროცესში კანონპროექტის რომელიმე კონკრეტული მუხლის პირველი მოსმენით განხილვას არ ითვალისწინებს, ანუ არ შეიძლებოდა ცესკო-ს დაკომპლექტების ახალი მოდელის კოდექსიდან ამოგლეჯილად, ცალკე განხილვა. მაგრამ სახელისუფლებო ფრაქციებმა ბატონი ჯემალის სქემის კენჭისყრაზე დაყენებას და დაჩქარებული წესით მიღებას, ძალების სრული მობილიზაციით, მაინც მიაღწიეს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესის მიღებასთან ერთად, საპარლამენტო უმრავლესობამ საარჩევნო კოდექსის ის მუხლი ჩააგდო, რომელიც კომისიებში წევრთა დანიშვნის პროცედურას განსაზღვრავს. სხვა შეზღუდვებთან ერთად, ამ პუნქტში ერთი ნორმაც იყო ჩადებული: საარჩევნო კომისიების წევრობა ეკრძალებოდათ იმ ადამიანებს, რომლებიც 1992 წლიდან მოყოლებული, ცესკო-ს ან საოლქო კომისიების წევრები იყვნენ.

აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გამორიცხული, ახალი ცესკო მისი ძველი წევრებით დაკომპლექტდეს. ასე მაგალითად, ჩვენთვის ცნობილია, რომ, როგორც არ უნდა დაკომპლექტდეს ცენტრალური საარჩევნო კომისია, მისი წევრი აუცილებლად იქნება საკმაოდ სკანდალური დენის დავითაშვილი. ასევე, როგორც ამბობენ, კომისიის შემადგენლობაში დარჩება მისი დღევანდელი თავმჯდომარე გია ზესაშვილიც.

და ბოლოს: ის, რაც პარლამენტში გუშინ მოხდა, უახლოეს დღეებში საკმაოდ მკვეთრი და მწვავე პოლიტიკური განცხადებების მიზეზი გახდება. თავის პოზიციას გამოხატავს არასამთავრობო სექტორიც (სხვათა შორის, გუშინ, ამ საბედისწერო კენჭისყრის წინ, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა პარლამენტს ოცი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმოწერილი წერილი გააცნო. მასში არასამთავრობოები პარლამენტს ბეიკერის მოდელის გათვალისწინებას სთხოვდნენ, რადგან, სწორედ ამ მოდელით დაკომპლექტებული სარჩევნო ადმინისტრაციები იძლეოდა იმის იმედს, რომ არჩევნებს ტოტალური გაყალბების საფრთხე არ დაემუქრებოდა). მაგრამ პარლამენტმა მესამე სექტორის პოზიცია არაფრად ჩააგდო.

"სამართლიანი არჩევნებისთვის" ყველაზე პრიორიტეტული ისეთი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირებაა, რომელსაც საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების ნდობა ექნება. ჩვენ უთუოდ წინგადადგმულ ნაბიჯად შევაფასებდით ცესკო-ს ფორმირების ახალ წესს, რომ არა ერთი გარემოება. პარლამენტმა ჩააგდო საარჩევნო კოდექსის ცვლილებათა ის პუნქტი, რომელიც ამჟამად მოქმედ ცესკო-ს წევრებს ახალი ცესკო-ს წევრობას უზღუდავდა. ეს ნიშნავს, რომ ახალ ცესკო-შიც შეიძლება ვიხილოთ ძველი სახეები. ეს კი იმთავითვე შეამცირებს ნდობას ახალი საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ და იმის სერიოზულ საფრთხეს შექმნის, რომ საზოგადოებამ მიიღოს ის შედეგები, რასაც ცესკო გამოაცხადებს. "სამართლიანი არჩევნები" შიშობს, რომ მივიღებთ ცესკო-ს, რომელიც, ერთი შეხედვით, ბეიკერის ფორმულის მიხედვით - 1+5+9 - იქნება დაკომპლექტებული, მაგრამ ეს არსებითად იგივე ცესკო იქნება, რაც დღეს გვაქვს. რამდენად მისაღებია ასეთი ცესკო, ეს ქართული საზოგადოების გადასაწყვეტია", - განუცხადა "24 საათს" ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

არჩევნებზე პასუხისმგებელი საქართველო იქნება

ბაჩო ბაკურაძის ფოტო

- გაიგე, რა უნდათ ქართველებს?
- შენ თუ გაიგე?..

ეუთო ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთვის და ჩვენს ქვეყანაში დამკვირვებელთა გრძელვადიან და მოკლევადიან მისიას გამოგზავნის. ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელის განცხადებით, სექტემბერში ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი საქართველოში გრძელვადიან დამკვირვებელთა 25-კაციან ჯგუფს მოავლენს. ჯგუფი არჩევნებისთვის მონიტორინგს განახორციელებს. არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, დამკვირვებლის სტატუსით, ეუთო-სა და ევროკავშირის 400-მდე წარმომადგენელი ჩამოვა. ისინი უშუალოდ არჩევნების დღეს საქართველოს ყველა რეგიონში გააკონტროლებენ პროცესებს. უნდა აღინიშნოს, რომ გრძელვადიანი დამკვირვებლები ჩვენთან გაცილებით უფრო ადრე დაიწყებენ საქმიანობას, ვიდრე ეს, ტრადიციულად, სხვა ქვეყნებში ხდება.

როი რივმა გუშინ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეუთო ყოველმხრივ შეეცდება, ჩვენს ქვეყანას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებაში დაეხმაროს. **"უშუალოდ პასუხისმგებელი კი საქართველო იქნება",** - აღნიშნა საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა.

მიწის რეგისტრაცია გამარტივდება

ᲡᲝᲤᲘᲙᲝ ᲝᲮᲐᲜᲐᲫᲕᲘᲚᲘ

გურიის, სამეგრელოს და აჭარის მოსახლეობისათვის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მიწისა და სხვა უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცესის გასაცნობად, სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის (ADP) მიწის რეგისტრაციის განყოფილებამ (LRU) სპეციალური სემინარი გამართა. მას ნოტარიუსები, რეგიონების მიწის მართვის სამმართველოებისა და ბანკების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მიწის რეგისტრაციის განყოფილების იურისტის სევერიან თურქიას თქმით, ამ დროისათვის სისტემური წესით რეგისტრირებულია მილიონზე მეტი მიწის ნაკვეთი, სპორადული ანუ მოთხოვნის წესით - 100 ათასობით მიწის ნაკვეთი. ახლა პრობლემა ისაა, რომ მოსახლეობა საჭირო დოკუმენტაციის შეგროვების მიზნით სხვადასხვა უწყებაში დადის, რაშიც დროსთან ერთად საკმაოდ სოლიდურ თანხებსაც ხარჯავს. არადა, რეგისტრაცია მხოლოდ შვიდი ლარი ღირს. სისტემური რეგისტრაცია კი, რომელსაც მიწის რეგისტრაციის განყოფილება თვითონ ახორციელებს, საერთოდ უფასოა. თურქიას თქმითვე, დოკუმენტაციის შეგროვების პროცედურის გამარტივებაც შესაძლებელია.

პროექტის განხორციელება 1998 წლიდან დაიწყო და 2004 წლის აპრილში დასრულდება. მიწის რეგისტრაციის განყოფილების ხელმძღვანელის ივერი მელაშვილის განცხადებით, ახალი ტექნოლოგიებით მიწისა და სხვა უძრავი ქონების რეგისტრაცია უკვე ხორციელდება მცხეთისა და გარდაბნის რაიონებში, სადაც მოსახლეობას ურიგდება მიწისა და სხვა უძრავი ქონების სარეგისტრაციო მოწმობები. ასევე შერჩეულია 185 სპეციალისტი, რომელთა პრაქტიკული მომზადება სექტემბერში დაიწყება და სამ თვეს გაგრძელდება.

ჩაკეტილი ენერგოწრე და არარსებული გამოსავალი

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ეს აქტივები თუ "რაოსი", ისინი სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს. თუმცა, ძნელი სათქმელია, მოახერხებს თუ არა ამ გეგმის განხორციელებას ხელისუფლება, რომელსაც "თელასის" აქტივები, ფაქტობრივად, თვალწინ აწაპნეს.

ასეა თუ ისე, გარიგება შედგა და, როგორც "ეი-ი-ეს"-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯონ ჰეიფეკერი ირწმუნება, "თელასი" უკვე "რაოს" საკუთრებაა. თუმცა, ჰეიფეკერის მიერ საქართველოს მთავრობისათვის მიწოდებული ეს ინფორმაცია, ჯერჯერობით, მხოლოდ ზეპირ განცხადებად რჩება. გარიგების დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა კი მთავრობას ჯერ არ გააჩნია. ყველა წერილი, რომელიც დღემდე საქართველოდან "ეი-ი-ესის" არლინგტონის ცენტრალური ოფისის მიმართულებით გაიგზავნა, უპასუხოდ არის დარჩენილი. მთავრობა კი წინასწარ ირწმუნება, რომ კორპორაციასთან დავას იურიდიულად არავითარი აზრი არა აქვს. რატომ ყრის ფარხმალს აღმასრულებელი ხელისუფლება?

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის გიგი წერეთლის განცხადებით, **"საქართველოში "პატრიოტი" ჩინოვნიკები ქრთამის მეშვეობით ჰყიდიან ქვეყნის ინტერესებს და დაუჯერებელია, რომ "რაოსა" და "გაზპრომის" საქართველოში შემოსვლით გარკვეული ჯგუფები დაინტერესებულნი არ იყვნენ."**

გარიგების გარშემო არსებული ბუნდოვანების გამო, ენერგოკრიზისის მიზეზების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისია "ეი-ი-ეს თელასის", სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და მთავრობის წარმომადგენლებს დღეიდან საჯაროდ დაკითხავს. თუ რომელიმე მოწვეული პირი დაკითხვაზე არ გამოცხადდება, კანონმდებლობის შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩუბინიშვილი მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეს აღძრავს.

ჩუბინიშვილის ვარაუდით, საეჭვოა მთავრობის განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ "ეი-ი-ესსა" და "რაოს" შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე არაფერი იცოდა, რადგან ჰეიფეკერი რამდენიმე დღის წინ საქართველოში იმყოფებოდა და პრეზიდენტ შევარდნაძესაც შეხვდა: **"ძნელად სარწმუნოა, რომ მთავრობა შეთანხმების პირობებით არ დაინტერესებულიყო. ნუთუ არაფერი ჰკითხეს ამ გარიგების პირობების თაობაზე?"**

და ბოლოს: დღეს "რაო ეეს როსსიის" გამგეობის თავმჯდომარე ანატოლი ჩუბაისი უნდა ჩამოვიდეს. შეხვედრაზე, სავარაუდოდ, საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის სოჭში მიღწეულ შეთანხმებათა რეალიზებაზე ისაუბრებენ. ამ შეთანხმებათა შორის იგულისხმება "რაო ეეს როსსიის" დაუოკებელი ექსპანსია საქართველოს ენერგობაზარზე, რაც, ჯერჯერობით, "თელასის" ხელში ჩაგდებით დაგვირგვინდა. უახლოეს მომავალში კიდევ რა სიურპრიზებს გვიმზადებს რუსული ელექტროენერგეტიკული გიგანტი, უცნობია. თუმცა, ამთავითვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საუბარი მდინარე ენგურის კასკადის "რეაბილიტაციასა და დახვეწას" შეეხება. ამ კასკადში, ენგურჰესის გარდა (რომელსაც, მადლობა ღმერთს, ამჟამად ევრობანკის კრედიტით გერმანული "დე-ეს-დე" არემონტებს), დაკონსერვებული ხუდონჰესი და აფხაზეთის ომის დროს წყალში ჩაძირული ვარდნილჰესების კასკადი შედის.

თუმცა, გუშინ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში კიდევ ერთმა საინტერესო ინფორმაციამ გაიჟღერა. როგორც გაირკვა, "რაო ეეს როსსიისთან" სასაუბრო თემებს ცხინვალის რეგიონის ელექტრომომარაგების საკითხიც უნდა დაემატოს. საქმე ისაა, რომ სამხრეთ ოსეთის მიერ 1998-1999 წლებში "რაოსადმი" დაგროვილი ვალი, ცხინვალის ადმინისტრაციის განცხადებით, ქართული მხარის გადასახდელია.

მაკაბაისი კრემლის მითითებებს ასრულებს

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

- დაინტერესებულია ყველა ოლიგარქი, ვინც დღეს აშშ-სთან აქტიურად თანამშრომლობს და ვინც ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ნავთობისა და გაზსადენების ინფრასტრუქტურის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობს. არც სომხეთი, და მითუმეტეს, არც საქართველო დამოუკიდებლად ენერგეტიკული პრობლემების გადამჭრელნი არ არიან, ამიტომ მოსკოვის ჩარევა პირადად მე დროული და სასარგებლო მგონია. ნუ ვიქნებით მიამიტნი და ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს აშშ-ს სურვილების საწინააღმდეგოდ ხდება. დღეს კრემლს საქართველო ნაკლებად აღელვებს, ისევე, როგორც ამერიკას. ისინი უკვე გარიგდნენ ერაყში. ამჟამად ნავთობის არტერიებზე მიდის სერიოზული ვაჭრობა და აქ უკვე წინა პლანზე თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნის თემატიკა მუშავდება. საგულისხმოა ისიც, რომ ვაშინგტონი მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ ქსელის უმოკლეს ვადაში ამუშავებას.

- **აფხაზეთის პრობლემა როგორ ჯდება ამ კონტექსტში?**

- გამორიცხული არაფერია, მით უფრო, რომ აფხაზეთის ეკონომიკის გამოცოცხლებით დღეს აქტიურადაა დაინტერესებული იგივე ვოლოშინი. პუტინის ადმინისტრაცია აქ აშშ-სთან შეთანხმებულად მუშაობს. მოსკოვი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, ყარსი-გიუმრის მონაკვეთის გახსნა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, დღეს რუსეთისა და აშშ-სთვის გეოპოლიტიკური აუცილებლობაა. ბუნებრივია, ამ პროექტებს ის დაოფინანსებს, ვისაც ფულიც აქვს და ინტერესიც.

იმერეთის პოლიცია "კანონიერი ქურდებისთვის" მოქალაქეობის ჩამორთმევას ითხოვს

ᲑᲔᲥᲐ ᲡᲘᲡᲐᲣᲠᲘ
ქუთაისიდან

იმერეთში ადამიანთა გატაცებებისა და ე. წ. “კანონიერი ქურდების" გააქტიურების ფონზე, სამხარეო პოლიციაში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება დაიწყო. საქმე ეხება ახალ განყოფილებას, რომელსაც მხოლოდ კრიმინალური ავტორიტეტების დაკავება ევალება. აღნიშნული დანაყოფი, სამხარეო პოლიციის უფროსის ზაზა ძნელაძის ინიციატივით, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში ჩამოყალიბდა. პოლიციის ასეთ სამსახურს საქართველოში, ჯერჯერობით, ანალოგი არა აქვს.

პოლიციის სტატისტიკით, ამჟამად სულ 58 "იმერული წარმოშობის" ქურდია დაფიქსირებული, აქედან 40-მდე რუსეთში მოღვაწეობს, დანარჩენები კი - საქართველოში.

ძნელაძის განმარტებით, განყოფილება კრიმინალების ლიდერთა მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენას არ დაელოდება და შეეცდება, ავტორიტეტები დანაშაულებრივ ქმედებებში მანამდე ამხილოს. რაც შეეხება უცხოეთში მყოფ ქურდებს, მათ მიმართ პოლიციას სხვა სიურპრიზი აქვს. სამხარეო პოლიციის უფროსის ინფორმაციით, “ავტორიტეტების” უმეტესობას ორმაგი, საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეობა გააჩნია. ასეთი უკვე 20 ქურდია დადგენილი. პოლიციამ მათ მიმართ იუსტიციის სამინისტროში განცხადება შეიტანა და მათთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა მოითხოვა. ძნელაძე ირწმუნება, რომ იუსტიციის სამინისტრო მათ მოთხოვნას უახლოეს ხანში დააკმაყოფილებს. იგი სიაში მყოფი რამდენიმე ქურდის ვინაობასაც ასახელებს: ანზორ ხუციშვილი, კობა გველესიანი (მეტსახელად “სისინა”), ვიქტორ სტურუა (“ბიხტია”), მერაბ სინატაშვილი (“მაფია”) და ასე შემდეგ... მათთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის შემდეგ კი პოლიცია ქვეყნის საზღვარზე აამუშავებს კანონს მოქალაქეობის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ იმ “პირებს, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებას და საზოგადოებრივ წესრიგს საფრთხეს უქმნიან", საზღვარზე არ შემოუშვებენ... ასე რომ, არ არის გამორიცხული, რუსეთის პასპორტის მქონე “კანონიერი ქურდებისთვის” საქართველოს საზღვარი დაიკეტოს, თუმცა ამ ფაქტს ისევ სამართალდამცავებში და საზღვრის დამცველთა რიგებში არსებული კორუფცია შეუშლის ხელს.

კრიმინალური ლიდერების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსად გია ფესტვენიძე დაინიშნა, მანამდე იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლ განყოფილებაში მუშაობდა. აღნიშნული განყოფილება ერთი თვეა, რაც შეიქმნა და ტრასაზე მოქმედი ყაჩაღთა 4-კაციანი ბანდა დაიკავა. ამ დროისათვის მათ 7 ყაჩაღური თავდასხმა უკვე აღიარეს.

იმერეთის სამხარეო პოლიციაში არსებული მეორე ცვლილება კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების მუშაობას ეხება. აღნიშნული განყოფილება ამჟამად სამმართველოდ გადაკეთდა, რომლის შემადგენლობაშიც სახელმწიფო და კერძო სამსახურებში კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილებები ცალ-ცალკე შევიდა. ასევე შეიქმნა უაქციზო სიგარეტის, ყალბი ფულისა და საავტორო უფლებების დარღვევის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილებაც. აღნიშნული სამმართველოს უფროსის თანამდებობა, ჯერჯერობით, ვაკანტურია.

იმერეთის სამხარეო პოლიციაში თავს იმითაც იწონებენ, რომ ახლახან ნარკოტიკების ერთ-ერთი მსხვილი რეალიზატორი თემურ ფხაკაძე, მეტსახელად “თემურჩია”, დააკავეს. მიუხედავად იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის, ზაზა ძნელაძის ოპტიმისტური განწყობისა, იმერეთში კრიმინოგენული ვითარება მეტად დაძაბული რჩება. განსაკუთრებით საგანგაშოა ადამიანის გატაცების გახშირებული ფაქტები. სტატისტიკური მონაცემებით, შარშან მხარეში გატაცების სამი შემთხვევა დაფიქსირდა, წელს კი - შვიდი. პოლიცია მხოლოდ იმით ინუგეშებს თავს, რომ აქედან 6 გახსნილია. აღნიშნული სახის დანაშაული კი იმდენად გახშირდა, რომ ადამიანებს ათასი დოლარისთვისაც იტაცებენ. მაგალითად, სამტრედიაში შორენა ონიანის დაბრუნების სანაცვლოდ გამტაცებლები 1000 დოლარს ითხოვდნენ.

იმატა გაუპატიურების ფაქტებმაც, თუკი შარშან ანალოგიური სახის დანაშაულის არც ერთ ფაქტს არ ჰქონდა ადგილი, წელს შვიდ თვეში 4 ფაქტი დაფიქსირდა. აქედან ერთი - მანიაკალური გადახვევით, ყაჩაღური თავდასხმისას ერთ-ერთმა დამნაშავემ, რომელიც 17 წლისაა, ხანდაზმული ქალი გააუპატიურა. ანალოგიური ქმედებისთვის მას უკვე ერთხელ სასჯელი მოხდილი ჰქონდა. აღნიშნული პირის ვინაობას სამართლდამცავები არ ამხელენ.

ჯანდაცვას

საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მისაბაძი პრეცედენტი მოხდა. თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკამ (“ოფთალმიჯი”) მოსკოვში საკუთარი სახსრებით შეიძინა 500 ცალი ხელოვნური ბროლი და თვალის კატარაქტის პაციენტისათვის უფასო ოპერაციების გაკეთება დაიწყო. კერძო კლინიკამ ამით ხელი შეუწყო საქართველოში სახელმწიფოს მიერ კატარაქტის პილოტური პროექტის განხორციელებას. სახელმწიფოსთან თანამშრომლობა გაფორმებულია ოფიციალური ხელშეკრულებით საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდთან, რომელიც თითოეულ ოპერაციაში 200 ლარს იხდის.

“ძლივს მივედი ამ პროექტამდე, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რაიონებში მაცხოვრებელთათვის. ჩვენ მათ უფასო ოპერაციებს, ფაქტობრივად, სახლში ვუკეთებთ. მოგეხსენებათ, “ოფთალმიჯს” მოძრავი საოპერაციო და მობილური ბრიგადა ჰყავს, რომელიც ყველა რეგიონში ჩადის და უსახსრო პაციენტებს ეხმარება. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, ხალხს ისე უჭირს, რომ უფასო ოპერაციებზე დაგვიბარებია თბილისში და 30-დან სამის მეტი ვერ ჩამოსულა. გზის ფული და ღამის გასათევი არ აქვთ. ახლა ბევრისთვის ეს პრობლემა მოიხსნება”, - გვითხრა “ოფთალმიჯის” ხელმძღვანელმა გიორგი ჯავრიშვილმა, რომელიც დღეს კასპში (თავის სამშობლოში) კატარაქტის 16 ოპერაციას გააკეთებს, უფრო სწორედ - რვას. დანარჩენს მეორე ქირურგი მიხედავს. “ოფთალმიჯი” ამითაც გამორჩეულია, რომ იქ ოპერაციებს ერთი კაცი არ აკეთებს და სხვა ცნობილი სპეციალისტებიც მოღვაწეობენ.

წელს საქართველოში კატარაქტის 1400 უფასო ოპერაცია უნდა გაკეთდეს, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გერმანულ ორგანიზაციას, “კრისტოფელის უსინათლოთა მისიას”, რომელიც საქართველოს 900 ცალი ბროლით მოამარაგებს. პროგრამაში ჩართულია თვალის სნეულებათა კლინიკა “მზერა”, ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრი და თსსუ ოფთალმოლოგიური კლინიკა.

24 საათი

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

მალხაზ კაკაბაძე: "აფხაზებთან ურთიერთობას 24 საათში გავარკვევთ"

"საქართველო აფხაზეთის დაკარგვას არასოდეს შეურიგდება. არის შანსი, არის პირობები, საერთაშორისო საზოგადოება და მეგობარი ქვეყნები ყველანაირად მხარში გვიდგანან. მოდით, განვავითაროთ პროცესი და ჩვენ მშვიდობიანად დავიბრუნებთ აფხაზეთს," – განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე მიიჩნევს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საკითხი ახალ სტადიაში შედის.

სოფო ბუკია

- ბატონო მალხაზ, თქვენ სულ ცოტა ხნის წინ დაბრუნდით ჟენევიდან, სადაც მოლაპარაკებებში აფხაზური მხარეც მონაწილეობდა. რა საკითხები განიხილებოდა შეხვედრაზე და მიღწეულ იქნა თუ არა რაიმე შეთანხმება?

- შეთანხმება? ლოგიკური კითხვაა, მაგრამ, სამწუხაროდ, სამშვიდობო მოლაპარაკებები იმდენად რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომ შედეგის მიღწევა ასე უცბად არ ხდება.

- უცბად? ათ წელიწადზე მეტია, აფხაზეთი დავკარგეთ...

- რეალურად, 2001 წლის მარტიდან სამშვიდობო პროცესი ეპიზოდურ, იმპულსურ ხასიათს ატარებდა. ყოველი შეხვედრა გამოწვეული იყო არც თუ სასიამოვნო მოვლენებით: მკვლელობებით, გატაცებებით, მძევლად აყვანით და ა.შ სამშვიდობო პროცესი სწორედ ამ არაორდინალური ქმედებების მძევალი გახდა. სამშვიდობო პროცესი, თუ კი ის არსებობს, რომელიმე მხარის ნება-სურვილის მძევალი არ უნდა გახდეს. ამ შემთხვევაში კი, არ დაგიმალავთ, იგი ფაქტობრივად აფხაზური მხარის მძევალი გახდა. თუმცა, რთულია პირდაპირ დავადანაშაულოთ აფხაზური მხარე, ამ საკითხს ძალიან ფრთხილად ვეკიდები. სამწუხაროდ, ეს იმდენად ტრაგიკული ფურცელია საქართველოს ისტორიისა, რომ მისი მოგვარება უამრავ პრობლემასთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით, დროსთან. საერთოდ, მე შორს ვარ იმ მოსაზრებიდან, რომ ეს ეთნიკური კონფლიქტია. ცხადია, მას აქვს გარკვეული ეთნიკური შეფერილობა, მაგრამ ეს წმინდა წყლის პოლიტიკური კონფლიქტია.

- ჟენევას დავუბრუნდეთ, რა შთაბეჭდილებით დაბრუნდით? თქვენი საუბრიდან გავიგეთ, რომ შეთანხმებებზე ლაპარაკი ჯერ შორსაა, მაგრამ პერსპექტივა მაინც თუ არსებობს? მით უფრო, რომ თქვენი საუბრიდან გამომდინარე, სამშვიდობო პროცესი შეჩერებული იყო და ჟენევის შეხვედრით რაღაც ცვლილებები მოხდა...

- ყველაზე მნიშვნელოვანია მსოფლიო თანამეგობრობის, გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების მონაწილეობა ამ კონფლიქტის მოგვარების საქმეში. არა მგონია, რომ ჩვენ ამ პრობლემის გადაწყვეტა მათ გარეშე შევძლოთ. შეიძლება, მეც მქონდეს გარკვეული დაუკმაყოფილებლობის გრძნობა იგივე საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ, მაგრამ დღეს სხვა ალტერნატივას ვერ ვხედავ.

მსოფლიო თანამეგობრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ჩიხიდან გამოიყვანოს სამშვიდობო მოლაპარაკებათა პროცესი და სწორედ ამის გამო, სერ ბრაიან ფოლის მიერ ინიცირებულ იქნა ჟენევის შეხვედრა, რომელიც გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილის გიენოს თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა. შეხვედრას გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების მაღალი რანგის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

საგანგებო საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე

ლიანი ბევრს ნიშნავს. თუმცა, ამ ეტაპისთვის, არ დაგიმალავთ, გარკვეული პრობლემები მაინც არის. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსული მხარე აპირებს აფხაზეთში დამოუკიდებლად ჩასვლას და ლიანდაგების მდგომარეობის ექსპერტიზის ჩატარებას, რაც როგორც სოჭში მიღწეულ შეთანხმებას, ისე სამუშაო ჯგუფებს შორის მოლაპარაკებასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება. თუ რუსეთის მხრიდან ამგვარი ცალმხრივი მოქმედებების აღსაკვეთად რაიმე ქმედითი ნაბიჯები არ გადაიდგა, ყოველგვარი მოლაპარაკებების გაგრძელება წარმოუდგენლად მიმაჩნია.

- ანუ მეგობარმა ქვეყნებმა ნორმალურად აღიქვეს სოჭის შეხვედრა და იქ მიღწეული შეთანხმებები?

- მოდით, ასე ვთქვათ - უკვე ნორმალურად აღიქვამს. გიმეორებთ, ჩვენ ამ საკითხზე ძალიან ბევრი ვიმუშავეთ.

- მოლაპარაკებების პროცესში მიღწეული შეთანხმებით, ცხადია, გარკვეული ვალდებულებები აფხაზურმა მხარემაც უნდა შეასრულოს. რა ბერკეტები არსებობს საიმისოდ, რომ აფხაზური მხრიდან ნაკისრი ვალდებულებები შესრულდეს? თუ ეს ყველაფერი საუბრის და სიტყვიერი შეთანხმების დონეზე რჩება?

- ჯერჯერობით, სამწუხაროდ, თვითონ ამ პროცესის ფორმატი სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, თუმცა, ამ რეკომენდაციების მუდმივ უარყოფას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს. არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო ან ვინმემ ნათქვამი მუქარად ჩამითვალოს, მაგრამ ვალდებულებების მუდმივ შეუსრულებლობას ან სტაგნაციამდე მივყავართ ან კონფლიქტის ხელახალ გაღვივებამდე.

- პარლამენტის ცნობილ დადგენილებაზე, გაერო-ს მეშვიდე თავის ამოქმედების შესახებ, რა აზრის ხართ? ხომ არ ნიშნავს ეს დადგენილება იმის აღიარებას, რომ სამშვიდობო პროცესი ჩიხშია შესული და იმ როლის უარყოფას, რასაც თქვენ სამშვიდობო პროცესს ანიჭებთ? თუ ეს ერთი პოლიტიკის გაგრძელებაა?

- მეშვიდე თავი მაინცდამაინც ძალის გამოყენებას არ გულისხმობს. იმ მოკრძალებული ცოდნის ფარგლებში, რომელიც აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში მონაწილეობით დამიგროვდა, გაერო-ს მხრიდან ძალის გამოყენება ნაკლებად მახსენდება. ცეცხლის შეწყვეტა - კი ბატონო, მაგრამ ძალის გამოყენებაზე რა მოგახსენოთ. ასე რომ, მოდით, რეალისტები ვიყოთ. ის, რომ დღევანდელი კონფლიქტი გარკვეულ ცვლილებას მართლაც მოითხოვს, თუკი სამშვიდობო მოლაპარაკებები სათანადოდ არ განვითარდა, ცხადია. სწორედ ამიტომ იყო მიღებული ეს დადგენილებაც. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, სამშვიდობო მოლაპარაკებების შეწყვეტა გაუმართლებელია. ჩვენ ყველა ეტაპი, ყველა ნაბიჯი უნდა გავიაროთ, რათა შემდეგ სათქმელად მაინც გვქონდეს, რომ მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ქართული მხარის მზაობისა ამ კონფლიქტის მოგვარების საქმეში, ამ ფორმატით შედეგს ვერ მივაღწიეთ.

- შემდეგი ფორმატი რა იქნება?

- დღეს რაიმე კონკრეტულზე საუბარი ძნელია. დავუბრუნდეთ ისევ მეშვიდე თავს, რომლის ამოქმედებას გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია სჭირდება, რაც მინიმუმ ხუთი მუდმივი წევრის თანხმობას გულისხმობს. არ ვიქნები მართალი არც მკითხველის და არც საკუთარი თავის წინაშე, თუ ცალსახად განვაცხადებ, რომ რუსეთი ხვალ ამ რეზოლუციის მიღებას მხარს დაუჭერს. თუნდაც იმ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ, რომ რუსეთი რეზოლუციის მიღებაში დავაარწმუნოთ. თუკი რუსეთი მეშვიდე თავის ამოქმედების აუცილებლობაში დაგვეთანხმა, მაშინ დამერწმუნეთ, მეშვიდე თავი საჭირო სულაც არ იქნება. ასე რომ, ის პროცესი, რაც დღეს არის, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, მოლაპარაკებების შეწყვეტა დაუშვებელია.

- აფხაზეთის საკითხში რუსეთის მხარდაჭერის მოპოვებას ქართულ ენერგოსექტორში მიმდინარე ცნობილი პროცესებით ხომ არ ვცდილობთ?

- არ ვიცი. ვერ გეტყვით. მე ასეთი რამ არ გამიგია. რეალობის გრძნობა ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს და სულ ხელდაკრეფით ჯდომა არ შეიძლება.

- ჩვენთან ინტერვიუში რუსეთის ელჩმა ვლადიმერ ჩხივიშვილმა განაცხადა, რომ პარლამენტის მიერ მიღებულმა დადგენილებამ გაერო-ს მეშვიდე თავის შესახებ კიდევ უფრო გაზარდა უფსკრული ქართველებსა და აფხაზებს შორის. ეთანხმებით მის მოსაზრებას?

- კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ, ცალსახა პასუხი ამ კითხვაზე არა მაქვს. იცით, მე მაქვს ჩემთვის შედგენილი პირობითი სია დამნაშავეებისა, ვისაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გაღვივებაში. რა თქმა უნდა, ამ სიის გახმაურებისაგან თავს შევიკავებ, მაგრამ არ დაგიმალავთ: აფხაზები ამ სიაში ყველაზე ბოლო ადგილზე არიან. ყველაზე მეტად ომმა აფხაზები აზარალა, რა თქმა უნდა, იმ ადამიანების შემდეგ, ვინც იძულებული გახდა, საკუთარი სახლ-კარი მიეტოვებინა.

არ მესმის, ამ დადგენილებას არასწორ ნაბიჯად რატომ აფასებენ? ხომ იცით, "ქურდს ქუდი ეწვისო". რატომ არავინ გვეუბნება გაერო-ს უშიშროების საბჭოზე, რომ ჩვენ დამნაშავეები ვართ? რეზო ადამიას საკმაოდ მწვავე გამოსვლები აქვს, მაგრამ ვერავინ ეწინააღმდეგება...

- რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ჰავიერ სოლანას განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ევროკავშირის ჯარები მზად არიან, დნესტრისპირეთში რუსეთის ჯარებს ჩაენაცვლონ და შემდეგ ეტაპად კი აფხაზეთი სახელდება. რა იცით ამის შესახებ?

- ეს არ არის ჭორი, ამგვარი რამ მართლაც ითქვა. 15 ივლისს შედგა ევროკავშირის პოლიტიკური კომიტეტის სხდომა ნატო-ს ერთ-ერთ კომიტეტთან ერთად, სადაც სწორედ ეს საკითხი განიხილებოდა, მაგრამ არანაირი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. თუმცა ფაქტი, რომ აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში იდგა, მნიშვნელოვანია. მაგრამ აქაც არის ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი, როგორ გითხრათ...

- რუსეთი?

- სწორედ რუსეთი. რუსეთი ამას არ დაუშვებს...

- სად და რა ფორმატის მოლაპარაკებები იგეგმება ახლო მომავალში?

- სექტემბერში ინტენსიური კონსულტაციები იგეგმება გაეროსთან, შესაბამის სტრუქტურებთან, არ გამოვრიცხავ მეგობარ ქვეყნებსაც. ძირითადად, საუბარი დევნილთა დაბრუნების პრობლემებზე იქნება. ეს კომპლექსური საკითხია და იმთავითვე უნდა ითქვას, რომ მარტივად ვერ გადაწყდება. შემოდგომაზე იგეგმება კონსულტაციები აფხაზურ მხარესთან უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებითაც. ოქტომბერში ვაპირებთ ბალკანეთის რომელიმე კონფლიქტურ ზონაში გამგზავრებას, რეალური პრაქტიკის გაცნობის მიზნით, რათა ვიცოდეთ როგორ განხორციელდა იქ სამშვიდობო პროცესი. ნოემბერში ისევ ჟენევაში მივემგზავრებით.

- თქვენ აღნიშნეთ, რომ დევნილთა დაბრუნების საკითხის განხილვა ძალიან აქტიურად მიმდინარეობს. რა სტადიაშია იგი და რა უშლის ხელს ამ პრობლემის გადაწყვეტას?

- ხელს უშლის უსაფრთხოების გარანტიები, რომლებიც პირველად გალის რაიონშია მისაღწევი. გალში დაბრუნდნენ ქართველები, მაგრამ ისინი სპონტანურად დაბრუნებულები არიან. ჩვენ, სამწუხაროდ, მათ უსაფრთხოებაზე პასუხს ვერ ვაგებთ. უსაფრთხოების ბერკეტები ჩვენს ხელთ არ არის. აფხაზურ მხარეს გალში ჩვენ ვთავაზობთ გარდამავალ, დროებით, ერთობლივ ადმინისტრაციას საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ. თუმცა, ჯერჯერობით, აფხაზური მხრიდან ამ წინადადებას ცალსახა წინააღმდეგობა ხვდება. იმედი გვაქვს, რომ მოლაპარაკებები ამ მიდგომას შეცვლის.

- "რომ არა რუსეთის ფაქტორი, აფხაზებთან ურთიერთობას ორ დღეში მოვაგვარებთ," – ეს ნადარეიშვილმა ჩვენთან საუბარში თქვა. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

- მე ამ დროს 24 საათამდე ვამცირებ. 24 საათში შესაძლებელია აფხაზებთან ურთიერთობის გარკვევა და გარწმუნებთ, ეს აფხაზების მიმართ ჩემი ემოციური განწყობა არ არის...

არძინბა მძიმედაა

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, მოსკოვში სამკურნალოდ მყოფი არძინბას ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. იმავე წყაროს ცნობით, მოსკოვიდან მიღებული ინფორმაციების თანახმად, სავარაუდოა, რომ არძინბამ 30 სექტემბრამდე, აფხაზეთის დამოუკიდებლობის 10 წლისთავის იუბილემდე დაასრულოს თავისი სიცოცხლე.

ვლადისლავ არძინბა 2001 წლის გაზაფხულიდან მკურნალობს და ამის გამო აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, პრაქტიკულად, არ მონაწილეობს. მორიგი სამკურნალო კურსის გასავლელად იგი მოსკოვში 30 ივნისს გაემგზავრა და პრეზიდენტის მოვალეობების შესრულება ვიცე-პრეზიდენტ ვალერი არშბას დაუკისრა.

აფხაზეთში მოქმედი კონსტიტუციით, პრეზიდენტის არჩევნები თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკაში 2004 წლის 3 ოქტომბრისთვის არის დანიშნული, მაგრამ დღევანდელ აფხაზეთში მოქმედი პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი მოძრაობები დარწმუნებულები არიან, რომ აფხაზეთში ვადამდელი სპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება გარდაუვალი იქნება. **ინტერ- პრესი**

ოპოზიციის კანდიდატები

არძინბას ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილმა პარტია "აიტაირამ" აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატებად მოსკოვში მოღვაწე, აფხაზეთის შს ექს-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი და "აიტაირას" თანათავმჯდომარე ლეონიდე ლაკერბაია ოფიციალურად დაასახელა. ამის შესახებ განცხადება გააკეთა პარტიის პოლიტსაბჭოს წევრმა დაორ ნაჭყებიამ. მისი თქმით - ამის შესახებ "აიტაირა" საბოლოო გადაწყვეტილებას მაშინ მიიღებს, როცა არჩევნების ჩატარების თარიღი ოფიციალურად გამოცხადდება. **ინტერ-პრესი**

მენაღარაშვილის პროტესტი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი სოჭსა და სოხუმს შორის საზღვაო მიმოსვლის აღდგენას "რუსეთის მიერ თავის პორტებში პირადული გემის შეშვებად" აფასებს. "26 ივლისს აფხაზური სასეირნო კატერის გაშვება ავანტიურა იყო" - განაცხადა მენაღარაშვილმა და იმედი გამოთქვა, რომ ამგვარ ავანტიურას გაგრძელება არ ექნება. **ინტერ-პრესი**

არავითარი შეერთება

რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ მარგელოვი რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის შესვლის პერსპექტივას გამორიცხავს და აღნიშნავს, რომ სექტემბრის ბოლოს ქართველი და რუსი პარლამენტარები აფხაზეთის საკითხზე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში იმსჯელებენ. **ინტერ-პრესი**

ბოდენისა მიიღეთო

31 ივლისს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესის მიმდინარეობის შესახებ საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის მოხსენება მოისმინეს.

მომხსენებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აფხაზური მხარე "ბოდენის დოკუმენტის" განხილვაზე კვლავ უარს აცხადებს და მას პროცესის დაწყებისკენ მოუწოდეს. აღინიშნა, რომ აუცილებელია აფხაზეთიდან დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პროცესის დაწყება. **მედია-ნიუსი**

ლიკვიდირების უფლება

გუშინ ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში აფხაზ სეპარატისტთა საბაჟო სამსახურის სამმა თანამშრომელმა ამ სოფლის მკვიდრის, ვინმე კვარაცხელიას კუთვნილი "ჟიგულის" მარკის ავტომანქანა გაიტაცა. აფხაზებმა ბრალდება, ტრადიციულად, უარყვეს, თუმცა იქვე განაცხადეს, რომ თუ ქართული მხარე დამნაშავეს ფაქტზე წაასწრებს, მისი ადგილზე ლიკვიდირების უფლება აქვს. **მედია-ნიუსი**

ინტერნაციონალური გატაცება

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორიდან დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირებმა ამ სოფლის სამი მკვიდრი გაიტაცეს. ამ დროისათვის ცნობილია, რომ სამიდან ერთი ქართველი, ერთი სომეხი და ერთი გააფხაზებული რუსია. **მედია-ნიუსი**

თანამედროვე დიაგნოსტიკა

სოხუმში რუსეთის პრეზიდენტ პუტინის მხარდამჭერი პარტიის "ედინონაია როსსიას" დაფინანსებით გაიხსნა თანამედროვე დიაგნოსტიკური ცენტრი, რომელიც რუს მშვიდობისმყოფელებს მოემსახურება.

სოხუმმა მიიღო აგრეთვე მოსკოვის ჰუმანიტარული დახმარება - ათი ავტობუსი, ორი ტროლეიბუსი, სასკოლო ლიტერატურა და სპორტული ინვენტარი. **მედია-ნიუსი**

სამუშაო შეხვედრა

საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტებს შორის სოჭში მიღწეულ შეთანხმებათა საფუძველზე შექმნილი აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების რუსეთ-საქართველოს სამთავრობო კომისიების ხელმძღვანელთა მორიგი, რიგით მეორე სამუშაო შეხვედრა 1 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა. **ინტერ-პრესი**

„ჰარას„ მსმენელი შევარდნაძისგან პასუხს ელის

ამ ზაფხულს სოხუმში ქართველი და აფხაზი ბავშვები ერთ ბანაკში ისვენებენ. მათ ხელში ქართულ-აფხაზური სასაუბრო უჭირავთ და ერთმანეთს ასე ელაპარაკებიან. ქართველი და აფხაზი ბავშვების დამეგობრება, ქართულ-აფხაზური სასაუბრო და კიდევ სხვა მრავალი საინტერესო პროექტი აფხაზურენოვან რადიო "ჰარას" უკავშირდება.

ვერიკო თევზაძე

"ჰარა" თბილისიდან აფხაზეთში მაუწყებლობს მოკლე ტალღებზე. რადიოგადაცემები ეთერში კვირაში ოთხჯერ გადის. გადაცემებს ქართულ-აფხაზურ ინსტიტუტში ამზადებენ, ჩაწერა რადიო "თავისუფლების" სტუდიაში ხდება.

პირველად აფხაზური რადიოს დაარსების იდეა გაეროს გენერალური მდივნის ყოფილ პირად წარმომადგენელს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებში ლიუე ბოტას გაუჩნდა, მაგრამ მან ჩანაფიქრი რეალობად ვერ აქცია. 1992 წლის 2 თებერვალს ზურაბ შენგელიას ძალისხმევით "ჰარას" პირველი გადაცემა გავიდა ეთერში.

"აფხაზებს და ქართველებს ერთმანეთის შესახებ ინფორმაცია არ გაგვაჩნია. ორივე მხარე მხოლოდ პოლიტიკურად "გადახარშულ" ინფორმაციებს იღებს. ჩვენი რადიოს ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო, გაგვერღვია ის ყრუ კედელი, რომელიც ცოცხალ ინფორმაციას ახშობდა", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას რადიოს დირექტორმა, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ზურაბ შენგელიამ.

მსმენელები "ჰარას" ოპერატიულად გამოეხმაურნენ. პირველი გადაცემის ეთერში გასვლიდან ორიოდე თვის შემდეგ, რედაქციას აფხაზეთიდან ქალბატონი ესტუმრა. იმავე წლის 15 სექტემბერს "ჰარასა" და მისი მსმენელების ერთობლივი ძალისხმევით პირველი ქართულ-აფხაზური სასაუბრო გამოიცა. რადიომ შეძლო, ქართულ-აფხაზური მხარე პირველად ჩაეფიქრებინა, რომ აქამდე, ისინი, რატომღაც, მესამე, რუსულ ენაზე ესაუბრებიან ერთმანეთს.

დღემდე "ჰარამ" და მისმა მსმენელებმა 40-მდე ერთობლივი პროექტი განახორციელეს. 1999 წლის დეკემბერში დაარსდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტი. 2002 წელს სოხუმში აფხაზურ-ქართულ ურთიერთობათა განყოფილება დაფუძნდა. რადიოში გადასცემენ აფხაზური ენის შემსწავლელ კურსებს. ერთ-ერთ აფხაზ მსმენელს, რომლის შვილიც მოსკოვის საპყრობილეში მძიმე პირობებში იმყოფებოდა, "ჰარამ" თხოვნა შეუსრულა და პატიმარი საქართველოში ჩამოაყვანინა.

წლეულს "ჰარას" თაოსნობით სოხუმში სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ბანაკი გაიხსნა. ბანაკში ისვენებენ 20 აფხაზი და თბილისიდან ჩასული ხუთი დევნილი ბავშვი, რომელთაც თან ორი პედაგოგი ახლავს. ბანაკის დამსვენებლებს ქართულ-აფხაზური სასაუბრო უჭირავთ ხელში და ერთმანეთს ასე ესაუბრებიან. სხვათა შორის, ამ წიგნით გალის სკოლებში ბავშვებს აფხაზურს ასწავლიან.

შარშან ოქტომბერში თბილისიდან აფხაზეთში ჩასულმა ჟურნალისტებმა "ჰარას" მსმენელებს პრეს-გამოკითხვა ჩაუტარეს. გამოკითხვის შინაარსი ასეთი იყო: **"რა შეკითხვას დაუსვამდით საქართველოს პრეზიდენტ შევარდნაძეს?"** აფხაზეთიდან შევარდნაძის სახელზე 80 შეკითხვა ჩამოიტანეს. მათგან ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ზურაბ შენგელიამ ათი საუკეთესო შეარჩია და ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე ქვეყნის პრეზიდენტს შარშანვე ნოემბრის თვეში გადასცა. თუ პრეზიდენტის კეთილი ნება იქნება, მას შანსი მიეცემა, პირდაპირი კონტაქტი დაამყაროს ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილთან, რომელიც აფხაზეთში დარჩა.

"ჰარა", რომელიც ფონდების – "ღია საზოგადოება საქართველოს" და "ევრაზიის" ხელშეწყობით არსებობს, მომავალშიც მრავალი პროექტის განხორციელებას აპირებს თავის მსმენელებთან ერთად. და, ბოლოს, მავიწყდებოდა მეთქვა, რომ რადიოს მრავალფეროვან გადაცემებში, გარკვეული მოსაზრების გამო, ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებთ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე. ეს რედაქციის პრინციპული პოზიციაა. კონფლიქტის თემაზე "ჰარა" მხოლოდ ინფორმაციებს გადასცემს.

ანონსი

ფოტოკონკურსი
რუბრიკაში "ფოტოკონკურსი" გამოქვეყნდება აფხაზეთის თემაზე შექმნილი საინტერესო ფოტომასალა, რომელსაც თქვენგან, მკითხველისგან ველით. წლის ბოლოს მოეწყობა მკითხველისავე შეფასებით გამოვლენილი საუკეთესო ფოტოების გამოფენა და გამარჯვებულების დაჯილდოება.

სამახსოვრო ისტორიები
რუბრიკა "სამახსოვრო ისტორიები" უმასპინძლებს ყველა კეთილი ნების ადამიანს, რომლებსაც აფხაზეთთან და აფხაზებთან კარგი მოგონებები აკავშირებს.

კითხვა - პასუხი
რუბრიკაში "კითხვა-პასუხი" გამოქვეყნდება იურიდიული და სოციალური კონსულტაცია დევნილთა და აფხაზეთის ომის მონაწილეთა მიერ დაყენებულ ნებისმიერ საკითხზე.

რეიტინგი
რუბრიკა "რეიტინგი" ელის თქვენ შეხედულებებს: ვინ არის თქვენთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი აფხაზეთის საკითხში, ვისთან ისურვებდით შეხვედრას ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და თქვენი სამი შეკითხვა მოწვეული რესპოდენტისადმი.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული, გაზეთი "24 საათი", ტელეფონი: 20-24-24, იკითხეთ პროექტი "თქვენი აფხაზეთი" ფაქსი: 20-24-25
http://yourabkhazia.rustavi2.com

ფოტოკონკურსი

საკონკურსო ფოტო. ავტორი: ინგა ფოჩხუა.

ორი სიტყვით

თბილისი. "მრეწველებმა", მთავრობასთან შეუთანხმებლობის გამო, ახალი საგადასახადო კოდექსის მეორე მოსმენით განხილვა შემოდგომამდე გადადეს. როგორც "მრეწველების" საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა, საგადასახადო კოდექსის პირველი მოსმენით მიღების შემდეგ მთავრობამ პოზიცია შეიცვალა, რაც სავალუტო ფონდის ზეწოლით უნდა აიხსნას: "ვიდრე ფონდის დიქტატი იარსებებს, ქვეყანას არაფერი ეშველება." **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში ბუნებრივი აირი სამ რაიონს - ვაკე-საბურთალოს, მთაწმინდის რაიონის ნაწილს და ისან-სამგორს არ მიეწოდება. "თბილგაზის" ინფორმაციით, სამივე უბანს ბუნებრივი აირის მიწოდება 31 აგვისტოსთვის აღუდგება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას მოსაზრებით, კონტრაბანდის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის საპასუხოდ ე.წ. მეწარმეებმა, რომლებიც ნავთობპროდუქტების კონტრაბანდით არიან დაკავებულნი, უახლოეს მომავალში შესაძლოა, საწვავის გაძვირება სცადონ. მისი აზრით, კონტრაბანდისტების წინააღმდეგ, შესაძლოა, სპეცრაზმების გამოყენება გახდეს აუცილებელი, რადგან არ არის გამორიცხული, ამ ბიზნესით დაკავებულმა პირებმა შესაბამის მაკონტროლებელ ორგანოს შეიარაღებული წინააღმდეგობაც გაუწიონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში აღურიცხავი ტვირთების შემოდინების წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის დაბალეფექტურობას სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი ფინანსთა სამინისტროს, საგანგებო ლეგიონისა და საბაჟო და საგადასახადო სამსახურების გაუმართავ და არაეფექტურ მუშაობას აბრალებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საწარმოთა მართვის სააგენტომ ივლისის თვის ბიუჯეტი გადაჭარბებით შეასრულა. სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდების სახით 1 მლნ 508 ათასი ლარი ანუ გეგმის 100,5%-ია მობილიზებული. სააგენტოს უფროსის მოადგილის სერგო ტოპრაკაშვილის განცხადებით, 2002 წელს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგებასთან დივიდენდების სახით მისაღები შემოსავლების გეგმა განისაზღვრებოდა 11 მილიონი ლარით, თუმცა მხოლოდ 8 მილიონით შესრულდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

გუშინ ზამბიაში ამ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ფრედერიკ ჩალუბა კორუფციის ბრალდებით დაპატიმრეს. იგი ქვეყანას 1991-2001 წლებში მართავდა. ჩალუბას 30 მილიონი დოლარის მოპარვა ედება ბრალად. მასთან ერთად ბრალდებულის სკამზე აღმოჩნდენ მისი მთავრობის მინისტრები, გენერლები და სხვა მაღალჩინოსნები. გამოძიება მათ წინააღმდეგ მას შემდეგ დაიწყო, რაც ახალმა პრეზიდენტმა ლევი მვანავასამ კორუფციის წინააღმდეგ ყოველისმომცველი ბრძოლის დაწყების შესახებ განაცხადა.

■ ■ ■

კიდევ ორი ადამიანი დაიღუპა პორტუგალიაში ხანძრების შედეგად. მსხვერპლის საერთო რაოდენობამ 11-ს მიაღწია. არნახულად მაღალმა ტემპერატურამ (40 გრადუსი და ზემოთ) ერთდროულად რამდენიმე ადგილას გამოიწვია ტყის ხანძრები. მათ ჩასაქრობად მთავრობამ 3400 მეხანძრე და ჯარისკაცი გამოიყვანა. გუშინ და გუშინწინ მეხანძრეებმა ცეცხლის შეჩერება დროებით შეძლეს, მაგრამ დღეს ტემპერატურის კიდევ უფრო აწევასა და ქარის გაძლიერებას მოელიან, რაც მეხანძრეებს მნიშვნელოვნად გაურთულებს საქმეს. საფრანგეთში ტყის ხანძრების ჩაქრობა მხოლოდ წვიმების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

■ ■ ■

ბელგრადი. გუშინ, 1995 წელს ხორვატიიდან სერბების მასობრივი გამოსახლების აღსანიშნავად, სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში საკლესიო რიტუალები გაიმართა. მაშინ ხორვატებმა ამბოხებულების მიერ დაკავებული ის ტერიტორია აიღეს, სადაც სერბებმა ოთხი წლით ადრე კრაინას რესპუბლიკა გამოაცხადეს. ბრძოლა მხოლოდ ორი დღე გაგრძელდა. ამ ორდღიანი ოპერაციის დროს ასეულობით ადამიანი დაიღუპა.

სერბეთის ლტოლვილთა კომისარმა ოზრენ ტოსიჩმა სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ თავიანთ მშობლიურ მხარეში მხოლოდ 30 000 სერბი დაბრუნდა. ხორვატიის ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ დაბრუნებულთა რიცხვი 80 000-ია.

ყოფილ იუგოსლავიაში გაერო-ს ომის დამნაშავეთა ტრიბუნალმა სამი ხორვატი სამხედრო ოფიცერი 1995 წელს ეთნიკური სერბების წმენდაში დაადანაშაულა. გასულ თვეს ეუთო-მ განაცხადა, რომ ხორვატიის ხელისუფლებამ ლტოლვილების დასაბრუნებლად საკმარისი ძალისხმევა არ გამოიჩინა. **ბი-ბი-სი**

■ ■ ■

პაკისტანი. შვეიცარიელმა მოსამართლემ პაკისტანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბენაზირ ბჰუტო და მისი ქმარი ფულის გათეთრებასა და კორუფციაში დამნაშავედ სცნო. სასამართლომ ორივე მათგანს ექვსი თვით დაპატიმრება მიუსაჯა და თითოეულს 50 000 ამერიკული დოლარის გადახდა დააკისრა. ბჰუტოს ფულის გათეთრებასა და კორუფციაში, დიდი ხანია, ადანაშაულებენ. გამოძიებამ შვეიცარიის ბანკებში გახსნილი შვიდი ანგარიში აღმოაჩინა, რომლებზეც 13 მილიონი ამერიკული დოლარი ყოფილი პრემიერ-სათვის იყო ჩარიცხული. **ბი-ბი-სი**

ჯომოლუნგმა-2

ბიძინა გუჯაბიძის დღიურები

დასასრული. დასაწყისი იხ. №210-211

ბიძინა გუჯაბიძის ფოტო

მეორე სასიმაღლო ბანაკი.

უკვე გათენებულია. ქარი ჩამდგარა. 10 საათია. მაწუხებს გული, მიჭირს სუნთქვა, იმღვრევა გონებაც. ვამზადებთ ჩაის, ვჭამთ ფაფას და გავდივართ. პრობლემური იყო ტუალეტიც, რახან უქარობაში მოვახერხეთ, ორი დღე თავისუფალნი ვართ.

მესამე ბანაკამდე ბევრი მიტოვებული, დაგლეჯილი კარავი გვხვდება. უამრავი ნაგავია გაფანტული, უმეტესად ახალი, ამ სეზონის. მართალი გითხრათ, აღარ მინდა, აღარ შემიძლია, მაგრამ უკან მოსაბრუნებლად ვაჟკაცობა არ მყოფნის. განუწყვეტლივ ვცდილობ ლოცვას. ხშირად მიწყდება ძაფი და ვოცნებობ, ვფიქრობ, რა კარგი იქნება, რომ შემთხვევით ავიდე. რამდენ ადამიანს გავახარებ, იქნებ მომავალი ექსპედიციებიც გაადვილდეს. ერთგან ნაგავში ცელოფანის პატარა პაკეტებს ვპოულობ. ტყემლის ჩირი აღმოჩნდა, კურკიანი. მაგრა მშველის, ვასიასაც ვუნაწილებ. ორივენი საშინლად ვახველებთ, მტკივა მუცლის კუნთები და, საერთოდ, ერთ დიდ ტკივილად ვიქეცი. კარგი იქნებოდა, ტირილი შემეძლოს. ერთადერთი შეღავათია, რომ ეს ყველაფერი მაქსიმუმ 2 დღე შეიძლება გაგრძელდეს. მერე ყველაფერი დამთავრდება, ან დავეშვები, ან მემორიალურ დაფას მიაკრავენ საბაზოში, სიმბოლურ სასაფლაოზე.

შუადღე. მესამე ბანაკი 7900 მეტრზე. ჩვენს კარავთან ნაცნობი წრიაპები და ნაცნობი ზურგჩანთა აგდია, ვერაფრით ვხვდები, ვისი უნდა იყოს. დაბინდულია გონება. კარავში ლიტინსკი მხვდება. სანამ გვეძინა, ამოსულა, ყინულიც გაუდნია. კიდევ ვაგროვებ ყინულს. აქ დეფიციტია, ცოტაა და თანაც დაბინძურებული. ტომრით ვაწვდი კარავში ელაგინს. ისევ ვსვამთ ჩაის, ვჭამთ მოხარშულ ბრინჯს ხორცით, ბოსტნეულით და ისევ ვიძინებთ.

ორი საათის ძილის მერე ისევ ფეხზე ვართ, თოკებზე, ოღონდ ახლა მეც ჟანგბადით ვარ. ბალონი 4-ლიტრიანია, 250 ატმოსფეროა წნევა, ე.ი. 4X250=1000 ლ. რედუქტორი 1,5 ლ/წთ მიყენია, დაახლოებით 6-7 საათს მეყოფა, ღამეც ამით უნდა ვისუნთქო.

მეოთხე ბანაკამდე - 8300-მდე, დარჩა 400 მეტრი ვერტიკალში. თითქოს არაფერი, გზაც ძალიან მარტივია, შიგადაშიგ ძველი თოკები ჰკიდია, ქარიც გასაძლებია, მზეც ანათებს, მაგრამ ირგვლივ ყველაფერი მკვდარია, ყველაფერი შავ-თეთრია, გარდა ცისა. ულტრაიისფერი გამოსხივება, სიმაღლე კლავს ყველაფერს, არაცოცხალსაც! კვდებიან კარვის ნაფლეთები, თოკის ნაგლეჯები, ცარიელი ბალონები, ჩაყინული ქაღალდი, პლასტიკი. ყველაფერი კარგავს ფერს, სუნს. იშლებიან, ნაცრისფერდებიან... ადამიანი კი მით უმეტეს. ნელ-ნელა გიპყრობს შიში. ამ სიკვდილის ზონაში ყველაფერი ცოცხალი ძალიან ახლობელი ხდება, ძლიერდება გვერდით მდგომის სიყვარული. გახეული შარვლიდან ქარი ნელ-ნელა მაცლის ბუმბულს. ბუმბულები პეპლებივით ზემოთ მიფრინავენ. ბარს მაგონებენ. ცოტაათი ვმხიარულდები.

ვჩერდები. ველოდები ელაგინს. ვსვამთ ჩაის, ვჭამთ მიწის თხილს, ტყემლის ჩირს, ცოტაღა დარჩა. ზემოთ ბანაკი უკვე მოჩანს. თოკებს დიდ ქვასთან მივყავართ. მართლაც ქვის ქვეშ, ტომარაში ჩვენი ჟანგბადი ალაგია. ნახევარი საათი კარავს ვეძებ, ორ იტალიელს გადავაწყდი, ე.ი. ხვალ შტურმზე ხუთნი ვიქნებით. კარავს ვერ ვპოულობთ, ვძერებით ბალონების მახლობლად მდგარ კარავში. არ არის კარგი არჩევანი, მაგრამ გვიანია, უკვე ბნელდება. საღამოს 9 საათია. კარავში პრიმუსი აფეთქებულა, ცალი გვერდი გამომწვარი აქვს. ხვრელზე ზურგჩანთებს ვაფარებთ. შესაკრავიც არ მუშაობს. პროდუქტი და გაზი ვნახეთ, საძილე კი მხოლოდ ორია, თანაც ჩემთვისაც კი პატარაა. ერთს ლიტინსკის ვაძლევეთ, მეორეში მე და ვასია ვძვრებით. მანამდე ვადნობთ ყინულს, ვჭამთ პიურეს ძეხვით და ვსვამთ ჩაის. ვიპოვეთ ტუალეტის ქაღალდი. გვეშვება. ყველა ვიხრჩობით, ვხრტინებთ, ამოგვაქვს გულ-მუცელი და ყელში ჩალექილ-ჩამხმარი საზიზღრობა. წარმოდგენაზეც კი გული გვერევა. ერთმანეთის მორდება, დიდი ხანია, დამთავრებულია, თითქმის ცხოველური, თავის გადასარჩენი ინსტიქტებია დარჩენილი. მოკლედ, ტუალეტის ქაღალდის პოვნით გავიხარეთ!

ვიყინებით, ისევე ცივა, როგორც გარეთ. ჟანგბადი ერთ ლიტრზე გვიყენია. ვთვლემთ. ორ საათზე ვიწყებთ მზადებას. უკვე 26 მაისია. ჭამით ბევრს ვერაფერს ვჭამთ, თერმოსებში წყალს ვამატებთ, წრიაპების ჩაცმაზე ხელები მეყინება, დიდხანს ვითბობ. ლიტინსკი დახმარებას მთხოვს, მასაც ვუკრავ წრიაპებს. ბალონებს ზურგჩანთაში ვაწყობ. სამი საათია. იტალიელები მოგვყვებიან. ერთი მალევე დაწინაურდა. მაინტერესებს, რამდენს გავუძლებ, როგორ ვიქნები ცუდად და როგორ მივიღებ უკან წამოსვლის გადაწყვეტილებას. უკვე ვიწყებ თავის მართლებას ოჯახის, მეგობრების, სპონსორების წინაშე, ოღონდ ჯერ კიდევ შეიძლია მოძრაობა, ცოტათი ფიქრიც. რა თქმა უნდა, არეულად!

უსაფრთხო, სრულიად მარტივ ადგილზე მოულოდნელად წრიაპი მძვრება. ეს ბოლო გაფრთხილება ხომ არ არის? კიდევ კარგი, გახურებული ვარ, ქარისგანაც კლდეებით დაცული. წრიაპის ჩაცმის მერე მალევე ვითბობ ხელებს.

შვიდ საათზე, გამთენიისას, ქედზე გავდივართ. გამოჩნდა ევერესტის აღმოსავლეთ კედელი, მაკალუ, ლჰოცზე, სამხრეთ უნაგირა. ფანტასტიკური განთიადია. მე, ასეთ პროზაულ ადამიანს, თან ყველა ემოციისგან დაცლილს, თუ რამე ამაღელვებდა, ვერ ვიფიქრებდი. ფერები ყოველ წამს იცვლება, უფრო ნათელი და კაშკაშა ხდება, სუნთქვა გვეკვრის. ზღაპრული სანახაობაა. მენანება 7000-ზე დატოვებული ჩემი ვიდეოკამერა.

ნიღაბზე ნელ-ნელა მეზრდება ყინულის ლოლუები, ვამტვრევ და ხელით ხშირად ვსრისავ ნიღაბს, ყინულმა სუნთქვა რომ არ შემიშალოს. ახლა გრძელი, მცირე დახრილობის ქედია. კლდის ძირას მიცვალებული წევს, ფეხები ბილიკზე ულაგია. ფრთხილად უნდა გაუარო, წრიაპებს რომ არ გამოედო. მიცვალებულთან ვჩერდები, შეიძლება ჩემი მეგობართაგანი იყოს, 1997-ში დაღუპული ივანე პლოტნიკოვი ან კოლია შევჩენკო. სახეს ვერ ვარჩევ, ბათინკებზე სხვა გვარი აწერია. თუმცა, ეს არაფერს ნიშნავს. უკვე მზე ამოდის. ფანარს ვინახავ და სათვალეს ვიკეთებ. გადამასწრო იტალიელმაც. ჩემს უკან, შორს, ლიტინსკია. წინწასულები შორს არ არიან, 50-200 მეტრზე, მაგრამ აქ ეს დიდი მანძილია, აქ ყველაფერს სხვა, არარეალური განზომილება აქვს - დროს, მანძილს, სიმაღლეს, სითბოს, ქარს. ადამიანი ხარ, არსებობ თუ ეს სიზმარია, არარეალობა? მოკლედ, მიდიხარ-მოდიხარ. როცა "მოდიხარ", თავს აფრთხილებ, ამხნევებ, ფრთხილად ებმები თოკიდან თოკზე, არჩევ დაძენძილ თოკებში უკეთესს, კრიტიკულად აფასებ შერპების შეკრულ კვანძებს, უხეიროდ დარტყმულ პალოებს. ხვდები, რომ მოწყვეტის შემთხვევაში ვერც თოკი გაგიძლებს, ვერც პალო. რომც გაძლოს, უკან ამომსვლელი აღარ ხარ. უკვე 4 მიცვალებული დავთვალე. დანარჩენი მიაქვს თოვლს, ქარს, ან შერპები ყრიან კედლიდან. და როცა "მიდიხარ", ყველაფერს მექანიკურად აკეთებს სხეული, გამოცდილებით, ინსტიქტურად.

უფრო და უფრო მიჭირს, ხშირად ვჩერდები, ვეყრდნობი კლდეებს, ძლივს ვსუნთქავ. ვცდილობ, ემოციის გარეშე, ფხიზლად შევაფასო სიტუაცია. მინდა, მაგრამ არ შემიძლია უკან დაბრუნება. თითქოს რაღაც ხმა მამხნევებს, მეუბნება, ცოტა კიდე, ცოტაცა...

ვიწრო, გრძელი, დახრილი კლდოვანი თაროთი მივდივარ მეორე საფეხურის ძირში - 30-35 მეტრიანი კედელია. უამრავი თოკი ჰკიდია. კარგი იქნება, ერთი იყოს, საიმედოდ დამაგრებულიც იქნება და ახლართვის შანსიც - ნაკლები. კლდის ძირში ვტოვებ ნახევრად დაცლილ ბალონს, ვიკეთებ მეორეს, ვინერ პირჯვარს ვიწერ და ვეკიდები ერთ-ერთ თოკზე, შემდეგ გავდივარ ჩინელების კიბეზე. ამ მონაკვეთის სირთულე მაფხიზლებს. მეორე საფეხურის თავზე ისევ ძლიერი ქარია. აქედან უკვე ჩანს მწვერვალის სამკუთხედი. იქამდე კიდევ ბევრია. ქარი ძლიერდება, რამდენჯერმე ქედზე მაქცევს, მარცხნივ, ძალიან ახლოსაა აღმოსავლეთ კედლის წიბო, უფსკრული ერთ მეტრში, ნახევარ მეტრში. კარგია, რომ წერაყინი თან მაქვს. ამდენ ტანსაცმელში შეკრულს არ მეგონა, თუ მოვახერხებდი წერაყინის ხმარებას და თოვლის ფერდზე შეჩერებას. ქარი ერთგვაროვანი, თანაბარი არ არის, მოულოდნელ დარტყმებს აკეთებს. ვფრთხილობ.

ზემოდან მობრუნებული იტალიელი ხვდება ვასიას, მერე მეორე იტალიელს. მეც ვუღლავ ასვლას და ჩემთვის ვფიქრობ, ე.ი. მწვერვალამდე დამრჩა ნახევარი საათი. იტალიელი პასუხად რაღაცას ბურტყუნებს და ქვემოთ ეშვება. ქედს ეფარება ელაგინი, მერე იტალიელი. ვცდილობ, ექვსი ნაბიჯი შეუსვენებლად გავაკეთო, ყოველ მეხუთეზე ვჩერდები. კიდევ ნახევარი საათი, რისთვისაც ამდენი ვიწვალე, ვითმინე, ამდენი ხალხი ვანერვიულე, მხოლოდ 30 წუთს უნდა გაძლება, წინ სიარული... არ ჩანს ელაგინი. გადის 1 საათი... გამოჩნდა, მიახლოვდება... "сколко?" "Полтора часа!" - შეუძლებელია!!! ე.ი. პირველი იტალიელი არ ასულა მწვერვალზე. მეც იმასთან ერთად ხომ არ მივბრუნდე, მაგრამ შვილებს რა ვუთხრა, ბიჭოო!

ვაგრძელებ ზემოთ. თავში მხოლოდ ერთი კითხვა ტრიალებს, ეს ხომ არ არის ის ზედმეტი ნაბიჯი, რომელიც უკან დასაბრუნებლად აღარ მეყოფა. ერთი ნაბიჯი შეიძლება გახდეს გადამწყვეტი და მეც სადღაც, კლდის ძირში, ჩასათვლემად მივჯდე. რომელია ეს ნაბიჯი. ხომ არ ვრისკავ, რამდენი დამრჩა ჟანგბადი, დრო...

ავდივარ მწვერვალის წინა ქედზე, ჩანს დროშები, ჩამუხლული იტალიელი. თითქოს შორია, მაგრამ ახლა უკვე შეუძლებელია მობრუნება. მწვერვალის მახლობლად იტალიელი მხვდება. მე მუხლებზე დამდგარი ვისვენებ. იგი გასამხნევებლად მხარზე ხელს მირტყამს და ქვევით ეშვება. ამ წუთიდან კიდევ უფრო მარტო ვრჩებით მე და მთა.

მწვერვალი... დიდი, თუნუქის ნეპალური დროშა, ზედ გამობმული ფერადი დროშებით. ვიხსნი ზურგჩანთას, ნიღაბს, ვთიშავ ჟანგბადს. ვშლი საპატრიარქოდან წამოღებულ დროშას. იმხელაა, რომ ქარმა კინაღამ წამიღო. სასწრაფოდ ვკეცავ. მერე წვალებით ვაბამ ნეპალური დროშის ტარზე "რუსთავი 2"-ის, Georgian Online-ს და "24 საათის" დროშებს. კინაღამ თითები შევატოვე ზედ.

ფოტოაპარატს და ხელებს ყოველი კადრის შემდეგ უბეში გათბობა სჭირდება. ვიცი, ბევრი მკითხავს მწვერვალის ემოციებს, მაგრამ ვერაფრის დამახსოვრებას ვერ ვახერხებ. ძირითადად არის შიში, შიში დაშვებისა, შეცდომისა, ორგანიზმის ღალატისა.

ვლაგდები. ვიკეთებ ნიღაბს, ვიკიდებ ზურგჩანთას და ვდგები. სამხრეთიდან სამი კაცი მიახლოვდება. პირველს ველოდები. შვეიცარიელები აღმოჩნდნენ. სიგარეტის კოლოფისხელა ვიდეოთი მიღებს მე და პანორამას. ვემშვიდობები. ვიწყებ დაშვებას. მწვერვალზე ნახევარი საათი ვიყავი. ახლა სამის თხუთმეტი წუთია. დრო საკმაო მაქვს. ნელა, ნელა, უჩვეულოდ ნელა და ფრთხილად უნდა ვიარო.

ერთმანეთს ენაცვლება ქედები, თოკები, პატარ-პატარა კედლები. მეორე საფეხურზე დიდხანს ვარჩევ თოკს, რომ გამიძლოს, თან არ ავიხლართო. კედლის ძირში ისევ ვცვლი ბალონს, ცარიელს ვტოვებ და ჩემს ნახევარს ვიღებ. ლამისაა, გამისკდეს შარდის ბუშტი. ძნელი მოსახერხებელია. ხუთი სქელი შარვალი, სადაზღვევო ქამარი, მაგრამ აქ ქარისგან მოფარებული ადგილია. მოკლედ, ასე შემსუბუქებული, ნაბიჯ-ნაბიჯ ვკარგავ სიმაღლეს. მწყურია, საშინლად გამოვშრი. ზურგჩანთის მოხსნის თავი არ მაქვს. ნიღაბი, მილი, სათვალე დაორთქლება. იქნებ გავუძლო. დიდი ხანია, ვეღარ ვყლაპავ ნერწყვს. უკვე ბანაკიც გამოჩნდა. ახლა თუ რამე საშინელებას არ ჩავიდენ, გადარჩენილი ვარ. ვასია, ალბათ, მელოდება და მხედავს კიდეც.

...ერთ-ერთი დაშვებისას, ფირნის კედელზე თოკზე ვიჭედები, შუბლით კედელზე ვეყრდნობი და თითქმის ვტირი, უკვე სიხარულისგან. ცოტა მრჩება 8300-მდე, ნახევარი საათი, ერთი საათი... ვიხედები მარჯვნივ. თოვლში ლითონის თერმოსი დგას. მშვიდად ვიღებ, ყოველგვარი ეჭვის და შიშის გარეშე. ვხსნი. სახურავში ვასხამ რაღაც თეთრ სითხეს, ვსვამ - ხილის კომპოტია!!! მეორე ჭიქასაც ვსვამ. ზურგჩანთის მოუხსნელად ვინახავ თერმოსს და უფრო მხნედ ვეშვები...

მაინც დამეორთქლა სათვალე. ვიხსნი, ვწმენდ, ვიხსნი ნიღაბსაც, ნიღაბში სარქველის მაგივრად დიდი ნახვრეტია. როდის ამოვაგდე, არავინ იცის. შეიძლება 5 წუთის მერე აღმოვაჩინე, ან მთელი დღე ასე ვიარე, თითქმის უჟანგბადოდ. კიდევ კარგი, ადრე არ ვნახე. ფსიქოლოგიურად ძალიან გამიჭირდებოდა.

ისევ დაგლეჯილი სხვისი კარავი, კუთხეში მიგდებული თითქმის უგრძნობი ლიტინსკი. იგი მეორე საფეხურის ძირიდან მობრუნდა (მერე საბაზოში გაირკვა, ხელები სერიოზულად მოეყინა, მოწყვეტილა, 15 მეტრი უფრენია). ელაგინი ჩემზე უფრო მხნედაა. თოვლს ვადნობთ შუაღამედე, ვსვამთ, ძალისძალად ვჭამთ. ლიტინსკის სული ვერ ჩავუდგით, მხოლოდ ჟანგბადს ვასუნთქებთ. ღამის 4 საათზე ჩემი ბალონი მორჩა. დამეწყო კოშმარი. აღარ მძინავს, ვერ ვსუნთქავ, გულზე დიდი სიმძიმე მაწევს. იღვიძებს ელაგინიც. მზადებას ადრიანად ვიწყებთ. გამთენიისას კარვიდან გამოვდივართ. ლიტინსკი გვეკითხება, როგორ მოხვდა კარავში და რამდენი დღეა გასული. უპასუხოდ ვუკეთებთ ნიღაბს. ჟანგბადს მაქსიმუმზე ვუყენებთ, ვაცმევთ წრიაპებს და ქვევით ვუბიძგებთ. მერე ჩვენც მივყვებით. მალე ირკვევა, რომ ლიტინსკი საკმაოდ ფრთხილად, ოღონდ ძალიან ნელა დადის. ვტოვებთ და შორიდან ვუთვალთვალებთ, ასე უფრო ფხიზლად იქნება.

საშინელი ქარია, 100 მეტრიანი თოკი დიდ რკალს აკეთებს ჰაერში, პირით ქარისკენ ვერ სუნთქავ. ხშირად ვაფარებთ თავს კლდის ნაპრალებს ან ვიმუხლებით.

ლიტინსკიმ ორი დღის წინ დაკარგა რაციის ანტენა, არა გვაქვს კავშირი, ქვემოთ ჩვენს გამო უკვე ნერვიულობენ. სამაგიეროდ, ჩვენთვის სასიამოვნო სიურპრიზია 7900-ზე, ბანაკში, სერგეი ლარინის დახვედრა, გუშინ მას 7700-ზე, პეტერბურგელების დიდ კარავში ეძინა, "ჩვენს" იტალიელებთან ერთად. სერგეი გვაჭმევს, გვასმევს. ყოყმანობს. ჩვენთან ერთად უნდა დაშვება, უჭირს მარტო დარჩენა. ვამხნევებთ. დღეს 27 მაისია, ჯერ კიდევ არის დრო.

ჩაის ადუღებამდე მძინავს. ვასიამ, ლიტინსკისთან ერთად, 7900-ზე დარჩენა გადაწყვიტა. თან ჟანგბადიც ბლომადაა. ამ ჟანგბადს უკვე ვეღარავინ გამოიყენებს. არა მგონია, აბრამოვმა და დანარჩენებმა მეორე ცდა მოახერხონ.

მარტო მივდივარ ქვემოთ. გრძელი, მაგრამ სასიამოვნო დაშვება, იმიტომ, რომ შევძელი მაქსიმუმი, იმიტომ, რომ ამ დაშვებას აქვს ბოლო, იმიტომ, რომ იქ, ქვემოთ, მეგობრები მელოდებიან, უფრო ქვემოთ კი - ოჯახი.

7000-ზე მხვდება ცულდიმი, შერპი. მასმევს საშინელ ქიმიურ წვენს, მაგრამ მე ახლა ყველაფრის დამლევი ვარ. აქ დარჩენას ვაპირებ. ისევ ვთვლემ. დაღამებამდე 1 საათი რჩება. ძალას ვიკრებ და დაშვებას ვაგრძელებ. გონება უკვე ნელ-ნელა ნათდება, სუნთქვა ადვილდება, მხოლოდ ფეხებს ვერ შველის ვერაფერი, ჩვილი ხბოსავით მეკეცება. მყინვარზე ჩემს დატოვებულ ჯოხებს ვპოულობ. ზურგჩანთა მძიმდება. თბილმა ტანსაცმელმა უკვე ზურგჩანთაში გადაინაცვლა. მალე წრიაპებსაც ვიხსნი, ფანარს ვიკეთებ. აქედან ბანაკამდე ნახევარი საათის, 40 წუთის გზაა. შორს ჩქარა მომავალი ორი ლანდი ჩანს. ღამით შერპებს რა უნდათ. საქართველო რომ იყოს, ყაჩაღები იქნებოდნენ, წამართმევდნენ ზურგჩანთას და მოვისვენებდი. სოიფერი და მასკალიოვია! წამართვეს ზურგჩანთა, მაჭამეს, მასვეს, მომილოცეს. ახლა ატირებაც შეიძლება.

ბანაკში დიდი სიხარულია. მეშინია, არ დამამტვრიონ. ვსვამ ლუდს, ჩაის, სუპს - ყველაფერს ერთად და ორი კამერის წინ ვპასუხობ გაუთავებელ შეკითხვებზე. არის რაღაც ჯვარედინი დაკითხვის მსგავსი. პაშკოვი ხშირად აწყვეტინებს, "дайте человеку поест!"

28 მაისი. შუადღისას ჩამოდიან ელაგინი და ლიტინსკი.

29 მაისი. ევერესტზე ასვლის ზუსტად 50 წლისთავზე, სერგეი ლარინი მწვერვალიდან გვესალმება. თორმეტი კაციდან სამნი ავედით მწვერვალზე.

30 მაისი. ყველანი საბაზო ბანაკში ვიკრიბებით. შორია აქედან გურჯისტანამდე!

ტერაქტი ინდონეზიაში

შოთა უტიაშვილი

10 ადამიანი დაიღუპა და 83 დაიჭრა ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტას ცენტრში მანქანაში დამონტაჟებული ბომბის აფეთქების შედეგად. აფეთქება ქალაქის საუკეთესო სასტუმროს – "მერიოტის" ახლოს მოხდა.

ქალაქის გუბერნატორის მტკიცებით, მომხდარი ტერორისტი კამიკაძეს ნამოქმედარია. აფეთქებული ტოიოტას შორიახლოს ადამიანის სხეულის ნაგლეჯები იპოვეს. აფეთქება სადილის დროს მოხდა, როდესაც ახლომახლო ქუჩებში ათასობით ადამიანი იმყოფებოდა.

ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, დაღუპულთა შორის ერთი უცხოელია, სავარაუდოდ, ჰოლანდიელი, დაჭრილთა შორის არიან ორი ამერიკელი, ორი სინგაპურელი, ერთი ავსტრალიელი და ერთი ახალი ზელანდიელი.

"აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მე მიწისძვრა მეგონა," – განაცხადა სასტუმროს თანამშრომელმა. 33-სართულიან სასტუმროში თითქმის ყველა მინა ჩაიმსხვრა, ქვედა სართულები კი მთლიანად განადგურდა.

აფეთქებიდან რამდენიმე საათის შემდეგაც კი სასტუმროს ახლოს სქელი კვამლი იდგა. ქუჩაში მყოფ ბევრ მანქანას ცეცხლი მოეკიდა. აფეთქებამ ყველაზე მეტად სასტუმროს რესტორანი დააზიანა. დაიღუპა რამდენიმე მზარეული.

"სრულიად აშკარაა, რომ ტეროროსტულ აქტთან გვაქვს საქმე", – განაცხადა ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა აბდულ ჯალალმა.

გასულ კვირას ვაშინგტონმა გაანცხადა, რომ "ალ-ქაიდა" და მისი პარტნიორი ორგანიზაციები ამერიკელების წინააღმდეგ ახალ ტერაქტებს ამზადებდნენ. სასტუმროების ქსელი "მერიოტი" ამერიკელების საკუთრებაა. ერთი თვის წინ ამერიკის საელჩომ ინდონეზიაში სწორედ ამ სასტუმროში იზეიმა ოთხი ივლისი.

აფეთქება დაემთხვა ქვეყანაში მიმდინარე გახმაურებული სასამართლო პროცესების მთელ სერიას, მათ შორისაა ცნობილი ადგილობრივი სასულიერო პირის, აბუ ბაქარ ბაშირის პროცესი. მას "ჯემაა ისლამიას" ხელმძღვანელობაში ადანაშაულებენ. ამ ორგანიზაციას კი რამდენიმე ტერაქტში, მათ შორის - შარშან კუნძულ ბალიზე მომხდარ აფეთქებაში ედება ბრალი.

"სადაზვერვო სამსახურები დიდი ხნის მანძილზე გვაფრთხილებდნენ, რომ "ჯემაა ისლამიას" წევრების უმეტესობა თავისუფალია და ახალი ტერაქტები გარდაუვალია," – განაცხადა სინგაპურის თავდაცვისა და სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ექსპერტმა ენდრიუ ტანმა.

"ეს არავისთვის არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი, რადგან ბოლო ორი თვის მანძილზე მომხდარი მოვლენები ცხადად მიანიშნებდა ახალი ტერაქტის შესაძლებლობებზე ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინდონეზია," – დასძინა მან. ინდონეზია მსოფლიოს უდიდესი ისლამური სახელმწიფოა.

ხუთშაბათს ჯაკარტის სასამართლომ კუნძულ ბალიზე მომხდარ აფეთქებაში ეჭვმიტანილებს განაჩენი უნდა გამოუტანოს. შარშან ზაფხულში ამ აფეთქებამ 202 ადამიანის, ძირითადად - უცხოელების, სიცოცხლე შეიწირა.

სასტუმრო 10-მილიონიანი ქალაქის ყველაზე ექსკლუზიურ უბანში მენტანში მდებარეობდა. აქ არის განთავსებული საელჩოები, აქ ცხოვრობენ ქვეყნის ყველაზე გავლენიანი ადამიანები.

ბოლო წლების მანძილზე ინდონეზიაში უკვე რამდენიმე მსხვილი ტერაქტი მოხდა. მთავრობა მათ ორგანიზებაში ადგილობრივ ექსტრემისტულ ისლამისტურ დაჯგუფებებს, პირველ რიგში კი, "ჯემაა ისლამიას" ადანაშაულებს, რომელიც "ალ-ქაიდასთან" კავშირშიც არის ეჭვმიტანილი.

მშვიდობისმყოფელები მონროვიაში გაემგზავრნენ

5 აგვისტოს ამერიკულმა სამხედრო გემებმა გეზი ლიბერიისაკენ აიღეს, სადაც ორი დღით ადრე დასავლეთ აფრიკის შეიარაღებული ძალები ნიგერიის მეთაურობით უკვე შევიდნენ, რათა ქვეყანაში მიმდინარე ხანგრძლივი სამოქალაქო ომი შეაჩერონ.

ლიბერია 150-ზე მეტი წლის წინ ამერიკაში გათავისუფლებულმა მონებმა დააარსეს. შიმშილითა და ეპიდემიებით განამებულ ლიბერიელებს ახლა ისევ ამერიკის იმედი აქვთ.

აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნის ინფორმაციით, შვეულმფრენებით აღჭურვილი ერთი ავიამზიდი და ორი ამერიკული სამხედრო გემი ლიბერიის სანაპიროსკენ მიცურავს. ამერიკულ გემებზე 2 300 ამერიკელი საზღვაო ქვეითი იმყოფება.

ამერიკის ხელისუფლების თქმით, ლიბერიის დასახმარებლად რამდენიმე სცენარი განიხილება, მათ შორის, დასავლეთ აფრიკელი მშვიდობისმყოფელებისათვის მხოლოდ კომუნიკა

ალპინიზმი

„ხევის პატარძალი" ახალგაზრდულად დაიმუხტება

ზურაბ კუჭავა და გივი ქართველიშვილი ალპურ კლუბში.

ლევან ბერიკაშვილის ფოტო

გიგა გურასაშვილი

მყინვარწვერი (5047 მ.) სადარბაზო ბარათივითაა საქართველოსთვის. მის დათოვლილ და ყინულოვან ფერდობებზე ბევრი მთამსვლელი დაფრთიანებულა. საერთოდ, ქართული ალპინიზმის ანა-ბანაც სწორედ აქედან იწყება. "ხევის პატარძალი", მყინვარწვერი, თუ გნებავთ - ყაზბეგი, ახალბედა და გამოუცდელ ახალგაზრდებს ამჯერადაც უმასპინძლებს და, თუ ადრეული გამოცდილებით ვიმსჯელებთ, მათი ერთი ნაწილი, ალბათ, ვერტიკალური სამყაროთი "მოინამლება" - დარიალის ხეობას ხომ თავისი ბუმბერაზი კალთების მომაჯადოებელი სილამაზით არაერთი ადამიანი დაუტყვევებია. "ხევის პატარძალი" დამწყებ მთამსვლელთა დაოსტატების საუკეთესო საშუალებაა.

10-16 აგვისტოს დარიალის ხეობას და მყინვარწვერს 70-კაციანი ექსპედიცია ეწვევა. ექსპედიცია იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იგი მეკლდეურობისა და მთამსვლელობის საერთაშორისო ფედერაციის (UIAA) ეგიდით ეწყობა და მასში, ქართველებთან ერთად, უცხოელებიც მონაწილეობენ.

გუშინ ვერის ბაღის "ალპურ კლუბში" მიგვიწვიეს აღნიშნული ექსპედიციის თაობაზე გამართულ მრგვალ მაგიდასთან. "ალპურ კლუბში" თავშეყრილები, ძირითადად, "ვერტიკალური სამყაროს ოჯახის წევრები" იყვნენ და შინაურ ატმოსფეროში მოხვედრილნი, დაგეგმილ ექსპედიციასთან ერთად სხვა მრავალ საკითხზე საუბრობდნენ. რა თქმა უნდა, საუბრის მთავარი თემა მთები გახლდათ, მაგრამ უფრო მეტად პრობლემები, რომლებზეც აქ აღარ შევჩერდებით და მხოლოდ მყინვარწვერის ექსპედიციაზე მოგახსენებთ. რა ექსპედიციაა და რას ითვალისწინებს ის?

თავშეყრის მასპინძლებმა - საქართველოს ალპინიზმისა და მეკლდეურობის ასოციაციის პრეზიდენტმა, გივი ქართველიშვილმა და კლუბ სამთო მოგზაურობის ერთერთმა ხელმძღვანელმა, ზურაბ კუჭავამ პირველი საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკის შექმნის თაობაზე გვაცნობეს. ბანაკის ამოქმედება და ერთგვარი პრეზენტაციაც 10 აგვისტოს ყაზბეგისკენ გამგზავრებით აღინიშნება. ექსპედიციის ძირითადი მიზანი მყინვარწვერის (კლასიკური 2-იანი კატეგორიით) დალაშქვრაა.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ბანაკი მსოფლიოში სულ ექვსია. მათ შორის, მთამსვლელური განხრის ბანაკი ორია - ერთი შვეიცარიაში და მეორე საქართველოში. როგორც ვთქვით, ექსპედიციაში ქართველი ახალგაზრდების გვერდით მათი უცხოელი თანატოლებიც იქნებიან. როგორც ზურაბ კუჭავამ გვითხრა, 70-კაციან ექსპედიციაში ავსტრიელი, შვეიცარიელი, სლოვენიელი, უკრაინელი და რუსი ახალგაზრდებიც მოირგებენ წრიატებს - მთლიანობაში 15 კაცამდე. ექსპედიციას, გარდა მყინვარწვერის დალაშქვრისა, შემეცნებითი მნიშვნელობაც ექნება. უცხოელი და ქართველი ფათერაკის მაძიებლები ისტორიულად საინტერესო ადგილებს (ბეთლემის გამოქვაბულს, სამების ეკლესიას და სხვ.) მოინახულებენ.

აღსანიშნავია, რომ ეს ღონისძიება ქართული და, საერთოდ, საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებლის, გიორგი ნიკოლაძის მყინვარწვერზე პირველასვლის 80 წლის იუბილესაც უკავშირდება. საბჭოთა კავშირის ალპინიზმს 1923 წელს, გიორგი ნიკოლაძის თაოსნობით, სწორედ მყინვარწვერის დალაშქვრით ჩაეყარა საფუძველი.

კალათბურთი

კობი ბრაიანტის პრობლემები

გაუპატიურების ბრალდება ძვირად დაუჯდა "ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ვარსკვლავ კობი ბრაიანტს. ორშაბათს იტალიურმა კომპანია "ფერეროშ", რომელიც შოკოლად "ნუთელას" აწარმოებს, გადაწყვიტა, NBA-ის ვარსკვლავთან სარეკლამო კონტრაქტი აღარ გააგრძელოს. ამჟამინდელ შეთანხმებას ყავლი 2004 წლის იანვარში გასდის. კომპანიის წარმომადგენლის თქმით, ბოლო მოვლენების გათვალისწინებით, კობი ბრაიანტი სარეკლამო კონცეფციას ვერ შეესატყვისება.

მოკლედ

ოთხშაბათი. 6 აგვისტო

НТВ + ФУТБОЛ

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "კიევო" - "იუვენტუსი"
15:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "დინამო" (უკრაინა) - "ბავარია" (გერმანია)
16:45 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ლიდსი"
18:30 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:25 ჩემპიონთა ლიგა. მეორე შესარჩევი წრე. საპასუხო მატჩი. "მაკაბი" (ისრაელი) - "ჟილინა" (სლოვაკეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:20 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "მალაგა" - "რეალი"
22:55 "დარტყმა გოლისთვის"
23:10 "FUTBOL MUNDIAL"
23:40 ჩემპიონთა ლიგა. მეორე შესარჩევი წრე. საპასუხო მატჩი. "დინამო" (ხორვატია) - "მარიბორი" (სლოვენია). პირდაპირი ტრანსლაცია
01:40 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. მეოთხედფინალი. "რეალი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"

НТВ + СПОРТ

11:00, 14:15, 17:00, 20:00, 21:30 პრეს-ცენტრი
11:15, 21:50 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:30 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. "Masters Series" მონრეალში
13:15 "ვარსკვლავური სამშაბათი"
15:00 სპიდვეი. მსოფლიო თასი დანიაში
16:30 მძლეოსნობა. "IAAF Olympic Meeting"
17:15 მძლეოსნობა. "IAAF Olympic Meeting"
18:45 "ბილიარდის მეუფენი"
19:15 როდეო. "Bull Riders"
20:15 "წვიმის აღმატებულება"
20:40 ტრიატლონი. მსოფლიო თასი
21:55 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 ჩოგბურთი. "Masters Series" მონრეალში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
00:00 საბრძოლო სამბო. რუსეთის თასი
01:00 ახალი ამბები
01:15 სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი

EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი
12:00 ექსტრემალური სპორტი
12:30 მძლეოსნობა. IAAF სუპერ გრან-პრი შვედეთში
14:30 მძლეოსნობა. ვინ ვინ არის
15:00 მძლეოსნობა. სპრინტერები
15:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური გერმანიაში
16:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
18:30 მძლეოსნობა. ვინ ვინ არის
19:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
21:00 მძლეოსნობა. სპრინტერები
21:30 "ოლიმპიური თამაშები"
22:00 მულტისპორტი სამშაბათობით
22:15 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში
23:15 ცხენოსნობა. ნაციის თასი უნგრეთში
00:15 ცხენოსნობა. კონკური
01:15 ახალი ამბები
01:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
03:30 თავგადასავალი. რეიდ "Gauloises" ყირგიზეთში
04:00 აფროსნობა
04:30 ახალი ამბები

ფეხბურთი

ომარ თეთრაძე: „ჩემს მომავალს მხოლოდ საქართველოს ვუკავშირებ"

დიმიტრი ობოლაძე

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია - რუსეთის საფეხბურთო პირველობა, საქართველოს ჩემპიონატთან შედარებით, გაცილებით მაღალი დონისაა. რუსეთის პრემიერლიგაში ბევრი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მახაჩკალის "ანჟის" ვეტერან ქართველ მცველთა დუეტი - 34 წლის ომარ თეთრაძე და 35 წლის კახა ცხადაძე, რომელმაც საქართველოში მწვრთნელად დამკვიდრების რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ, კვლავ ფეხბურთის თამაში გადაწყვიტა. რაც შეეხება თეთრაძეს, იგივე ცხადაძის თქმით, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი ფეხბურთელი თავის კლუბში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს, რის გამოც, კლუბის ხელმძღვანელობამ იგი გუნდის მეორე მწვრთნელის პოსტზე დანიშნა. თავისთავად საინტერესო ფაქტია - თეთრაძე, რომელიც წლების წინ სამართლიანად განაწყენებული წავიდა საქართველოდან, არა მხოლოდ გუნდის ლიდერად იქცა, არამედ მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ დაინიშნა. "24 საათი" ტელეფონით დაუკავშირდა ქართველ მცველს, რომელმაც წარსულზე, დღევანდელ მდგომარეობასა და მომავლის შესახებ ისაუბრა.

- გაირკვა თუ არა ვლადიკავკაზის "ალანსა" და თქვენ შორის არსებული სიტუაცია? მიიღეთ თუ არა თანხა, რომელიც კლუბს დიდი ხნის წინ ჰქონდა გადასახდელი?

- მე "ალანიაში" 2002 წელს მივედი. კონტრაქტის გაფორმება

ომარ თეთრაძე "ანჟის" მეორე მწვრთნელად დანიშნეს.

გუდაურში შედგა, სადაც გადაწყდა, რომ მე ორი წლის შემდეგ კლუბის მთავარ მწვრთნელად უნდა დავნიშნულიყავი. ამ პირობაზე თანახმა ვიყავი და კონტრაქტს ხელი უყოყმანოდ მოვაწერე. ასევე, გაირკვა ჩემი ხელფასის ოდენობაც. ყველა პირობა მაკმაყოფილებდა. სეზონის ბოლოს მოხსნეს მთავარი მწვრთნელი, კლუბის პრეზიდენტი ტაკოევი, გუნდში კი რევაზ ძოძუაშვილი მოვიდა. ამის შემდეგ შეიქმნა გარკვეული პრობლემები, რის გამოც, გუნდიდან წასვლა გადავწყვიტე. ვლადიკავკაზელებს ჩემთვის, დაახლოებით, 100 ათასი დოლარი უნდა გადაეხადათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გუნდს ყოველგვარი ტრანსფერის განხორციელება ეკრძალებოდა. კლუბში კვლავ ტაკოევი დაბრუნდა, რომელმაც დაბრუნება შემომთავაზა, რაზედაც მე კატეგორიული უარი განვაცხადე. ხანგრძლივი ბრძოლის, კამათის, სასამართლოებისა და, რაც მთავარია, ტაკოევთან მოლაპარაკების შედეგად ყველა პრობლემა მოგვარდა. მე მოვისმინე მათი წინადადება, დავუკავშირდი ჩემს იურისტს და გადაწყვეტილება მივიღე. თანხას უახლოეს პერიოდში აუცილებლად მივიღებ. ამაში დარწმუნებული ვარ.

- რაც შეეხება "ანჟის", როგორ მოხდა თქვენი მეორე მწვრთნელად დანიშვნა?

- კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელობა შემომთავაზა. საქმე ისაა, რომ მთავარი მწვრთნელი, გაჯი გაჯიევი ავადმყოფობს. დღეს გუნდს, ფაქტობრივად, მე ვუძღვები. იყო გარკვეული პრობლემები. ბრძოლა მიმდინარეობდა პისკარიოვსა და გაჯიევს შორის. გარკვეულ ჯგუფს მეორე მწვრთნელად პისკარიოვის დანიშვნა სურდა. საბოლოოდ, ეს ადამიანი გუნდიდან გაუშვეს და მეორე მწვრთნელად მე დავინიშნე. პარალელურად, ვამთავრებ მწვრთნელთა მომზადების კურსებს. ასე რომ, მომავალში აუცილებლად ვაპირებ მწვრთნელობას. რაც შეეხება "ანჟის", კლუბში დიდი ინვესტიცია ჩაიდო და გუნდი არცთუ ურიგოდ გამოიყურება.

- ქართველი გულშემატკივარი ყურადღებით ადევნებს თვალს რუსეთში მოასპარეზე ქართველებს. თქვენ და ცხადაძე დღეს ვეტერანებად ითვლებით...

- კახი ცხადაძე გუნდის ერთერთი ლიდერია. მერწმუნეთ, მას, რომ იტყვიან, მეორე ახალგაზრდობის ხანა უდგას და თავის პოზიციაზე შეუცვლელია. კლუბის ხელმძღვანელობა მას ენდობა და სურს, მაქსიმალურად გამოიყენოს ცხადაძის გამოცდილება. კახი კიდევ დიდხანს ითამაშებს და, ალბათ, კვლავ დაუბრუნდება მწვრთნელობას.

მაკაი უკვე მიუნხენშია

"ბარსელონა" კი დედეს გადაბირებას ცდილობს

აკა ტონია

"დეპორტივოს" ჰოლანდიელი თავდამსხმელის, როი მაკაის მიუნხენის "ბაიერნში" შესაძლო გადასვლის შესახებ მოლაპარაკებები თვეების მანძილზე გრძელდებოდა. თითქოს და, ეს საკითხი დადებითად უნდა გადაწყვეტილიყო, თუმცა ესპანურმა კლუბმა სატრანსფერო თანხა გაზარდა, მიუნხენელებმა კი ზედმეტის გადახდა აღარ ისურვეს. ისეთი პირი უჩანდა, რომ მაკაის ტრანსფერი აღარ შედგებოდა, თუმცა "ბაიერნმა" მოთმინება შეინარჩუნა და საბოლოოდ, ჰოლანდიელს მაინც დაეპატრონა.

ორშაბათ საღამოს "დეპორტივოსა" და "ბაიერნს" შორის შეთანხმება მოხდა - მაკაი გერმანულ კლუბში გადადის. მეორე დღესვე, ადგილობრივი დროით 12.46 საათზე პატარა თვითმფრინავი "ჩესნა" მიუნხენის აეროპორტში დაეშვა და ამ ქალაქში როი მაკაი ჩაიყვანა. თვითმფრინავის ტრაპზე გამოჩნდა ღია ფერის კოსტუმში გამოწყობილი მაკაი, მეუღლისა და პირადი აგენტის თანხლებით. "ბაიერნის" კუთვნილი ავტომობილით ფეხბურთელი პირდაპირ კლინიკაში მიჰყავთ, სადაც მან სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს.

მიუნხენში ყველანი ბედნიერები არიან - როგორც იქნა, "ბაიერნმა" ახალი ვარსკვლავი შეიძინა. კლუბის ხელმძღვანელები სიხარულს არ მალავენ. "არასოდეს შემპარვია ეჭვი, რომ მაკაის შევიძენდით. ერთადერთხელ დავკარგე იმედი, როდესაც მისი გადაბირება "ჩელსიმაც" მოინდომა. თუმცა, ლონდონელებმა მალევე შეიძინეს სხვა თავდამსხმელი", - ამბობს ოტმარ ჰიცფელდი. "ბაიერნის" მწვრთნელი იმასაც აცხადებს, რომ მაკაის მოსვლით გუნდის სათამაშო სქემა არ შეიცვლება - მიუნხენელები კვლავინდებურად სამი



როი მაკაის "ბაიერნი" დაეპატრონა.

თავდამსხმელით ითამაშებენ. ჯოვანი ელბერის, კლაუდიო პიზაროს, როკი სანტა კრუზისა და ჰასან სალიამიჯჩიის შემდეგ მაკაი "ბაიერნის" მეხუთე თავდამსხმელია, რომელსაც გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის პრეტენზია აქვს. კონკურენციის გაზრდა მიუნხენელებს არ აშინებთ და ჰოლანდიელის შემატებით კმაყოფილებიც არიან. "მიხარია, რომ ის ჩვენს გუნდში ჩაირიცხა და რომ მის წინააღმდეგ თამაში აღარ მომიწევს", - ამბობს "ბაიერნის" მცველი ნიკო კოვაჩი. სიმშვიდეს ინარჩუნებს კლაუდიო პიზარო და ამბობს, რომ კონკურენციის არ ეშინია. ჯოვანი ელბერი კი საერთოდაც დარწმუნებულია, რომ მისთვის კონკურენციის გაწევას ვერც მაკაი მოახერხებს: "აქ ბევრი მოსულა და ბევრიც წასულა. მე კი ყოველთვის ვთამაშობდი".

ახლა კი ფინანსებზე: თავდაპირველად "ბაიერნი" 15 მილიონ ევროს სთავაზობდა "დეპორტივოს", ესპანელებმა კი 22 მილიონი მოითხოვეს. საბოლოოდ, მაკაის სატრანსფერო თანხამ 17,75 მილიონი ევრო შეადგინა. მიუნხენელთა პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ ასეთი მაღალი დონის ფეხბურთელის შეძენისას 1-2 მილიონით მეტის გადახდას არ უნდა მოერიდო. თავის მხრივ, "დეპორტივოც" წავიდა კომპრომისზე. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თავად ფეხბურთელის სურვილმაც. მაკაი "ბაიერნში" გადასვლის სურვილს არასოდეს მალავდა. "მე მჭირდება ის სტაბილურობა, რომლის გარანტიას იძლევა "ბაიერნი". ეს კლუბი ისეთივე კალიბრისაა, როგორიც "რეალი", "მანჩესტერი" და სხვა გრანდები", - განაცხადა ფეხბურთელმა.

სავსებით შესაძლებელია, რომ მაკაიმ უკვე ბუნდესლიგის მომავალ მატჩში "ჰანოვერის" წინააღმდეგ მოირგოს "ბაიერნის" მაისური.

წლევანდელი სატრანსფერო ზაფხული გერმანული და ესპანური კლუბების საკმაოდ ინტენსიურ ურთიერთობას გვპირდება. როგორც ჩანს, ფლავიო კონსეისაოსა და როი მაკაის შემდეგ სხვა ფეხბურთელებსაც მოუწევთ ესპანეთიდან გერმანიაში (ან პირიქით) გადაბარგება.

ბრემენის "ვერდერი" კატალონიური "ბარსელონას" თავდამსხმელის, დანის გადაბირებას ცდილობს. უარზე არც "ბარსაა". თავდასხმის ხაზში კატალონიელებს დიდი კონკურენცია აქვთ, დანის კი ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის არავითარი შანსი აღარ აქვს. "ბარსელონა" მზად არის, თავდამსხმელი უსასყიდლოდ გაანათხოვროს "ვერდერში".

"ბარსელონა" კი, თავის მხრივ, სხვა გერმანული კლუბის ფეხბურთელით არის დაინტერესებული. კატალონიელებს "დორტმუნდელი" დედეს შეძენა აქვთ განზრახული. "ბარსაში" გადასვლის სურვილი თავად ფეხბურთელსაც აქვს, თუმცა "ბორუსია" უარზეა. კატალონიელები გერმანულ კლუბს ხუთ მილიონ ევროს და რომელიმე ფეხბურთელს სთავაზობენ. საუბარია თურქულ "ფენერბახჩეში" განათხოვრებულ მეკარე რობერტ ენკეზე ან - არგენტინელ ხუან რამონ რიკელმეზე.

თურქი, რომელსაც თურქეთი თვალით არ უნახავს

ნინო ჟირველი

ჰამიტ ალტინტოპი "შალკეს" ახალი ვარსკვლავია.

ბუნდესლიგის ვარსკვლავები განებივრებულები არიან კარგი ცხოვრებით. ისინი ძვირადღირებულ უძრავ ქონებას ფლობენ, თვალისმომჭრელი მანქანებით დასრიალებენ, მდიდრულ ვილებში ცხოვრობენ და იტალიის თუ ესპანეთის საზღვაო კურორტებზე საკუთარი იახტებით მიაპობენ ტალღებს. ფეხბურთი ბევრი ფულის შოვნის ყველაზე საიმედო გზაა. მილიონერ ვარსკვლავებს რომ თავი დავანებოთ, სრულიად ჩვეულებრივი, "რიგითი" ფეხბურთელებიც შესანიშნავ ანაზღაურებას იღებენ და ბედს ნამდვილად არ უჩივიან. მთავარია, რომელიმე კლუბში მოხვდე და კონტრაქტი გაგიფორმონ, სიმდიდრე თავად მოვა შენთან...

ბუნდესლიგის ახალი ვარსკვლავი, თურქი ჰამიტ ალტინტოპი, ჯერჯერობით, სიმდიდრეზე არ ფიქრობს. მას ერთადერთი მიზანი აქვს: რაც შეიძლება მეტი გოლის გატანა. ბუნდესლიგის პირველ ტურში 20 წლის ალტინტოპმა სენსაცია მოახდინა - დორტმუნდის "ბორუსიას" ორი გოლი გაუტანა და სრულიად უცნობი თურქი ყმაწვილი უცებ ვარსკვლავად იქცა. მის შესახებ მანამდე არაფერი სმენოდა გერმანიას. "შალკემ," მართლაც, სიურპრიზი მოუწყო ფეხბურთის მოყვარულთ. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს უცნაური თურქი გელზენკირხენელთა ძირითად შემადგენლობაში მოხვდებოდა და დებიუტს ორი გოლით აღნიშნავდა? ამ მატჩის შემდეგ, რა თქმა უნდა, გერმანული პრესა ძალიან დაინტერესდა ალტინტოპის ვინაობით და ყველაფერი გაიგო "შალკეს" ახლად გამომცხვარი ვარსკვლავის შესახებ. "ბილდის" მიხედვით, ჰამიტ ალტინტოპი მეტად მოკრძალებულად, უფრო ზუსტად კი, ღარიბულად ცხოვრობს. მამამისს ხუთი შვილი ჰყავს პირველი ქორწინებიდან, ხუთიც - მეორედან. ჰამიტი და მისი ტყუპის ცალი ჰალილი ორი წლის იყვნენ, როცა მამა გარდაეცვალათ. დედა, მერიდენი, იძულებული გახდა გელზენკირხენის ფაბრიკაში წასულიყო სამუშაოდ. სარეცხის მანქანისთვის სამზადებლად ნაწილებს. დიდ ოჯახს ძალიან უჭირდა, ფული არასოდეს ჰყოფნიდათ. ტყუპებს ფეხბურთის თამაში ბიძამ დააწყებინა. ჰამიტი განსაკუთრებით ნიჭიერი აღმოჩნდა და გადაწყვიტა, სერიოზულად მოკიდებოდა ამ საქმეს. სანამ "შალკეში" მოხვდებოდა, ორივე ძმა ყველასთვის უცნობ კლუბ "ვატენშაიდში" თამაშობდა, სადაც ჰალილმა 16 გოლი გაიტანა, ჰამიტმა კი "მხოლოდ" 7.

ჰამიტმა მთელი ცხოვრება რკინიგზის სადგურის სიახლოვეს გაატარა. სახლი, რომელიც ალტინტოპებს აქვთ ნაქირავები, მხოლოდ სამოცი მეტრითაა მოშორებული სადგურს. იქაურობა სტამბულის ბაზარს მოგაგონებთ. გარშემო სულ თურქული მაღაზიები და პატარა ჯიხურებია, სადაც დიონერი და ქაბაბი იყიდება - ყველაზე ცნობილი თურქული საჭმელები. ჰამიტს აქ ყველა იცნობს. ბოსტნეულის გამყიდველი, ხანშიშესული თურქი, ერდემს დენიზი ღიმილით ესალმება ახალგაზრდა ფეხბურთელს და საქებარ სიტყვებს არ იშურებს მის მიმართ: "ის და მისი ტყუპის ცალი ჰალილი, რომელიც ახლა "კაიზერსლაუტერნში" თამაშობს, გადასარევი ბიჭები არიან. მათ დედას შეუძლია იამაყოს, ასეთი შესანიშნავი შვილები რომ გაზარდა". ჰამიტი ხშირად მიდის დენიზის სავაჭრო ფარდულში და ნესვს ყიდულობს მისგან.

ჰამიტის ბინა მესამე სართულზეა. სადარბაზოს კარზე თექვსმეტი ზარია დამონტაჟებული. სწორედ ამდენი ოჯახი ცხოვრობს ამ შეუხედავ, ბლოკით ნაგებ კორპუსში. ფეხბურთელის ბინა ოთხმოცი კვადრატული მეტრია. დღემდე ყველანი ერთად ცხოვრობენ, გათხოვილი დების გარდა. ჰამიტი არც აპირებს სხვა სახლში გადასვლას. სანამ მარტო ვარ და მეგობარი გოგონა არ მყავს, დედასთან ვიქნებიო, - ამბობს. ალბათ, მოსიყვარულე დედიკო მერიდემს, რომელიც დღემდე თურქულ ყაიდაზე ჩაცმული დადის, მალე მოუწევს თავის ჰამიტთან განშორება. აბა, ვინ დატოვებს დიდხანს მარტოდ "შალკეს" ახალგაზრდა ვარსკვლავს?

რაც ჰამიტი "შალკეში" გადავიდა, მისმა ოჯახმა ამოისუნთქა. ახლა მას 400 ათასი ევრო აქვს ხელფასი და ყველა სურვილის ასრულება შეუძლია ნათესავებისთვის. ჰამიტმა უკვე მოასწრო ვერცხლისფერი მერსედესის შეძენა. ახალ ბინასაც, ალბათ, მალე მოძებნიან.

ეს პატარა თურქი, რომელიც გერმანიაში დაიბადა და თურქეთში არც კი ყოფილა, საოცარი პატრიოტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული და აცხადებს, რომ თურქეთის ნაკრებში სურს თამაში. ილჰან მანსიზისა არ იყოს, არც ჰამიტს უნდა გერმანიის ეროვნული გუნდის მაისურის მორგება. "მე ეს ჯერ კიდევ ბავშვობაში გადავწყვიტე. ძალიან მომწონს თურქული ფეხბურთის ტემპერამენტი და გულშემატკივართა უსაზღვრო სიყვარული", - ამბობს ჰამიტი და იმედი აქვს, რომ შენოლ გიუნები, თურქეთის ნაკრების თავკაცი, მის სურვილს უყურადღებოდ არ დატოვებს.

ინფოთეკა

ფეხბურთი. მადრიდის "რეალის" ფეხბურთელები - ზინედინ ზიდანი და გუტი მონაწილეობას არ მიიღებენ იაპონიის "ტოკიოსთან" შეხვედრაში. კლუბის ექიმი ხუან კარლოს ერნანდესი მიიჩნევს, რომ ორივე ფეხბურთელი გადატვირთულია და დასვენებას საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია რომელიმე მათგანმა ტრავმა მიიღოს.

■ ■ ■

ფეხბურთი. მცველმა პაოლო მანოლიმ 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა შოტლანდიურ "გლაზგო რეინჯერსთან". "პარმასა" და "ფიორენტინას" ყოფილმა ფეხბურთელმა შარშანდელი სეზონი "ბოლონიაში" გაატარა. "რეინჯერსის" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მანოლი ახალი კლუბის შემადგენლობაში უკვე შაბათს "კილმარნოკთან" შეხვედრაში გამოჩნდება.

■ ■ ■

ფეხბურთი. გერმანული "კაიზერსლაუტერნის" მცველი ჰანი რამზი 6 თვით გამოვიდა მწყობრიდან. ფეხბურთელმა მუხლის ტრავმა მიიღო "მიუნხენ 1860"-ის წინააღმდეგ, ბუნდესლიგის ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრაში და ახლა საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა მოუწევს. შემდეგ კი, ხანგრძლივი სარეაბილიტაციო პერიოდი დაიწყება.

■ ■ ■

კალათბურთი. მოთამაშეებთან საკონტრაქტო პირობების დარღვევის გამო, იტალიის "ვირტუსი" ჩამოცილდა ევროლიგის 2003-2004 წლების გათამაშებას. კერძოდ, იტალიურ კლუბს ბრალად ედება სანი ბეჩიროვიჩისთვის ვალის გადაუხდელობა.

■ ■ ■

ფორმულა 1. "მაკლარენმა" თავისი მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანა პერსპექტიული ჩინელი მრბოლელი, ჩენგ კონგფუ. 19 წლის მრბოლელი ამჟამად ბრიტანეთის ჩემპიონატში გამოდის "ვერცხლის ისრების" კიდევ ერთ ფავორიტთან, შავკანიან ლიუს ჰამილტონთან ერთად. "მე ვოცნებობ, გავხდე პირველი ჩინელი ფორმულა 1-ში, - არ ფარავს თავის ამბიციებს ჩენგ კონგფუ, - მომავალ წელს ფორმულა 1-ის რბოლა ჩინეთშიც გაიმართება და შემიძლია ვთქვა, რომ "მაკლარენს" იქ ბევრი გულშემატკივარი ჰყავს".

■ ■ ■

კრივი. ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა პირველ ქვემძიმე წონაში და მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა მეორე ქვემძიმე წონაში, ჯესი ჯეიმს ლეიხამ განაცხადა, რომ ამიერიდან ისარგებლებს ოსკარ დე ლა ჰოიას პრომოუტერული სააგენტოთი. "Golden Boy Promotions"-ის მომსახურებით სარგებლობენ ისეთი მოკრივეები, როგორებიც ანტონიო ბარერა და ოსკარ ლარიოსი არიან. თვითონ "ოქროს ბიჭუნა" ამტკიცებს, რომ ის უაღრესად კმაყოფილია ლეიხას დადგენილებით და მას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგებაში დაეხმარება.

■ ■ ■

ველოსპორტი. ესპანურმა გუნდმა ONCE-Eroski-მ არსებობა შეწყვიტა. ეს იმან გამოიწვია, რომ ONCE-მ, ესპანეთის უსინათლოთა საზოგადოებამ, რომელიც გუნდის სპონსორი იყო, უარი განაცხადა მომავალ სეზონში თავისი მისიის შესრულებაზე. სპონსოროაზე უარს აცხადებს კომპანია Eroski-იც (სუპერმარკეტების ქსელი). ამრიგად, უმუშევრად დარჩნენ ხოსება ბელოკი, ლორან ჟალაბერი, აბრაჰამ ოლანო და ალექს ცუელე.

■ ■ ■

ჰოკეი. "სენტ-ლუისის" ფორვარდმა პავოლ დემიტრამ საარბიტრაჟო სასამართლო მოიგო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მომავალ სეზონში კლუბი ვალდებულია, ჰოკეისტს, რომელმაც შარშან 93 ქულა მოაგროვა, 6,5 მილიონი დოლარი გადაუხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სლოვაკი მიიღებს თავისუფალი აგენტის განუსაზღვრელ სტატუსს.

ПОП-МУЗЫКА

ნირვანადან პოლიტიკამდე

ჯგუფ "ნირვანას" ყოფილმა ბას-გიტარისტმა კრის ნოვოსელიკმა შოუ-ბიზნესის დატოვება გადაწყვიტა. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს მისთვის მუსიკასთან კავშირის გაწყვეტას. უბრალოდ, მუსიკოსი, ამიერიდან, საკუთარი გუნება-განწყობის კარნახით დაწერს მუსიკას და არა შოუ-ბიზნესის კანონზომიერების მიხედვით.

საკუთარ განცხადებაში ნოვოსელიკი ამბობს: "მუსიკალურ ინდუსტრიაზე გარკვეული დაკვირვების შემდეგ, გადავწყვიტე დავტოვო ის. როდესაც ჟურნალებს ვკითხულობ, ტელევიზორს ვუყურებ ან რადიოს ვუსმენ, საკუთარ თავს სხვა სამყაროდან მოსულად აღვიქვამ. ამის ატანა უკვე აღარ შემიძლია. რასაც ჩემს გარშემო ვხედავ, ჩემთვის მეტად უცხოა და მგონია, რომ არც არასდროს ყოფილა ჩემი. ყველა მუსიკალური ჯგუფი, სადაც კი მიმუშავია, დაიშალა და ეს ყველაფერი ძალიან არასასიამოვნოა. გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ არ ვაპირებ მივატოვო მუსიკა. უბრალოდ, მუსიკა ჩემთვის აღარ იქნება არსებობის წყარო. მე საკმაოდ ახალგაზრდა ვარ – 38 წლის. მაქვს საკუთარი გეგმები 2004 წლისთვის. ყველა ამერიკელისთვის ეს იქნება არჩევნების პერიოდი. მალე ჩემი გეგმების შესახებ ყველა შეიტყობს. მე ვიშრომებ თავისუფლებისა და სამართლიანობის სახელით", - ნათქვამია კრის ნოვოსელიკის განცხადებაში.

მუსიკოსმა აღიარა, რომ მისი უკანასკნელი ჯგუფი Eye's Adrift, რბილად რომ ითქვას, არ იყო მომგებიანი, კომერციული. მელომანები არ ყიდულობდნენ მათ ალბომებს. სხვათა შორის, კრის ნოვოსელიკი დღემდე უკრავს ჯგუფ Foo Fighters-ში, რომელიც მან "ნირვანას" დაშლისთანავე ჩამოაყალიბა. თავის გულახდილ განცხადებაში, მუსიკოსმა ისიც აღიარა, რომ "ნირვანას" დროს დაიბრუნებდა და სიამოვნებით დაუკრავდა თავის ძველ მეგობრებთან ერთად. თუმცა, რადგანაც ეს შეუძლებელია, ამიერიდან ისღა დარჩენია, საკუთარი შესაძლებლობები პოლიტიკაშიც მოსინჯოს.

ლარს ულრიხი ტარანტინოსთვის წერს

ჯგუფ "მეტალიკას" დასარტყამ ინსტრუმენტებზე შემსრულებელი ლარს ულრიხი ერთ-ერთი იმ სამი კომპოზიტორთაგანი გახდება, რომლებიც კვენტინ ტარანტინომ თავისი ახალი ფილმისთვის - Kill Bill Volume One-ში მიიწვია. ფილმში, რომლის მსოფლიო პრემიერაც 10 ოქტომბერსაა დაგეგმილი, მონაწილეობენ მსახიობები: უმა თურმანი, დერილ ჰანა და მაიკლ მედსენი.

ტონი ბლერის მეუღლე მუსიკალურ ჰიტ-პარადში

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მეუღლე ჩერი ბლერი მოულოდნელად ესპანეთის მუსიკალური ჰიტ-პარადების სათავეში მოექცა. როგორც ამბობენ, "ბითლზისეული" When I m 64 უმალ მოედო ევრპულ კლუბებს და სულ მალე ის წლევანდელი ზაფხულის ჰიტად იქვცევა.

საქმე იმაშია, რომ კუნძულ იბიცაზე, სადაც ამაყობენ საუცხოო დისკოთეკებით, დი-ჯეების ჯგუფმა საკუთარ მიქსებში გამოიყენეს "ბითლზის" სიმღერის When Ir'm 64-ის ერთი სტროფი, რომელიც პოლიტიკოსის მეუღლემ ჩინეთში ვიზიტისას შეასრულა. რამდენიმე დღეში საკლუბო მიქსი მეტად პოპულარული გახდა კუნძულზე და როგორც ვარაუდობენ, ნამუშევარი მალე ბრიტანულ ჩარტებშიც შეაღწევს.

ფილარმონიული ვნებები

სამეთვალყურეო საბჭო რეფორმებისთვის იბრძვის

ვერა ნეფარიძე

დიდი საკონცერტო დარბაზის შესახებ შარშანაც ავორდა ჭორები. მაშინ ფილარმონიის გაყიდვაზე საუბრობდნენ. ვნებათაღელვა ისე სწრაფად შეწყდა, რომ დაინტერესებულმა პირებმა სიტუაციის გამოძიებაც კი ვერ მოასწრეს. ამას, ალბათ, ფილარმონიასთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს სასწრაფოდ შექმნამაც შეუწყო ხელი. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, ფილარმონიაში არსებული ვითარება კვლავ ფართო საზოგადოების განსჯის საგანი გახდა. მაგრამ, ამჯერად ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქმე ისევე სწრაფად მოგვარდეს, როგორც ეს შარშან მოხდა. დიდ საკონცერტო დარბაზში, ალბათ, რეალური რეფორმების დრო უნდა დადგეს.

ბესო ბერიძის ფოტო

ფილარმონიის შენობა დავის საგანია.

ფილარმონიის თემის წამოჭრა მოულოდნელი არ ყოფილა. უბრალოდ, გარკვეული დრო დასჭირდა, გამოჩენილიყო ხალხი, ვინც ხმამაღლა დასვამდა იმ შეკითხვებს, რაც ნებისმიერ ადამიანს, ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს საკონცერტო დარბაზში შექმნილ მდგომარეობას, უჩნდებოდა წლების განმავლობაში. ამისათვის არ იყო საჭირო შიდა, ადმინისტრაცულ საკითხებში გარკვევა. საკმარისი იყო უბრალოდ, ფილარმონიის ზღურბლის გადაკვეთა, ან წლების განმავლობაში დარბაზში გამართული საკმაოდ ბევრი, მდარე ხარისხის (ფილარმონიის პროდუქციას ვგულისხმობ), მომაბეზრებელი ღონისძიებების თვალის დევნება.

დიდი საკონცერტო დარბაზის შესახებ საუბრისას, ხელმძღვანელობა ყოველთვის ცდილობდა, საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ დარბაზი აბსოლუტურად არამომგებიანია. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ფილარმონიის დარბაზი არა თუ თბილისში, არამედ მთელს ქვეყანაშიც ერთადერთი, მეტ-ნაკლებად მისაღებია (ყოველ შემთხვევაში, შედარებით ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისთვის), ფილარმონიის ხელმძღვანელობის ნათქვამში ეჭვის შეტანის საფუძველი ნამდვილად არსებობს. ფაქტია, რომ დარბაზი მუშაობს.

როგორც ჩანს, წლების განმავლობაში ფილარმონიაში არსებული მდგომარეობით არც სხვა სახელმწიფო სტრუქტურები იყვნენ (პირველ რიგში კი, დარბაზის სრულუფლებიანი მესაკუთრე – ქონების მართვის სამინისტრო) კმაყოფილები. ალბათ, ამიტომაც გახდა საჭირო ფილარმონიასთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა. საბჭო შარშან, 3 სექტემბერს შეუდგა მუშაობას. თუმცა, თუკი მისი წევრების აზრს გავითვალისწინებთ, მათ არსებობას ფილარმონიაში, მუშაობა შეიძლება არც ვუწოდოთ. პირველ რიგში კი იმიტომ, რომ საბჭოს წევრები თავს უფუნქციოდ მიიჩნევენ.

საერთოდ, სამეთვალყურეო საბჭოს არ აქვს უფლება ჩაერიოს ყოველდღიურ მართვაში. მისი მოვალეობაა გარკვეული რეკომენდაციების მიცემა ხელმძღვანელობისთვის და განვითარების გეგმის დასახვა. "ფილარმონიაში მისვლისთანვე დაგვხვდა აგრესიული განწყობა. რატომღაც, ადმინისტრაციას შეექმნა აზრი, რომ ჩვენ ფილარმონიის დირექციის მოსახსნელად მივედით. ამ ეჭვების გასაქარწყლებლად, ჩვენი ბრძანების საფუძველზე, თანამდებობაზე დავტოვეთ დარბაზის დირექტორი ალექსანდრე ბასილაია. მაგრამ, უკვე აივსო მოთმინების ფიალა", - გვითხრა სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, კომპანია "ისთერნ პრომოუშენის" მმართველმა დირექტორმა მიშა გიორგაძემ.

სამეთვალყურეო საბჭო, ძირითადად, უკმაყოფილოა ფილარმონიის დირექციის სრული უმოქმედობით. წლების განმავლობაში საჭირო ზომების განუხორციელებლობის გამო, შენობა ფიზიკურად დანგრევის პირასაა. "დარბაზი დღითიდღე დეგრადაციას განიცდის. ყოველდღე იძარცვება, დირექციაც აღიარებს, ხან რას იპარავენ და ხან რასო. ელემენტარულ სანიტარიაზე აღარაფერს ვამბობ - ფილარმონია ანტისანიტარიის ბუდეა. და რაც მთავარია, არაფერი კეთდება ამ ყველაფრის გამოსასწორებლად", - ამბობენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. მათივე თქმით, საბჭოს შექმნიდან დღემდე, წევრებს რამდენიმეჯერ მიუმართავთ დარბაზის დირექტორისთვის სხვადასხვა საქმიანი წინადადებით, რეკომენდაციით, რაზეც ყოველთვის არსებობდა ერთადერთი პასუხი: "არაფრის კეთებას აზრი არ აქვს, როგორც ინგრეოდა აქამდე, ისე დაინგრევა. მაინც არაფერი გამოვა". ასეთ შემთხვევაში, საბჭოს წევრები ერთადერთ გამოსავალს პოულობენ: "როგორ შეიძლება მმართველი დირექტორი ასე საუბრობდეს. მაშინ, უნდა მიეცეს შანსი სხვა ადამიანს. უნდა შეიცვალოს დირექტორი".

საუბარი სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექციის თანამშრომლობაზე ზედმეტია. საბჭოს ერთ-ერთი წევრი შეესწრო კიდეც ფაქტს, როდესაც დიდი საკონცერტო დარბაზის დირექტორმა, თურმე, თანამშრომელს საბჭოს დირექტორთან (გურამ გაბიძაშვილი) შესვლა აუკრძალა. "სხვადასხვა მიზეზების გამო, დირექცია უარს ამბობს ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის მოწოდებაზეც კი", - ამბობენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები.

ამჟამად, საბჭოში შედგენილია ოქმი. საბჭოს წევრებმა მდგომარეობა გააცნეს ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობასაც (ქონების მართვის სამინისტროს გაუქმების შემდეგ, დარბაზის მეპატრონე, შესაბამისად, ეკონომიკის სამინისტროა). სამეთვალყურეო საბჭო ამჟამად ელის ეკონომიკის საბჭოს ხელმძღვანელობის მკვეთრი პოზიციის გამოხატვას. რაც შეეხება თავად ფილარმონიის დირექტორს, რამდენადაც გავარკვიეთ, ალექსანდრე ბასიალია ამჟამად საზღვარგარეთაა. სხვათა შორის, ერთ-ერთი პრეტენზია, რაც ფილარმონიაში რეფორმების განხორციელების მსურველთა ჯგუფს აქვს დირექტორისადმი, ბასილაიას მუდმივად ადგილზე არყოფნაა. დირექტორის მოადგილეები კი ირწმუნებიან, ხელმძღვანელი სიტუაციას ტელეფონის საშუალებით მართავსო, მაგრამ თუ როგორია ასე მართული საქმე, შედეგს ყველა ხედავს. პირველ რიგში კი საზოგადოება, რომელსაც ძალაუნებურად უწევს წლების განმავლობაში ერთი და იგივე, ყოველგვარ კრიტიკას დაუმორჩილებელი, "განახლებული" საკონცერტო პროგრამების ნახვა. არ ვგულისხმობ იმ იშვიათ გამონაკლისებს, როდესაც (იმ შემთხვევაში, როდესაც დარბაზს ქირაობენ) შესაძლებელია, მართლა გაჩნდეს არჩევანის საშუალება.

ცეცხლი ალპებიდან კავკასიონამდე

ნანა ბასილაშვილი

ბესო ბერიძის ფოტო

ბესა საკუთარ პლაკატზე.

როგორ უნდა დააინტერესო გარკვეული წრეები, რათა სერიოზული ჩანაფიქრი შეასრულო?! ახალგაზრდა მხატვრებმა ბესა ქართველიშვილმა და ლაშა ციციკაშვილმა, ასე ვთქვათ, თანამედროვე მიდგომის მეთოდი გამოიყენეს. ამ მიმართულებით მათ განსაკუთრებული ტალანტი აღმოაჩნდათ, შესანიშნავი პრომოუტერობა გაუწიეს საკუთარ თავს და ტურიზმის დარგში მოღვაწე ქართულ-შვეიცარული გაერთიანების Geo Swiss-ის საშუალებით საქმიანი ურთიერთობა დაამყარეს ორგანიზაცია mountain wilderness-თან. საკუთარი შესაძლებლობების დამამტკიცებელ საბუთად კი, ახალგაზრდა მხატვრებმა ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას შესანიშნავი ესკიზი წარუდგინეს, რომელსაც გარკვეული გამართლება ჰქონდა როგორც სიციალური, ასევე მხატვრული თვალსაზრისით.

საერთაშორისო ეკოლოგიურ აქციას, წელს პირველად, საქართველოც შეუერთდება. აქციის ქართული ვარიანტი, სახელწოდებით "ცეცხლი ალპებიდან კავკასიონზე", 9-10 აგვისტოს ყაზბეგში გაიმართება.

Mountain Wilderness-ის ორგანიზატორობით ყოველი წლის 9 აგვისტოს ევროპის მთებში ცეცხლს ანთებენ (შუასაუკუნეებში ცეცხლი განგაშის სიმბოლო იყო). ამ ტრადიციას 80-ანი წლებში ჩაეყარა საფუძველი. იგი ეკოლოგიური საკითხების მოგვარებას ისახავს მიზნად.

საერთაშორისო ეკოლოგიური აქცია სერ ედმუნდ ჰილარიმ ჩამოაყალიბა. ეს ის ადამიანია, რომელიც პირველად ავიდა ევერესტზე. მთასვლელის ინიციატივას და მის მიერ ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას, მალე ევროპის სხვადასხვა ქვეყნები შეუერთდნენ და ამ ორგანიზაციის ფილიალებიც ჩამოაყალიბეს. დღესდღეობით, ევროპის თითქმის ყველა მწვერვალზე ყოველ წელს, ცეცხლს ერთი და იგივე დროს ანთებენ. სწორედ ამ ორგანიზაციის აქტივისტების სურვილი იყო, რომ მათ საქართველოშიც დაიწყონ ფუნქციონირება. ეს კი ტურიზმის დარგში მოღვაწე ქართულ-შვეიცარული ორგანიზაცია Geo Swiss-ის პრეზიდენტის ალან მარინის დახმარებით მოხერხდა. "ალან მარინთან ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს, mountain wilderness-ი ჩვენ სწორედ მისი საშუალებით დავეკონტაქტა", - საუბრობდა უზარმაზარი პლაკატის ერთ-ერთი ავტორი ბესა ქართველიშვილი.

პლაკატი, რასაკვირველია ცალ-ცალკე ნაჭრებზე იხატება. მათ გადასაბმელად ბესას და ლაშას, სულ ცოტა 200 მეტრი თოკი დასჭირდებათ. საბოლოოდ, პლაკატი თითქმის 300 მეტრი იქნება. მისი დანიშნულების ადგილამდე მისატანად მხატვრებს ცალკე მექანიზმი აქვთ მოფიქრებული. 9 აგვისტოს ყაზბეგში გამართულ აქციაზე ეკოლოგიურ პლაკატს, სასტუმრო "ინტურისტის" ხუთსართულიან შენობაზე (შენობას იგი თავიდან ბოლომდე დაფარავს) გააკრავენ.

"თავდაპირველად ამხელა პლაკატი არ იყო ჩაფიქრებული, ჩვენ თვითონ მოვისურვეთ ასე. ესკიზი ჩემი გაკეთებულია, წინა პლანზე არიან მწვანე ფერში გადაწყვეტილი ადამიანები, რადგან იდეაში, ისინი ეკოლოოგიისთვის მებრძოლი ადამიანები არიან. ფონზე მყინვარწვერი მოჩანს, შუაში კი ჯაჭვით ხელში ამირანია გამოსახული, რომელიც, სიმბოლურად, ბუნების გადარჩენისთვის იბრძვის. აქვეა გამოსახული მცენარეები, რომლებსაც ქართულ-ტრადიციულ-დეკორატიული სახე აქვს, რადგანაც ვიმედოვნებთ, რომ საქართველოში ეს აქციები კვლავაც გაგრძელდება. რასაკვირველია, ამისათვის საჭიროა ჩაფიქრებულმა აქციმ წარმატებულად ჩაიაროს. ჩვენი მხრიდან თავს არ ვზოგავთ" – ამბობს ბესა ქართველიშვილი.

"ამ ტიპის ნამუშევარი არ შეიძლება იყოს რთული კომპოზიცია, ეს არის პლაკატური, მარტივი, ჟღერადი და თავისთავად ძალზე გასაგები, სადაც გატარებული აზრი, ზუსტად ეხმიანება აქციის მიზანს - დაალაგე, მოუარე და არ დასვარო. ყოველივე ეს ერთმანეთს ავსებს და როგორც შინაარსობრივად, ასევე მხატვრული თვალსაზრისით სრულ შესაბამისობაშია მოყვანილი" – ასე შეაფასა ახალგაზრდა კოლეგების ნამუშევარი მხატვარმა გია ბუღაძემ. რამდენიმე ხნის წინათ, ლაშა და ბესა სწორედ მისი ხელმძღვანელობით კიდევ ერთ სოციალურ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ. მათი წვლილი ანტინარკოტიკულ აქციაშიც დაფიქსირდა.

მხოლოდ ტყავი და ჯინსი

ბაქოში მცხოვრები თბილისელი დიზაინერის გამოსასვლელი კოლექცია

კლუბ "16 რაუნდში" ზალიკო ბერგერის ორგანიზებული მოდის საღამოები გრძელდება. წუხანდელი, რიგით მეორე ჩვენების ავტორი ბაქოში მცხოვრები თბილისელი დიზანერი კახა ქაჯაიაა. გუშინ მან თბილისელებს ტყავითა და ჯინსით დამზადებული საგაზაფხულო-საზაფხულო კოსტუმების კოლექცია წარუდგინა.

ბესო ბერიძის ფოტო

კახა ქაჭაიამ თბილისში პირველი ჩვენება მოაწყო.

ვერა ნეფარიძე

"ცოტა ადრე რომ გავეფრთხილებინე ზალიკოს, უფრო მოვემზადებოდი ამ ჩვენებისთვის. რადგანაც სამშობლოში მიწევს კოლექციის ჩვენება და თანაც პირველად, მეტი პასუხისმგებლობით ვეკიდები", - დაახლოებით ასე დაიწყო ჩვენი საუბარი გუშინდელი ჩვენების ავტორთან. კლუბ "16 რაუნდში" დიზაინერი საღამოს ხუთი საათისთვის მივიდა. ქართული პუნქტუალობით იკრიბებოდნენ ქართველი მოდელებიც, რომელთაც ახალგაზრდა დიზაინერი სწორედ რეპეტიციაზე შეხვდა პირველად. თავად რეპეტიცია კი იგვიანებდა მოდის საღამოების ორგანიზატორის, ზალიკო ბერგერის ყველასათვის ნაცნობი პუნქტუალობის გამო. თუმცა, ყველაფერს შეიძლება მოვუძებნოთ სასარგებლო მხარე. რეპეტიციის დაწყებამდე ბაქოში მოღვაწე დიზაინერთან გაცნობა მოვახერხეთ.

კახას თბილისში, ჯერჯერობით, არ იცნობენ. რასაკვირველია, ქართული მოდით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას ვგულისხმობ. ახალგაზრდა დიზაინერი საქართველოდან უნივერსიტეტის დამთავრებიდან (აქ იგი ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე, მხატვრული მოდელირების ჯგუფში სწავლობდა) ორი წლის შემდეგ უკრაინაში წავიდა სამუშაოდ. თბილისში მას ერთადერთი ჩვენება ჰქონდა, ისიც მაშინ, დიპლომი რომ დაიცვა. უკრაინაში სხვადასხვა ქალაქში მოუწია მუშაობა მხატვარ-მოდელიორად. მონაწილეობდა დიზაინერთა ჯგუფურ ღონისძიებებში და ჰქონდა სოლო-ჩვენებებიც. იმის მიუხედავად, რომ იქ ახალი პერსპექტივებიც გამოჩნდა, საცხოვრებლად ბაქოში გადავიდა. ბაქოში ცხოვრება ახლობლებმა შესთავაზეს. საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზეზს მარტივად ხსნის: "უბრალოდ, ერთ ადგილას დიდხანს ვერ ვჩერდები. ბაქოდანაც წავალ, აუცილებლად". თუმცა, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებს, აზერბაიჯანში თბილისელი დიზაინერი აუცილებლად გამართავს თავის პირველ ჩვენებას. ღონისძიება ოქტომბერშია დაგეგმილი. ჩვენებაში ნავარაუდევია ქართველი დიზაინერების მონაწილეობაც. "ბაქოში დიზაინერისთვის კარგი პირობებია: არის კარგი მასალა, აქსესუარების არჩევანი, ბაზარი. მართალია, ჯერჯერობით, ჩემი საქმით ვერ ვცხოვრობ, მაგრამ პერსპექტივები უკვე გამოჩნდა", - გვითხრა კახამ.

გუშინდელ ჩვენებაზე მან მცირე კოლექცია, მამაკაცისა და ქალის 13 გამოსასვლელი კოსტუმი წარმოადგინა. უფრო სერიოზულად თბილისური აუდიტორიის წინაშე კახა მოგვიანებით გამოჩნდება. მანამდე კი, ის კიდევ ერთხელ ჩამოვა თბილისში მოდის საღამოებზე დასასწრებად. შეგახსენებთ, ღონისძიება კლუბ "16 რაუნდში" სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდება.

გერმანელების ინიციატივა

ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების ორი კომპაქტური დისკი გერმანული სტუდიის "რაუმ კლანგის" ინიციატივით საშობაოდ გამოიცემა. ამჟამად, რამდენიმე დღით თბილისში იმყოფებოდა სტუდიის შემოქმედებითი ჯგუფი, რომელმაც ფოლკლორული ანსამბლის "ძველი კილოებისა" და თბილისის ანჩისხატის ტაძრის გუნდთან ერთად, 15 საეკლესიო საგალობელი და ამდენივე ხალხური სიმღერა ჩაწერა.

ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდი შემოდგომაზე შვეიცარიაში დაგეგმილ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ემზადება, ხოლო საახალწლოდ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საანგარიშო კონცერტს გამართავს.

ქართული საოპერო სკოლა ევროპაში

ლადო ათანელმა ლეონკავალოს ოპერის "ჯამბაზების" მთავარი პარტია ცნობილ ესპანელ საოპერო მომღერალთან პლასიდო დომინგოსთან ერთად ლონდონის "კოვენტ გარდენის" სცენაზე შეასრულა. სპექტაკლის რეჟისურა ფრანკო ძეფირელის ეკუთვნოდა. ქართული საოპერო სკოლის ცნობილი წარმომადგენლების ლადო ათანელისა და თბილისელი ლიზა მარტიროსიანის მორიგი კონცერტები, რომლებიც რამდენიმე დღის წინათ ევროპის საოპერო სცენებზე გაიმართა, წარმატებით დასრულდა. **მედია-ნიუსი**

როკიდან მიუზიკლამდე

ჯგუფი The Cranberries-ის ოფიციალურ ვებ-საიტზე გაჩნდა ინფორმაცია, ჯგუფის ლიდერის დოლორეს ო'რიორდანისა და ჯგუფ AC/DC-ის სოლისტის ბრაიან ჯონსონის თანამშრომლობის შესახებ. მუსიკოსები ერთად იმუშავებენ მიუზიკლზე Helen of Troy, რომელსაც ბრაიან ჯონსონი, თურმე, რამდენიმე წლის განმავლობაში წერს.

"დოლორესი მოუთმენლად ელის შესაძლებლობას, როდესაც იგი ამ სიმღერებს გაეცნობა. მას სურს, ახალი კომპოზიციების შექმნაშიც მიიღოს აქტიური მონაწილეობა. ბრაიან ჯონსონის სადებიუტო ნამუშევარში სხვა მრავალი ცნობილი შემსრულებლის გამოჩენაა მოსალოდნელი", - ნათქვამია ინფორმაციაში.

დოლორესმა და ბრაიანმა ერთმანეთი ამ ზაფხულს გაიცნეს - ერთ-ერთ ევროპულ ტურნეზე მათ "როლინგსთოუნზთან" ერთად მოუწიათ გამოსვლა. თუმცა, ასეც რომ არ ყოფილიყო, მიუზიკლის ავტორს, უყურადღებოდ მაინც არ დარჩებოდა დოლორესის საშემსრულებლო ნიჭი.

რამდენადაც ცნობილია, Helen of Troy მეტწილად იუმორისტული მიუზიკლია ბალადებითა და ჰიმნებით, ასევე მინიმუმამდე დაყვანილი დიალოგებით. ჯონსონთან ერთად მიუზიკლის თანაავტორია კომპოზიტორი ბრაიან ჰილი. შოუს პრემიერა მარტში უნდა გამართულიყო, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო, ის ნოემბრისთვის გადაიტანეს. ამ დროისათვის სპექტაკლში ჩადებულია მილიონ ორასი ათასი ამერიკული დოლარი.

TV პროგრამა
6 აგვისტო

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა **08.25** სერიალი "კომპიუტერული ომები" **08.50** სერიალი "ტომ სოიერის თავგადასავალი" **10.00** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.30** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი "კომისარი მონტალბანო" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "კომპიუტერული ომები" **18.50** სერიალი "მაშველები" **19.40** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **22.00** სერიალი "კომისარი მონტალბანო" **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **00.40** მხ.ფილმი "ასა". მთ. რ-ში: ტატიანა დრუბიჩი, სტანისლავ გოვორუხინი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი "კაცია და გუნება" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **13.05** დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" 1-ლი ს. **14.00** სერიალი "ქალთა სავანე" **15.15** მხ. ფილმი "ჯერცხლისფერი ულაყი" **16.50** ტელესერიალი "ძილის წინ" **17.05** დოკ. სერიალი "ავიაშოუ" **17.20** 50-50 **18.00** "ვესტნიკი" **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** პალიტრა **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **21.55** "მათი შვილები" **22.35** ტელესერიალი "ძილის წინ" **23.00** "რა ხდება?!" **00.00** მხ. ფილმი "გონებრივი შეტევა".

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "უდანაშაულო დამნაშავე" მთ. რ-ში ლესლი ნილსენი, რიჩარდ კრენა. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** პროფათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** "შრავო" "თავზეხელაღებული" მთ.რ-ში ბენ აფლეკი, კოლინ ფარელი. **01.40** "ღამურა" "მკვლელი" მთ.რ-ში ბრიჯიტ ფონდა, გაბრიელ ბირნი. **03.45** პაუზის გარეშე.

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** სერიალი "რვაფეხა" **20.30** დიდი დასვენება **21.00** ენერგია **21.30** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი "ივანე კოტორაშვილის ამბავი".

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "თავში უქრის" **13.30** მხ. ფილმი "მაიკლი" **15.00** მხ.ფილმი "უკან მომავალში 2" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "დიდი დედილოს სახლი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "ძმები ბლუზები".

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "მებრძოლი" **12.45** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "ფორმულა 51" **17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30** მუსიკა **17.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** მხ.ფ. "ტალღის ქიმზე" **22.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "ახალი ჭიანჭველები შარვალში" **01.30** ღამის ფილმი.

მეცხრე არხი

09.30 მულტფილმი "აბა დამაცადე" **10.00** სერიალი "ჯონ როსი" **10.30** მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" **11.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **12.00** "ცხელი ცხრიანი" **12.40** მხ. ფილმი "ბილოქსის ბლუზი" **14.20** "ტელემეტრი" (განმ.) **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **15.20, 16.20, 17.20, 19.50, 20.20** მუსიკა **15.30** სერიალი "ციებ-ცხელება" **16.30** დოკ. სერიალი "ფოტორობოტი" **17.50** სერიალი "შაკა-ზულუ". 1-ლი ს. **18.40** მულტსერიალი "ტომი და შინა" 1-ლი ს. **19.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **20.00** დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" **21.15** სერიალი "ციებ-ცხელება" **22.00** მხ.ფილმი "ნეტავ სული აღმოხდეს" **23.30** კინოგადაცემა "ნუმერატორი" **00.20** მხ. ფილმი "კაზინო".

იმედი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "იუდას ქალი" **10.30** ლარის მახე **11.05** თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **13.30** სერიალი "ოკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **15.15** მხ. ფილმი "გაიქეცი, ლოლა, გაიქეცი" **17.30** "ერთხელ ჰოლივუდში" **18.05** სერიალი "იუდას ქალი" **19.30** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **20.30** არტ-ბულვარი **21.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **23.00** სერიალი "ჩამხვრეული ლამპიონების ქუჩები" **23.55** ფანების კინოკლუბი "თოჯინა".

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** ისტორიული ფილმი "სამი მეფის შერკინება" მე-3 ს. **10.00, 13.40, 17.25, 19.45** ვიდეორტი **10.05, 13.45, 19.50** მუსიკა **10.25** მხ. ფილმი "განძის მაძიებლები" **12.10** მხ. ფილმი "დიდი რბოლა" **14.10** მხ. ფილმი "ქორწილი" **16.10, 19.20, 22.20, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **16.20** მულტფილმი "კუზიანი კვიცი" **17.30** "ქართული კინო" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.40, 22.40** "პრესდაიჯესტი" **19.50** მუსიკა **20.10** თრილერი "საშურაის გზა" **23.00** "ალტერნატივა" **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** დოკუმენტური ფილმი **01.25** მისტ. ფილმი "წინასწარმეტყველება" **03.20** დოკ. ფილმი **04.10** კომედია "ჰარლემის ღამეები".

VII არხი

09.10 მელოდია **09.20** "აჩიკუდა" **09.40** აუდიო-ვიდეო-ტელე **10.30** მელოდია **10.40** კომპიუტერული ტექნიკა **11.10** მელოდია **11.20** მობილურები **12.10** მელოდია **12.20** კომპიუტერული თამაშები **12.25** დისნეი და მისი მეგობრები **12.50** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **13.20** მელოდია **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** მობილურები **21.15** მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები **21.30** კომპიუტერული თამაშები **21.35** დოკ.ფილმი "ბრძოლა წესების გარეშე" **21.55** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.45** "კინოკლუბი" - "დამნგრეველი ქალი". ფანტასტიკა. რეჟ: რობერტ კურცმანი. როლებში: ნიკოლ ეგერტი, პიტერ ჯეისონი. **00.20** ტელესერიალი - "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" - მე-8 სერია **01.05** კომპიუტერული ტექნიკა **01.40** მელოდია.

ОРТ

07.00 "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 21.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 11.05 Худ.фильм "Королева Марго" 12.05** "Кумиры". С.Карпинская **12.35** Дисней-клуб: "Чудеса на виражах" **13.15 Худ.фильм "Человек без паспорта" 15.15 Э**. Радзинский. "В России все секрет... и ничего не тайна". Фильм 3 **16.15** Док.сериал "Спецназ". "Бронепоезд XXI века" **17.00 Комедия "Надежные лапы" 18.30** Док. детектив "Хроника одного убийства". **19.20** "Смехопанорама" Е.Петросяна **19.50 Худ.фильм "Сокровища мертвых", 2 с. 22.00, 00.30** "Время" **22.30 Худ.фильм "Крестный отец" 23.35 Сериал "Шпионка" 01.00** Док.фильм "Прохоровка. Укрощение "Тигра" **01.30** "Гении и злодеи" **02.00 Триллер "Лицо напротив".**

РТР

06.45 "Доброе утро, Россия!" **09.45, 21.55 Сериал "Каменская" 10.50 Сериал "Цыган" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20** Ток-шоу "Короткое замыкание" **13.20 Детектив "Марш Турецкого 2" 14.15, 17.45** "Экспертиза" **14.30** Дорожный патруль **14.45** Вести - Москва **15.20** Ток-шоу "Что хочет женщина" **16.10 Сериал "Семейные тайны" 17.15 Сериал "Простые истины" 18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **18.50, 03.05** Дорожный патруль **19.05** Вести-спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал "Комиссар Рекс" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **23.00 Детектив "Марш Турецкого 2". 00.00** "Мифы без грифа". "Случайный заговор" **00.55 Худ.фильм "Номер "люкс" для генерала с девочкой" 03.20 Сериал "От Земли до Луны" 04.25 Мелодрама "Перекрестки".**

НТВ

07.00 "Утро на НТВ" **10.05 Сериал "Жил-был я..." 11.00** "Сегодня утром" **11.25 Комедия "Встретимся на Таити" 13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.55** "Сегодня" **13.30** Ток-шоу "Страна советов" **14.35 Сериал "Крот" 15.45** "Криминал" **16.35 Сериал "Семнадцать мгновений весны", 10 с. 18.25 Сериал "Скорая помощь 3" 19.25** "Чистосердечное признание" **20.35 Сериал "Улицы разбитых фонарей". "Джокер" 21.50 Сериал "Крот", 3 с. 23.00** "Страна и мир" **23.30 Сериал "Клан Сопрано" 00.40 Сериал "Улицы разбитых фонарей" 02.15** "Гордон" **03.10 Сериал "Воры", 2 с.**

მუსულმანები „ტატუს" ემუქრებიან

რუსული პოპ-დუეტის, "ტატუს" ირგვლივ კვლავ სკანდალია. თუმცა ამ შემთხვევაში მას შესაძლოა სერიოზული გართულებები მოჰყვეს. რამდენიმე დღის წინათ, ლონდონის მეჩეთებში გაკეთდა განცხადება, რომელიც ყველა მუსულმანს მოუწოდებს არ დაესწრონ დუეტის კონცერტებს. ამ სკანდალის მიზეზი კი დუეტის წევრის, იულია ვოლკოვას წელზე არაბულად ამოტვიფრული სვირინგი გახდა. ისლამის ღვთისმეტყველები სვირინგს, მათთვის წმინდა სიტყვას - "ალაჰს" ამსგავსებენ.

შედეგებმა არ დააყოვნა. ლონდონში რამდენიმე მეჩეთთან პიკეტები მოეწყო, სადაც მართლმორწმუნე მუსულმანებმა დემონსტრაციულად დაწვეს დუეტის დისკები და პლაკატები. რადიკალმა ისლამისტებმა კი, ინგლისში ჯგუფის ყველა კონცერტის აკრძალვა მოითხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ირწმუნებიან, რომ "თავიანთ საქციელზე პასუხს არ აგებენ".

ამასობაში, "ტატუს" წარმომადგენლები პრესის საშუალებით აცხადებენ, რომ იულიას მხოლოდ და მხოლოდ სიტყვა "სიყვარული" აქვს ამოსვირინგებული.

ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთისთვის კომენტარს აკეთებს ლონდონის იმამი, აბუ-ხაზმა ალ-მასრი: "1994 წელს მოდელიორმა ლაგერფელდ ოდელმა, ნახევრადშიშველ ფოტომოდელებს, ყურანიდან ამოწერილი ლექსებით გაფორმებული კაბები ჩააცვა. ამასთან დაკავშირებით მოდელიორი ასევე ურცხვად იმართლებდა თავს და ამბობდა, რომ მან წმინდა ტექსტი უბრალოდ არაბულ პოემად მიიჩნია. თუმცა, მას მაინც დაუყოვნებლივ ბოდიშის მოხდა მოუწია და მის მიერ შეკერილი ყველა კაბა საკუთარი ხელით დაწვა. სხვა შემთხვევაში, არ გამოვრიცხავ, რომ განრისხებული ხალხი თავად მოდელიორს გაახვევდა ცეცხლის ალში. მუსულმანებისთვის არაბული ასოები, რომლითაც დაწერილია ყურანი, წმინდაა და ამ ასოების ადამიანის სხეულზე გადმოტანას, ჩვენ პირად გამოწვევად მივიჩნევთ".

იგივე გაზეთი იუწყება, რომ იმამ ალ მასრი და მისი ორგანიზაცია "ანსარ აშ-შარია", ღიად ამზადებდნენ მეომრებს ჩეჩნეთისა და ავღანეთში გასაგზავნად. ვარაუდობენ, რომ ისრაელის ერთ-ერთ კაფეში მომხდარი ტერაქტი, სადაც კამიკაძემ სამი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, სწორედ მათ დავალებას ასრულებდა.

ამ გოგონებს მუსულმანები ემუქრებიან.

მას შემდეგ, რაც სამი არაბი დაიჭირეს, რომლებიც ლონდონის მეტროებში გასაშვებად მომწავლავ ნივთიერებებს ამზადებდნენ, პოლიციამ სწორედ იმამის მეჩეთებში მოაწყო ჩხრეკა. ჯგუფ "ტატუს" ახლა სწორედ იმამი და მისი ორგანიზაცია ემუქრება.

"ტატუმ" დიდი შეცდომა დაუშვა. თუკი ამოსვირინგებული სიტყვა მართლა "სიყვარულს" აღნიშნავს, ეს, ყველა შემთხვევაში, არასასიამოვნოა – იგი ხომ ყურანშიც გვხვდება. სხვათა შორის, მუსულმანებში მოსვირინგება ცოდვად ითვლება – სხეული ზუსტად ისე უნდა შეინარჩუნო, როგორიც ღმერთმა მოგცა", - განაცხადა მუსულმანური სასულიერო სასწავლებლის სტუდენტმა მუჰამედ ბახელმა.

თუკი ვოლკოვას წელზე გაკეთებული სვირინგი მაინც სიტყვა "ალაჰად" ითარგმნება, ამას, შესაძლოა, ნებისმიერი სახის გართულება მოჰყვეს. მაგალითად, ევროპაში – საფრანგეთში, ესპანეთსა და გერმანიაში – საერთო მოსახლეობის 10-15 პროცენტი მუსულმანია. ბევრ ქვეყანაში უკვე მართლმორწმუნე მუსულმანები ამ მუსიკალური კოლექტივის წინააღმდეგ გამოდიან. მაგალითად, ამტვრევენ იმ მაღაზიის ვიტრინებს, სადაც "ტატუს" კომპაქტ-დისკები იყიდება.

ერთ-ერთმა ჟურნალისტმა გადაწყვიტა ზუსტად გამოერკვია იდუმალი სვირინგის მნიშვნელობა. აღმოჩნდა, რომ ერთერთი ვარიანტის მიხედვით იეროგლიფი შემდეგნაირად ითარგმნება - "შეშლილი სიყვარული, ძლიერი წყურვილი". მეორე ვერსიის მიხედვით, ეს სიტყვა "ხიამს"აღნიშნავს, ამ სახელს უწოდებენ გოგონას, რომელსაც სურვილი აქვს ძლიერ სიყვარულში გამოუტყდეს თავისივე სქესის წარმომადგენელს. სახელი "ხიამი", ამავე დროს ითარგმნება როგორც "ოცნება". რაც შეეხება სპეციალისტების დასკვნას, ისინი აღნიშნავენ, რომ იეროგლიფები ძალიან გაურკვევლადაა დაწერილი.

ეგზოტიკური ცხოველები ოპერაში

სეულის ერთ-ერთ თეატრში იტალიელმა ხელოვანებმა მეტად სარისკო ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტეს. სეულში იტალიური თეატრი "პარმა", ჯუზეპე ვერდის ცნობილ ოპერას, "აიდას" წარმოადგენს, სადაც მსახიობ-ადამიანებთან ერთად, სპექტაკლში რამდენიმე ცხოველიც მიიღებს მონაწილეობას. კასტინგში ცხოველებიდან არჩევანი ყველაზე ეგზოტიკურ არსებებზე შეაჩერეს. იტალიელები ოპერის თეატრში 6 აქლემს გამოიყვანენ.

მსახიობი აქლემები ავსტრალიიდან უკვე სამხრეთ კორეის დედაქალაქში გადმოიყვანეს. თითოეულის ტრანსპორტირება საოპერო შოუს ორგანიზატორებს 60 ათასი ევრო დაუჯდათ. ეს სპექტაკლი ალბათ დიდხანს დარჩება ისტორიაში, როგორც ყველაზე ძვირადღირებული დადგმა ვერდის ოპერებს შორის.

ამასობაში, ოთხფეხა კუზიანი მსახიობები, თავისებურად უკვე რეპეტიციებს შეუდგნენ. ველური უდაბნოს მკვიდრებს, ვერდის მუსიკის საშუალებით ნელ-ნელა მუსიკის კულტურას აზიარებენ, რისი ზემოქმედების ქვეშაც ორკუზიანები ამაყად "გაიცეკვებენ" სცენაზე. თუმცა, ვარჯიში, ჯერჯერობით, არც ისე წარმატებულად მიმდინარეობს: აღმოჩნდა, რომ აქლემები ვერ აღიქვამენ კლასიკოსების მუსიკალურ ნიუანსებს და საერთოდ მუსიკას. ამის შესახებ შემოქმედებითი ჯგუფი წინასწარ გააფრთხილა ცხოველების მფლობელმა ჯონ გეიპენმა. "აქლემებს გინდაც ჰევი-მეტალი ჩაურთეთ, ისინი თვალსაც კი არ დაახამხამებენ. მათ, ალბათ, ყურებზე დათვებმა გადაუარეს", - ასე აფასებს აქლემების მფლობელი მათ მუსიკალურ შესაძლებლობებს.

თუმცა, სპექტაკლისათვის აქლემებისაგან არც მელოდიურ ხმას და არც იდეალურ სმენას მოითხოვენ –გარკვეული დროის განმავლობაში ისინი, უბრალოდ, ადამიან-მსახიობებს, "მხედრული ხელოვნების" ინსცენირებაში უნდა დაეხმარნონ. ორგანიზატორებისთვის მთავარია კუზიან ცხოველებს ხმამაღალი მუსიკის არ შეეშინდეთ და ფურთხით არ მორწყონ "აიდაზე" მისული მაყურებელი.

სავარაუდოდ, ეს არაჩვეულებრივი მსახიობები სცენაზე, დაახლოებით, 10 წუთით გამოვლენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ორკუზიანი აქლემების გარდა, ამ დადგმაში "დაკავებულია" 60 ცხენი და ერთი სპილო. თუკი ამ უკანასკნელებმა კარგა ხანია საკმაოდ ნიჭიერი და თვინიერი ცხოველების სტატუსი მოიპოვეს, ექსპერიმენტი აქლემებთან საკმაოდ სარისკო ნაბიჯია. წინასწარ ხომ არავინ იცის, რას უნდა ველოდოთ მათგან.

ფრთხილად - დეპრესია!

როგორც გაირკვა, 20 წლის შემდეგ ამ სენით შეპყრობილთა რიცხვი ონკოლოგიური ავადმყოფების რაოდენობას გადააჭარბებს.

დეპრესია, ძირითადად, ქალთა დაავადებაა, ყველაზე ხშირად დიდი ქალაქების მცხოვრებლებს ემართებათ. ეს სერიოზული ფსიქიური სენია, რომელიც შეიძლება მრავალი წელი გაგრძელდეს. დეპრესიაში მყოფი ადამიანი იოლად ღიზიანდება, რისხვა და აგრესია იპყრობს ხოლმე, ან პირიქით – აპათიური ხდება. ამას ფიზიოლოგიური პრობლემებიც ერთვის: უძილობა, თავის ტკივილი, წნევის ცვალებადობა. დეპრესიული მდგომარეობა ქრონიკული დაავადების მქონეთათვის განსაკუთრებით საშიშია. ის ართრიტითა თუ დიაბეტით დაავადებულთათვის შეიძლება დამღუპველიც კი აღმოჩნდეს.

მედიკოსები თვლიან, რომ დეპრესია გარკვეულ ცხოვრებისეულ გარემოებებზე ადამიანის ნევროტულ რეაქციას წარმოადგენს. მაგრამ თუ ეს მდგომარეობა დიდხანს გრძელდება, ის ფსიქიურ სენში, "დეპრესიულ მოშლაში" გადაიზრდება და ამ შემთხვევაში თავს დამოუკიდებლად ვეღარავინ უშველის.

ქალაქის მცხოვრებთა დეპრესიულობა ხშირ შემთხვევაში "დაგროვილი" სტრესის შედეგია ხოლმე.

მეცნიერთა მონაცემების თანახმად, დეპრესია და შიზოფრენია თვითმკვლელობების 60 პროცენტის მიზეზი ხდება. ასე რომ, ნუ ჩავთვლით, თითქოს უბრალოდ უგუნებოდ ვართ – დეპრესია სახუმარო საქმე არაა. და

დიდი დეპრესია.

სანამ საქმე ექიმის ჩარევამდე მისულა, ერთი-ორი რამ დავიმახსოვროთ:

დავფიქრდეთ იმაზე, თუ რას ვერ მივაღწიეთ – იქნებ სულ არ ღირს თავის ატკიებად;

მარცხი სხვაა და კატასტროფა – სხვა;

ხშირად უნდა დავისვენოთ ხოლმე, გავიხსენოთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, უბრალოდ, მოვტყდებით;

როგორც კი საშუალება მოგვეცემა, გარემო გამოვიცვალოთ. ეს არც ისე რთულია – თუნდაც მეგობართან დავრჩეთ ღამის გასათენებლად.

ესაა და ეს.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.